როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო 6

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

გამომცემლობა „კლიო“

როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო, VI კლასი, პირველი ნაწილი

მოსწავლის წიგნი

სერიის რედაქტორი ელენე მეძმარიაშვილი

მხატვარი ივანე ყიფშიძე

რუკები ზურაბ ლაოშვილი
მანანა შეყილაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მამუკა ლოლაძე
ნანა ესართია

ყდის დიზაინი
ელენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, 2018

მეორე გამოცემა — 2019 წელი

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-26-0 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-481-27-7 (პირველი ნაწილის)

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

შინაარსი

გაკვეთილის სტრუქტურა 5
საქართველოს ფიზიკური რუკა 6
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა 8

კარი 1

კახეთი 10

1.1. კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები 12
1.2. დასახლების ტიპები და საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში 14
1.3. მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები კახეთში 16
1.4. ღვინის კულტურა კახეთში 18
1.5. კულტურის ძეგლები კახეთში 20
1.6. მეურნეობის დარგები კახეთში 24
1.7. კახეთის ბრძოლა გადარჩენისთვის 28
1.8. კახეთის ბუნების ღირსშესანიშნაობები 30
რა ვიცი და რა შემიძლია 32

კარი 2

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი 34

2.1. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნება 36
2.2. მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები 38
2.3. რწმენა-წარმოდგენები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში 40
2.4. მთის მხარეების ადგილი საქართველოს სახელმწიფოში 42
2.5. დასახლების ტიპები და ძირითადი სამეურნეო საქმიანობა 44
2.6. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა და კულტურა 46
რა ვიცი და რა შემიძლია 48

კარი 3

სამცხე-ჯავახეთი 50

3.1. სამცხე-ჯავახეთი – საქართველოს სამხრეთი კარიბჭე 52
3.2. სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობა 54
3.3. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მრავალფეროვნება 56
3.4. მეურნეობის დარგები სამცხე-ჯავახეთში 58
3.5. საცხოვრებელი სახლები სამცხე-ჯავახეთში 64
3.6. თავშესაფრები და ციხესიმაგრეები სამცხე-ჯავახეთში 66
3.7. ვაჭრობა, ხელოსნობა და საქალაქო ცხოვრება სამცხე-ჯავახეთში 68
რა ვიცი და რა შემიძლია 71

კარი 4

გურია 72

4.1. გურიის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები 74
4.2. გურიის მეურნეობის დარგები 76
4.3. გურია – კურორტებით მდიდარი მხარე 48
4.4. დასახლების ტიპები და სამშენებლო საქმე გურიაში 80
4.5. გურული ფოლკლორი 82
4.6. სპორტული თამაშები გურიაში 84
რა ვიცი და რა შემიძლია 85

კარი 5

რაჭა-ლეჩხუმი 86

5.1. რაჭა-ლეჩხუმის წარსული და გეოგრაფიული გარემო 88
5.2. მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმში 90
5.3. ხელოსნობა რაჭა-ლეჩხუმში 92
5.4. რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ცხოვრების სტილი 94
5.5. რაჭველები – ქართველი მოვაჭრეები 96
5.6. ებრაელები და სომხები რაჭა-ლეჩხუმში 98
რა ვიცი და რა შემიძლია 100

გაკვეთილის სტრუქტურა



1.2 დასახლების ტიპები და საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში

რა ახდენდა გავლენას დასახლების ტიპებსა და საცხოვრებელ ნაგებობებზე კახეთში?

დასახლების ტიპები

თანამედროვე კახეთის დასახლების ტიპები ძველისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამის ძირითადი მიზეზი მტრის ხშირი შემოსევა და დარბევები იყო. დღეს კახეთის სოფლების დიდი ნაწილი მოსახერხებელ ადგილებზე, ვაკეებზეა გაშენებული. წარსულში კი სოფლები უფრო მაღლობ, მთისძირა ადგილებში, ტყეების სიახლოვეს იყო. ახლად დაარსებული სოფლების გამორჩევა სხვაგვარადაც შეიძლება. როგორც წესი, ისინი კარგად დაგეგმილია, ქუჩები სწორი და პროპორციული, ძველი სოფლები კი, პირიქით.

დავალება

1. დაასახელე, რა განსხვავებაა კახეთის ძველ და ახალ დასახლებულ პუნქტებს შორის? ახსენი ამ განსხვავების მიზეზები.
2. როგორ ფიქრობ, რატომ ესხმოდა მტერი კახეთს ასე ხშირად.
3. ივარაუდე, წყარო 1-ის მიხედვით, რა დროს შეიძლება დაარსებულიყო სოფელი მანავი.
4. რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის დასახლების ტიპს ჰგავს კახეთის დასახლებები და რატომ?

წყარო 1. სოფელი მანავი – გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთის ძირას

წყარო 2. ახალსოფელი

14 | ჩვენი საძარმეველო 6

საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში

XX საუკუნემდე კახეთში **ბანიანი საცხოვრებელი სახლები** ჭარბობდა. უფრო ძველად კი **დარბაზული ნაგებობებიც** ყოფილა გავრცელებული. კახეთში სახლებს ქვითკირისგან აგებდნენ, ხოლო სახურავი კრამიტით იყო გადახურული. ხშირად, ორფერდა სახლებს აგებდნენ, რომლებიც ჭაობის ლერწმით იხურებოდა. კახეთისათვის დამახასიათებელი იყო საცხოვრებელი სახლებისთვის სამეურნეო სათავსოების, მარნის, ბოსლისა და საბძლის მიშენება. **ქიზიყში** უმეტესად ბანიანი სახლები ჭარბობდა, რომელიც მინაში იყო ჩასმული. ასეთ სახლს, ჩვეულებრივ, ზემოდან სახურავად მიწა ჰქონდა დაყრილი, რომლის დატკეპნა ძალიან შრომატევადი საქმე იყო. კახეთში ზოგჯერ **„წნული სახლები“** და **„ფიცრული სახლებიც“** იყო გავრცელებული. ისინი, ძირითადად, ეზოში დამხმარე სათავსოებს წარმოადგენდა.

ლექსიკონი

ქიზიყი – კახეთის ერთ-ერთი მხარე.

წყარო 3. ქალები ბანიანი სახლის წინ, XIX საუკუნის ბოლო

დავალება

5. აღწერე წყარო 3. მოიძიე ინფორმაცია, რომელი საკრავი უჭირავს ქალს ხელში?
6. რაზე მეტყველებს ისტორიული გადმოცემა ერეკლე მეორესა და ხელმომჭირნე გლეხზე?

გადმოცემა ერეკლე II-სა და ხელმომჭირნე გლეხზე

გადმოცემის მიხედვით, ერეკლე II-მ შეიტყო, რომ საგარეჯოში ერთი ხელმომჭირნე გლეხი ცხოვრობდა, რომელიც გამორჩენის გარეშე არავის არაფერს უკეთებდა. მეფემ გადაწყვიტა თავად სწვეოდა სტუმრად და შეემონმებინა, მეფესაც თუ იმავეს გაუბედავდა. გლეხმა სუფრა ბაწზე გაშალა და მეფე, თავისი ამალით, იქ მიიწვია. ლხინის შემდეგ მეფემ ნასვლა დააპირა, ცხენზე შეეჯდა და გლეხს მიმართა:

– აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო?

– მაინც ეგრეა, შენ ჭირიმე! – თამამად უპასუხა გლეხმა, – მართალი მოუხსენებიათ.

– როგორ? აბა დღეს მე რას გამომრჩი?

– ფუფუ ამ ბაწზე მინა ახლად დაყრილია. ამის დატკეპნას ბევრი მუშა მოუნდებოდა და მეტი გამორჩენა რად მინდა, რომ ჩემმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისი საკუთარი ოფლით ბანი დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და გლეხს ხალათი უბოძა.

ქართული | 15

საკვანძო სიტყვები

ლექსიკონი

საკვანძო კითხვა

თავი და სათაური

კითხვები და დავალებები

წყაროს სახით მოცემული ილუსტრაცია

რუბრიკა

- ისტორიის ფურცლები
- მითები და ლეგენდები
- საინტერესო ინფორმაცია
- პიროვნება ისტორიაში

საქართველოს ფიზიკური რუკა

41°
42°
43°
43°
42°
41°
41°
42°
43°
3232
მ. ურუპი
ყარაჩაევსკი
არხიზი
მ. არაბიკა 2656
ფსოუ
რიწის ტბა
2746
ბარუხის უღ.
თებერდა
5642
მ. იალბუზი
თირნიაუზი
2782
ბალუხორის
ბზიბ
ბიჭვინთა
ახალი ათონი
გუდაუთა
სოჭი 133
ამტყელის ტბა
4700
მ. უშბა
მესტია
5068
მ. შხარა
ენგური
ხაიში
ტყვარჩელი
ჯვრის წყლსცბ.
ლენტეხი
ოჩამჩირე
გალის წყლსცბ.
ჯვარი
გალი
წალენჯიხა
ცაგერი
ჩხორწყუ
ასხის მასივი
ამბროლაური
ზუგდიდი
მარტვილი
ანაკლია
ენგური
ჭაობარის წყლსცბ.
ტყიბული
ტყიბულის წყლსცბ.
ჭიათურა
ხობი
სენაკი
ხონი
ქუთაისი
ფოთი
აბაშა
თერჯოლა
ნოვოროსისკი 460
ფოთის ტბა
სამტრედია
ზესტაფონი
ურეკი
ლანჩხუთი
ვანი
ბაღდათი
ხარაგაული
ჩოხატაური
ოზურგეთი
სტამბული 1085
ქობულეთი
2182
ბორჯომი
ზეკარის უღ.
ბათუმი
მ. მტირალა
1336
ბულაჩაური
ხელვაჩაური
ქედა
შუახევი
2025
ადიგენი
ვალე
ახალციხე
ასპინძა
ტრაბზონ 174
სარფი
ჭოროხი
ხოფა
ბორჩხა
3183
მ. ზიარეთი
3165
მ. არსიანი
ართვინი
1984
სარალეთის უღ.
ბოზაღლის (კარწახის) ტბა
ბეტკვარი
ართაანი
რიზე
ჩოლდირის ტბა
1450
მ. ყაჯალაყი
ჭორეხი
ზ ღ ვ ა
შ ა ვ ი
ს ო ხ უ მ ი
ბ ა თ უ მ ი
ა ხ ა ლ ც ი ხ ე
ა ბ ა შ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ს ა ა ხ ლ ი ს
ა ბ ა ზ ი ს ქ ე დ ი
ა ფ ხ ა ზ ი ს
ა ბ ა ზ ი ს


ПИРОБИТИ АЦНИШВНЕБИ
დასახლებული პუნქტები
სიღრმეები და სიმაღლეები, მ
სახელმწიფოს დედაქალაქი
ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
რკინიგზა
საზღვაო გზა
საზღვრები
სახელმწიფოს
ავტონომიური რესპუბლიკის
მხარის
ჰიდროგრაფია
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
მყინვარი
ჭაობი
სხვა აღნიშვნები
2494 სიმაღლითი ნიშნული
3367 უღელტეხილი
უფრო ღრმა
1500
500
200
100
0
100
200
500
1000
1500
2000
2500
3000
3500
უფრო მაღალი
44°
45°
46°
42°
41°
ედამრაცია
ლჩიკი
ბაქსანი
ტერეკი
ელხოტოვო
ბესლანი
ნაზრანი
ალაგირი
ბროზნო
მაგასი
ურუს-მართანი
ვლადიკავკაზი
ბურონი
მამისონის ულ.
2820
2995
როკის ულ.
5033
მ. მყინვარწვერი
სტეფანწმინდა
ჯვრის ულ.
2379
ბარისახო
ფასანაური
ლომის-ალევის ქბ.
ცხინვალი
ახალგორი
ოსეთი
ქართლი
ურბნისი
ხაშური
გორი
დიდი ატენი
ტბილისი
მცხეთა
საგურამოს ქდ.
3578
4285
4493
3294
1991
2757
3301
3196
2344
2725
ბოლნისი
ბორჯომი
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ალავერდი
ახტალა
ყაზახი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ბაზალეთი
ბოგდანოვკა
ალექსანდროპოლი
ბაზალეთის ტბა
ფარავნის ტბა
მადათაფის ტბა
ალაზანი
ივრი
ბორჩალო
ქვემო ქართლი
ზემო ქართლი
ქიზიყი
ბორჯომ-ახალციხის ქედი
ლიხის ქედი
ალაზანი
ივრი
ალგეთი
ბაქსანი
ტერეკი
ბერგი
ბერგი
ალაგირი
ბურონი
ფასანაური
ბარისახო
ცხინვალი
ახალგორი
ოსეთი
ურბნისი
ხაშური
ბოლნისი
ბორჯომი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ბაზალეთი
ბოგდანოვკა
ალექსანდროპოლი
ბაზალეთის ტბა
ფარავნის ტბა
მადათაფის ტბა
ალაზანი
ივრი
ბორჩალო
ქვემო ქართლი
ზემო ქართლი
ქიზიყი
ბორჯომ-ახალციხის ქედი
ლიხის ქედი

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა



ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ:

1 - მაღრან-დვალეთი
2 - თრუსო
3 - მთის რაჭა
4 - კუდარო
5 - ხანდო
6 - ჭართალო
7 - გუდამაყარი
8 - თბილისი

სახელმწიფო საზღვარი

საზღვარი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის

ზღვის სანაპირო

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ 1: 2 400 000

კარი 1.
კახეთი

ამ კარში შეისწავლი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – კახეთს, მის ადგილმდებარეობასა და ბუნებრივ პირობებს; გაიგებ, თუ რატომ იცვლებოდა საუკუნეების განმავლობაში კახეთის საზღვრები; რა გავლენას ახდენდა ადგილმდებარეობა და ისტორიული პირობები მისი დასახლების ტიპებსა და ნაგებობებზე; მეურნეობის რომელი დარგით იცნობს მას მსოფლიო; რა სტიქიური მოვლენები არის ამ მხარისთვის დამახასიათებელი და როგორ იბრძვიან მის წინააღმდეგ; კულტურის რომელი ძეგლებით არის ის ცნობილი.



მ. დიდი ბორ
ალაზანი
ზემ
ახ
ალაზანი
თეძამი
საგურამო-იალნოს ქდ.
საგურამოს
აღკვეთილი
მარტყოფი
სართიჭალ
ბ
ბ
ბ

3294
2826
აბანოს უღ.
ბანარის ნაკრძ.
ბაბანეურის ნაკრძ.
დუისი
ფშაველი
ნაფარეული
2363
კოდორის უღ.
3116
მ. ნინიკასციხე
ლოპოტა
ალვანი
ეტა
გრემი
ილიას ტბა
ყვარელი
იყალთო
თელავი
გომბორის უღ.
1620
მ. ცივა
1991
ბორი
ნინანდალი
ვაზისუბანი
ველისციხე
გავაზი
ალაგოდელის ნაკრძალი
ალაგოდელი
ვარდისუბანი
პატარძეული
მარიამჯვრის ნაკრძალი
გურჯაანი
ვეჯინი
საგარეჯო
კაკაბეთი
ბაკურციხე
ანაგა
ალაგანი
ბადიაური
სიღნაღი
წნორი
ბოდბისხევი
ირონი
უდაბნო
878
მ. უდაბნო
დედოფლისწყარო
საბათლო
ვაშლოვანის ნაკრძალი
კარსისწყალი
ელდარის დაბლობი
0
11 კმ

1.1 კახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები

სად მდებარეობს და რა ესაზღვრება კახეთს?

კახეთი საქართველოს აღმოსავლეთით მდებარე საზღვრისპირა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. XV საუკუნემდე კახეთის ტერიტორიას **ჰერეთ-კახეთი** ეწოდებოდა, მოგვიანებით კი, მხოლოდ კახეთი. საუკუნეების განმავლობაში, მტრის შემოსევებისა და შიდა პოლიტიკური ბრძოლის გამო კახეთის ტერიტორია და მოსახლეობა ყველაზე მეტად შეიცვალა. დღეს იგი მდინარეების – ალაზნისა და ივრის აუზებს მოიცავს.

წყარო 1. ალაზნის ველი და სოფელი ზემო ალვანი

ისტორიულად, კახეთის საზღვარი ხშირად იცვლებოდა. ქართლსა და კახეთს შორის საზღვარი მდინარე არაგვზე გადიოდა. მისი განუყოფელი ნაწილი ჰერეთი კი ახლა **საინგილოს** სახელს ატარებს და აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაშია.

კახეთში მრავალფეროვანი ბუნებაა. ივრის ზეგანსა და ალაზნის ველზე ფართო და გაშლილი ვაკეებია, სადაც მიწათმოქმედებისთვის იდეალური პირობებია. ცივ-გომბორის ქედი ზღვის დონიდან 2000 მეტრამდეა. იგი უმეტესად ტყით

არის დაფარული, ხოლო ცივის მთის მწვერვალი ალპურ ზონაშია მოქცეული. კახეთის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის ველზე, მდებარეობს ვაშლოვანის ნახევარუდაბნო, სადაც საკმლის ხეა დაცული. ბაწარას ნაკრძალში ხარობს იშვიათი ხე ურთხმელი (უთხოვარი), რომელიც დაახლოებით 1800 წელს ცოცხლობს.

წყარო 2. გომბორის ქედი და ცივის მთა

წყარო 3. ვაშლოვანის ნახევარუდაბნო

კახეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ მოიპოვება: თიხა, მარმარილო, სამკურნალო ტალახი, გაჯი, **თერმული წყლები** და სხვა. საქართველოში ნავთობის ყველაზე დიდი მარაგი კახეთში არის აღმოჩენილი. თუმცა მას აქტიურად არ მოიპოვებენ.

ლექსიკონი

თერმული წყალი – მიწისქვეშა წყალი, რომლის ტემპერატურა გარემოზე მაღალია. ხშირად გამოიყენება სამკურნალოდ.

დავალება

1. გაარკვიე, რუკის დახმარებით (გვ. 10-11), რომელი მხარეები და სახელმწიფოები ესაზღვრება კახეთს?
2. როგორ ფიქრობ, რა პროცესების გამო იცვლებოდა კახეთის გეოგრაფიული საზღვრები.
3. აღწერე, წყაროების 1-3 მიხედვით, კახეთის გეოგრაფიული გარემო.
4. აღწერე, წყარო 3-ისა და ინტერნეტში მოპოვებული დამატებითი ინფორმაციის მიხედვით, რა მცენარეებია დამახასიათებელი ვაშლოვანის ნახევარუდაბნოსთვის. შენი აზრით, რატომ ეწოდა ვაშლოვანის ნახევარუდაბნოს ეს სახელი.

1.2 დასახლების ტიპები და საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში

რა ახდენდა გავლენას დასახლების ტიპებსა და საცხოვრებელ ნაგებობებზე კახეთში?

დასახლების ტიპები

თანამედროვე კახეთის დასახლების ტიპები ძველისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამის ძირითადი მიზეზი მტრის ხშირი შემოსევა და დარბევები იყო. დღეს კახეთის სოფლების დიდი ნაწილი მოსახერხებელ ადგილებზე, ვაკეებზეა გაშენებული. წარსულში კი სოფლები უფრო მაღლობ, მთისძირა ადგილებში, ტყეების სიახლოვეს იყო. ახლად დაარსებული სოფლების გამორჩევა სხვაგვარადაც შეიძლება. როგორც წესი, ისინი კარგად დაგეგმილია, ქუჩები სწორი და პროპორციული, ძველი სოფლები კი, პირიქით.

წყარო 1. სოფელი მანავი – გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთის ძირას

წყარო 2. ახალსოფელი

✓ დავალება

1. დაასახელე, რა განსხვავებაა კახეთის ძველ და ახალ დასახლებულ პუნქტებს შორის? ახსენი ამ განსხვავების მიზეზები.
2. როგორ ფიქრობ, რატომ ესხმოდა მტერი კახეთს ასე ხშირად.
3. ივარაუდე, წყარო 1-ის მიხედვით, რა დროს შეიძლება დაარსებულიყო სოფელი მანავი.
4. რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის დასახლების ტიპს ჰგავს კახეთის დასახლებები და რატომ?

საცხოვრებელი ნაგებობები კახეთში

XX საუკუნემდე კახეთში **ბანიანი საცხოვრებელი სახლები** ჭარბობდა. უფრო ძველად კი **დარბაზული ნაგებობებიც** ყოფილა გავრცელებული. კახეთში სახლებს ქვითკირისგან აგებდნენ, ხოლო სახურავი კრამიტით იყო გადახურული. ხშირად, ორფერდა სახლებს აგებდნენ, რომლებიც ჭაობის ლერწმით იხურებოდა. კახეთისათვის დამახასიათებელი იყო საცხოვრებელი სახლებისთვის სამეურნეო სათავსოების, მარნის, ბოსლისა და საბძლის მიშენება. **ქიზიყში** უმეტესად ბანიანი სახლები ჭარბობდა, რომელიც მიწაში იყო ჩასმული. ასეთ სახლს, ჩვეულებრივ, ზემოდან სახურავად მიწა ჰქონდა დაყრილი, რომლის დატკეპნა ძალიან შრომატევადი საქმე იყო. კახეთში ზოგჯერ **„წნული სახლები“** და **„ფიცრული სახლებიც“** იყო გავრცელებული. ისინი, ძირითადად, ეზოში დამხმარე სათავსოებს წარმოადგენდა.

ლექსიკონი

ქიზიყი – კახეთის ერთ-ერთი მხარე.

წყარო 3. ქალები ბანიანი სახლის წინ, XIX საუკუნის ბოლო

დავალება

5. აღწერე წყარო 3. მოიძიე ინფორმაცია, რომელი საკრავი უჭირავს ქალს ხელში?
6. რაზე მეტყველებს ისტორიული გადმოცემა ერეკლე მეორესა და ხელმომჭირნე გლეხზე?

გადმოცემა ერეკლე II-სა და ხელმომჭირნე გლეხზე

გადმოცემის მიხედვით, ერეკლე II-მ შეიტყო, რომ საგარეჯოში ერთი ხელმომჭირნე გლეხი ცხოვრობდა, რომელიც გამორჩენის გარეშე არავის არაფერს უკეთებდა. მეფემ გადაწყვიტა თავად სწვეოდა სტუმრად და შეემოწმებინა, მეფესაც თუ იმავეს გაუბედავდა. გლეხმა სუფრა ბანზე გაშალა და მეფე, თავისი ამალით, იქ მიიწვია. ლხინის შემდეგ მეფემ წასვლა დააპირა, ცხენზე შეჯდა და გლეხს მიმართა:

– აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო?

– მაინც ეგრეა, შენი ჭირიმე! – თამამად უპასუხა გლეხმა, – მართალი მოუხსენებიათ.

– როგორ? აბა დღეს მე რას გამომრჩი?

– მეფეო ამ ბანზე მიწა ახლად დაყრილია. ამის დატკეპნას ბევრი მუშა მოუნდებოდა და მეტი გამორჩენა რად მინდა, რომ ჩემმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისი საკუთარი ფეხით ბანი დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და გლეხს ხალათი უბოძა.

1.3 მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციები კახეთში

რას ამზადებდნენ კახეთში ყურძნისგან?

კახეთი ყოველთვის დაწინაურებული მეურნეობის მხარე იყო, თუმცა განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობა განვითარდა. იქ ყურძნისგან, ძირითადად, ღვინოს აყენებენ. კახური ღვინო უცხოეთში არა მარტო ბოლო წლებში, არამედ გასულ საუკუნეებშიც გაჰქონდათ. თითქმის ყველა სოფელში ვაზის ადგილობრივი ჯიშები იყო გავრცელებული. კახეთში 20-ზე მეტი ვაზის ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი. განსაკუთრებით ფართოდ რქაწითელი, საფერავი და მანავის მწვანე გავრცელდა. ვენახში ვაზი ერთ რიგად არის დარგული, რომ მზის სხივი ყველა მტევანსა და ფოთოლზე თანაბრად გავრცელდეს. კახეთში ყურძნის კრეფას **რთველი** ეწოდება.



წყარო 1. რთველი კახეთში.
XIX საუკუნის ბოლო

წყარო 2. რთველი თანამედროვე კახეთში

✓ დავალება

1. აღწერე წყაროები 1 და 2:
ა) რაში აგროვებენ ყურძენს რთველის დროს ძველად და ახლა?
ბ) ტრანსპორტის რომელი საშუალებით გადააქვთ ყურძენი ძველად და ახლა?
გ) როგორ აცვიათ კახელ გლეხებს? შეადარე თანამედროვე რთველში მონაწილეთა სამოსს.

ყურძნის პროდუქტები და ყურძნის შენახვის წესები

კახეთში ყურძნისგან, ძირითადად, ღვინოს აყენებენ, მაგრამ ასევე იციან ჩურჩხელის გაკეთება. ჩურჩხელა ყურძნის ტკბილი წვენისა და ფქვილის ნახარშში (თათარაში) ამოვლებული ნიგვზის ასხმულაა. კარგი ჩურჩხელის დასამზადებლად საჭიროა თათარაში მეორედ ამოვლება. ასევე, მესამე-მეოთხე დღეს „ჩურჩხელას აბადაგებდნენ“ ანუ „აშაქრებდნენ“ – მას ბადაგს წაუსვამდნენ და ერთი დღე-ღამის განმავლობაში სუფთა ნაჭერში გაახვევდნენ, რის შემდეგაც მზეზე გაშლიდნენ. როგორც კი მზე დახედავდა, ჩურჩხელა მაშინვე თეთრდებოდა და რბილდებოდა. ჩურჩხელა ძალიან კალორიული საჭმელია და ჩვეულებრივ პირობებში დიდხანს ინახება. ამიტომ ქართველ მეომრებს საგზლად ყოველთვის ეს ნუგბარი მიჰქონდათ. ჩურჩხელა ყველანაირი ყურძნისგან კეთდება. თუმცა ის იმდენად მნიშვნელოვანი პროდუქტია, რომ მის დასამზადებლად სპეციალურად რამდენიმე ჯიშის ყურძენი არსებობდა. ჩურჩხელა დღესაც პოპულარული ქართული ტკბილეულია და დიდი მოწონებით სარგებლობს უცხოელ ტურისტებს შორის.

წყარო 3. კახური ჩურჩხელა

ზამთრისთვის ყურძნის შენახვა კახეთში აუცილებელი საქმე იყო. რთველის დაწყებამდე ორი დღით ადრე ვენახში შესანახ ყურძენს კრეფდნენ, მტევნებს წნელზე აასხამდნენ (**„აჯაგნავდნენ“**). აჯაგნულ ყურძენს მზის გულზე დებდნენ, ან ორმოში ჩაკიდებით ინახავდნენ. ქიზიყში ყურძენს სპეციალურ ჭურჭელში, კოკალშიც ინახავდნენ. ის მოგრძო დაბალნაპირიანი ჭურჭელი იყო. ერთ კოკალზე გაშლიდნენ ყურძენს, თითო-თითო მტევანს, მეორეს ზედ მოაპირქვავებდნენ, დააფარებდნენ, გარშემო შემოლესავდნენ და გახსნისას ისეთივე ამოდიოდა, როგორსაც ჩააწყობდნენ.

დავალება

2. ივარაუდე, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩურჩხელას ომში წასული ქართველი ჯარისკაცებისთვის.
3. როგორ ინახავენ ყურძენს?
4. ჩამოთვალე შენთვის ცნობილი ყურძნის ჯიშები.
5. როგორ ფიქრობ, როდის არის ხოლმე რთველი კახეთში.
6. გამოკითხე უფროსები ან შენი კახელი მეგობარი, მეზობელი, რა ტრადიციები არის დაკავშირებული რთველთან.

1.4 ღვინის კულტურა კახეთში

როგორი იყო და არის კახეთში ღვინის დამზადებისა და შენახვის ტრადიციული კულტურა?

კახეთში ღვინის დასაყენებელ და შესანახ განსაკუთრებულ ნაგებობას – **მარანს** აშენებდნენ. ძველად მარანში ქალის შესვლა დაუშვებელი იყო. მას „საღვინე სახლსაც“ უწოდებდნენ. აქ იწურებოდა ყურძენი, დგებოდა და ინახებოდა ღვინო. მარანში მეღვინეობის ინვენტარი იდო. კახურ მარანში ხშირად სხვენიც იყო მოწყობილი, სადაც ძირითადად ხილი და ბოსტნეული ინახებოდა. მარანს სქელი კედლები ჰქონდა. იგი ღვინოს ზაფხულში სიცხისგან, ზამთარში კი ყინვისგან იცავდა. მარნის წინა მხარეს ქვევრები იყო ჩამარხული, უკანა მხარეს კი საწნახელი იდგა, სადაც ყურძენი იწურებოდა. მოხდენილად გაწყობილი მარანი, ტრადიციულად, მამაკაცთა თავშეყრის, დროსტარებისა და ლხინის ადგილიც იყო.

წყარო 1. კახური მარანი

წყარო 2. ყურძნის დაწურვა საწნახელში

✓ დავალება

1. შენი აზრით, რა უწყობს ხელს ღვინის შენახვას მარანში.
2. რომელი წინადადებები მეტყველებს, ფრანგი მოგზაურის ჩანაწერიდან, კახელების სიმთვრალისადმი დამოკიდებულებაზე (წყარო 3)?

წყარო 3. XIX საუკუნის ფრანგი მოგზაური ბარონი დე ბაი კახეთში მეღვინეობის შესახებ

„როდესაც საწნახელი ყურძნით აივსება, მამაკაცები დიდ აუზში იბანენ ტერფებსა და წვივებს. საწნახელში იმდენი კაცია, რამდენსაც მისი სიგრძე დაიტევს. ყურძენს რამდენიმე საათის განმავლობაში წურავენ. მათი მოძრაობა ხან ნელი, ხან სწრაფი, ხან მშვიდი, ხანაც ენერგიულია და მისდევს მათივე სიმღერის რიტმს. სიმღერები ერთმანეთს ცვლის; ძლიერი და ჟღერადი, ზოგი საომარი...“.

„კახეთში ბევრ ღვინოს აყენებენ, ბევრსაც სვამენ, მაგრამ არ თვრებიან“.

წყარო 4. XIX საუკუნის გერმანელი მოგზაური კარლ კოხი კახელებსა და მარანზე

კახეთში „შემოგვეგება თავაზიანი მამაკაცი და ღამის გასათევად სახლში მიმიპატიჟა. ეს სტუმართმოყვარეობის კიდევ ერთი მაგალითი იყო... საქართველოში სტუმრები, ჩვეულებრივ, მარანში მიჰყავთ. ეს ის საპატიო ადგილია, სადაც ხშირად იმართება ლხინი. გარდა იმისა, რომ აქ იწურება და მზადდება ღვინო, ღვინის ჭურებიც მარანში ინახება, საიდანაც ლხინის დროს იოლად შეიძლება სასმელის ამოღება... ჩემთვის გამოცანად იყო ქცეული, მიუხედავად ღვინის დამზადების პრიმიტიული წესისა, სასმელი მაინც ასეთი კარგი როგორ გამოდიოდა“.

დავალება

3. კახელების რომელ ტრადიციაზე მიუთითებს გერმანელი მოგზაური (წყარო 4)?

შემოდგომაზე, რთველის დროს, კახეთს უამრავი ადამიანი სტუმრობს. ხშირად ისინი რთველსა და ყურძნის დაწურვაში იღებენ მონაწილეობას, ასევე, აგემოვნებენ ღვინოს და კახურ ტრადიციებს ეცნობიან. ამ მიზნით შეიქმნა პროექტი „ღვინის გზა“, რომელიც მრავალ უცხოელ ტურისტს იზიდავს.

წყარო 5. საგზაო ნიშანი „ღვინის გზა“

წყარო 6. ტურისტები საოჯახო სასტუმროში ღვინოს აგემოვნებენ

დავალება

4. დაასახელე, გაკვეთილის ტექსტისა და წყაროების 1-4 დახმარებით, რა დანიშნულება აქვს მარანს.
5. როგორ ფიქრობ, ღვინის დამზადებისა და შენახვის კულტურა კახეთში შეიცვალა თუ არა? პასუხი დაასაბუთე.
6. შენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს პროექტს „ღვინის გზა“.
7. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია ღვინის საწარმოებზე კახეთში, ასევე, რომელ ქვეყნებში გააქვთ კახური ღვინო.
8. როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის კახურ ღვინოს.
9. შექმენით კახური ღვინის რეკლამა. მისი მიზანი უნდა იყოს ქართველი და უცხოელი მყიდველის დაინტერესება ამ ღვინით.

1.5 კულტურის ძეგლები კახეთში

რას მოგვითხრობს კულტურის ძეგლები კახეთის ისტორიაზე?

ერეკლე მეორე

ერეკლე მეორეს ქართლ-კახეთის წინაშე არაერთი დამსახურება მიუძღვის. ის არა მარტო სახელმწიფო მოღვაწე, არამედ დიდი მხედართმთავარიც იყო და საქართველოს გაერთიანებისა და გადარჩენისთვის იბრძოდა. ხალხს ის ძალიან უყვარდა. როდესაც გარდაიცვალა, ხანგრძლივი, საყოველთაო გლოვის შემდეგ, თელავის სასახლიდან მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში გადაასვენეს და იქ დაკრძალეს, როგორც გმირი მეფე.

კახეთში ბევრი სასახლე, ციხე-კოშკი, ეკლესია-მონასტერი აშენდა, მაგრამ ჩვენამდე ყველამ როდი მოაღწია. უამრავ ტურისტს იზიდავს ძველი ქალაქები **თელავი** და **სიღნაღი**. თელავშია ერეკლე მეფის სასახლე – „ბატონის ციხე“. იგი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ქართველთა ეს მეფე მოკრძალებით ცხოვრობდა. თანამედროვე ქართველებმა ერეკლე მეფეს პატივი იმით მიაგეს, რომ თელავში მისი ძეგლი აღმართეს.

წყარო 1. თელავი

წყარო 2. „ბატონის ციხე“ და ერეკლე მეორის ძეგლი თელავში

სიღნაღი გადაჰყურებს ალაზნის ვაკეს, რომელთან ერთად, კავკასიონის მთები განუმეორებელ პეიზაჟს ქმნის. სიღნაღს დიდი ციხე-გალავანი აქვს გარშემორტყმული. გალავნის სიგრძე 4 კილომეტრამდეა. გალავანში 28 კოშკია ჩაშენებული, რომლებსაც სათოფურები აქვს. თითოეული კოშკი ახლომდებარე სოფლის სახელს ატარებს. მეფე ერეკლემ ეს ქალაქი ვაჭრობის განვითარებისა და ეკონომიკური დოვლათის გასაზრდელად დააარსა. მან სიღნაღში ჩაასახლა სომხები, რომლებიც ამ სფეროში გაწაფულები იყვნენ.

რამდენიმე წლის წინ სიღნაღს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და დღეს, საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, ის უცხოელ ტურისტთა საყვარელი ადგილიც არის.

წყარო 3. სიღნაღი კავკასიონის ფონზე

წყარო 4. სიღნაღის ციხე-გალავანი

დავალება

1. მოაწყეთ ექსკურსია ერეკლე მეორეს მემორიალური ადგილების მოსანახულებლად. გაიხსენეთ, რა არის საჭირო ექსკურსიის მოსაწყობად და როგორია ექსკურსიისას ქცევის წესები.
2. შენი აზრით, რა დანიშნულება ჰქონდა სიღნაღის ციხე-გალავანს (წყარო 4). რა შეიძლება მოგვითხროს მან კახეთის წარსულზე?

წყარო 5. ალავერდის ტაძარი

წყარო 6. ჭიდაობის სცენა ალავერდის ტაძრის ფრესკიდან

დავალება

3. რაზე მეტყველებს ჭიდაობის სცენის გამოსახულება ფრესკაზე (წყარო 6).
4. მოიძიე ინფორმაცია ცნობილ სპორტსმენებზე, რომლებიც წარმოშობით კახეთიდან არიან.

წყარო 7. გრემი

ქიზიყში, სიღნაღიდან 2 კილომეტრის დაშორებით, ბოდბის მონასტერია, რომელიც ქართველთა შორის ქრისტიანობის გამავრცელებლის წმიდა ნინოს საფლავზეა აგებული.

კახეთის სიამაყეა ალავერდის ტაძარი. ის საეპისკოპოსო ცენტრია. მისი სიმაღლე 51 მეტრია. კახეთშია ასევე იყალთოსა და შუამთის სამონასტრო კომპლექსები, გრემი და ნეკრესი, გურჯაანის ყველაწმიდა და კვეტერა. ისინი ქართული განათლებისა და კულტურის კერები იყო წარსულში და ახლა ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ისტორიული კახეთის ნახევარუდაბნოში, გარეჯის კლდეებში მდებარეობს VI საუკუნეში დაარსებული სამონასტრო ცენტრი, რომელიც ასურეთიდან მოსულმა წმიდა მამა დავით გარეჯელმა დააფუძნა. დავითგარეჯში 20-ზე მეტი ისტორიული ძეგლია. ზოგიერთი მათგანი დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. გამორჩეულია ბერთუბნის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის მხატვრობა. აქვე იყო დაცული ხელნაწერების მდიდარი კოლექცია.

წყარო 8. დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი

წყარო 9. დავითგარეჯის ფრესკები

კახეთის საერო არქიტექტურის ძეგლია ჭავჭავაძეების წინანდლის სასახლე. სასახლის გარდა, იგი უნიკალურ ბაღს და ღვინის მდიდარ საცავს მოიცავს. პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის დროს სასახლე იმდროინდელი ქართული მაღალი წრის საზოგადოების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. წინანდლის მამულში ალექსანდრე ჭავჭავაძემ, პირველად საქართველოს ისტორიაში, ევროპული წესით დამზადებული ღვინო ბოთლში ჩამოასხა. მანვე პირველმა, დეკორატიული პარკის მოსაწყობად, ევროპიდან სპეციალისტები ჩამოიყვანა. დღეს წინანდალში მუზეუმია, რომელსაც უამრავი ადამიანი სტუმრობს. იქვე, ყოველწლიურად მუსიკალური ფესტივალი იმართება.

წყარო 10. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი

დავალება

5. დაასახელე, რომელ ისტორიულ პიროვნებებთან არის დაკავშირებული კახეთის ისტორიული და კულტურული ძეგლები: ბატონის ციხე თელავში (წყაროები 1 და 2), ბოდბის მონასტერი, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი (წყაროები 8 და 9).
6. დაგეგმეთ ექსკურსია კახეთში. ამისთვის:
   ა) მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტის, ისტორიული თუ საცნობარო ლიტერატურის დახმარებით, კახეთში არსებულ ეთნოგრაფიულ, მხარეთმცოდნეობით მუზეუმებზე თელავში, სიღნაღში, წინანდალში.
   ბ) შეადგინეთ, რუკის (გვ. 6-7) და მოძიებული ინფორმაციის დახმარებით, ტურისტული მარშრუტი კახეთში. შეიტანეთ მასში ის ძეგლები, რომელთა ნახვა გსურთ, მათ შორის, მუზეუმები.
   გ) დაწერეთ განცხადება კლასის დამრიგებლის სახელზე, რომელშიც დაასაბუთებთ, რომ მითითებული ძეგლების და მუზეუმების მონახულება თქვენთვის მნიშვნელოვანია.
7. ჯგუფური მუშაობა:
   ა) მოიძიეთ ინფორმაცია ალავერდის ტაძარზე ან იყალთოს სამონასტრო კომპლექსზე.
   ბ) მოამზადეთ პრეზენტაცია, რომელშიც პასუხს გასცემთ შემდეგ კითხვებს: როდის დაარსდა, ვის სახელთან არის იგი დაკავშირებული, მისი მოკლე ისტორია. წარუდგინეთ შედეგები კლასს PPT-ში პრეზენტაციის სახით.

1.6 მეურნეობის დარგები კახეთში

გარდა მევენახეობისა და მეღვინეობისა, მეურნეობის კიდევ რომელი დარგებია განვითარებული კახეთში?

ლექსიკონი

გუთნისდედა – მიწის მუშა, რომელიც ხვნის დროს სახვნელს უძღვებოდა.
მეხრე – ხარების გამრეკი.
ხარო – მარცვლეულის შესანახი ორმო.

წყარო 1. „მკის ჯვარი“ ან „მკის ვარსკვლავი“

✓ დავალება

1. რას ნიშნავს „მოდგამობა“?
2. გაიხსენე მეხუთე კლასის სახელმძღვანელოდან „ჩვენი საქართველო“ საქართველოს კიდევ რომელ მხარეშია გავრცელებული „მოდგამობა“.
3. როგორ შეიცვალა სიტყვის „მესვეური“ მნიშვნელობა?
4. რატომ ხნავდნენ კახელები შეამხანაგებულები? როგორ ფიქრობ, თანამედროვე პირობებში შეამხანაგების აუცილებლობა არსებობს თუ არა. პასუხი დაასაბუთე.

მემინდვრეობა

კახეთში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მარცვლეული კულტურები, განსაკუთრებით, ხორბალი. ხნავდნენ შეამხანაგებულები, რასაც აქ **„მოდგამობა“** ეწოდებოდა. ხვნის დაწყების წინ დღესასწაული იმართებოდა. მას „სასოფლო საღმრთოს“ უწოდებდნენ. სოფლის ეკლესიასთან იხდიდნენ შეყრის პარაკლისს, შემდეგ სუფრას მიუსხდებოდნენ, **გუთნისდედა** ლოცავდა **მეხრეებს**, უსურვებდა ერთგულად მუშაობას და ხვნა-თესვის კარგად დამთავრებას. ავადმყოფებს ულუფას სახლში უგზავნიდნენ.

მემინდვრეობის ტრადიციები

ხვნის დროს მოდგამის წევრები **ოროველებს** მღეროდნენ. მოწეული მოსავალი ავდარს არ უნდა გაეფუჭებინა. მკა აუცილებლად მალე უნდა დაემთავრებინათ. დღეს **მესვეური** ყველანაირი საქმის მოთავეს ნიშნავს. ეს სიტყვა კი თავდაპირველად მკის უფროსს ნიშნავდა. მკიდნენ რამდენიმე მწკრივად. თითოეულ მწკრივს თავისი მესვეური ჰყავდა, რომელიც წინ მიდიოდა. მესვეურს უკან ორი მომკელი მისდევდა. მკის დამთავრების შემდეგ საუკეთესო ფხიანი თავთავისაგან **„მკის ჯვარს“** კრავდნენ, რასაც მომავალი წლის თესვამდე ინახავდნენ. „თესვის გატანის“ დღეს მას ფშვნიდნენ, „ღვინით აზიარებდნენ“, დასათეს თესლში შეურევდნენ და იტყოდნენ – „ასე კაკალივით მარცვალი მოვიდესო“. მოწეულ მარცვლეულს ორმოებსა და **ხაროებში** ინახავდნენ. მარცვალი ჰქონდათ ბეღელშიც.

წყარო 2. პურის ცხობა კახეთში. XIX საუკუნის ბოლო

დავალება

5. დაასახელე გაკვეთილის ტექსტში ის წინადადებები, რომლებშიც ჩანს კახეთში არსებული ურთიერთდახმარების ტრადიციები. შენი აზრით, როგორ შეიძლება გამოვლინდეს ეს ტრადიციები დღეს. შენ როგორ ეხმარები იმ ადამიანებს, ვისაც უჭირს?
6. აღწერე წყარო 2. რა მსგავსება და განსხვავებაა თონის პურის ცხობის თანამედროვე და ძველ წესებს შორის. ვინ აცხობდა თონის პურს წინათ და, ძირითადად, ვინ აცხობს დღეს?

სტიქიური მოვლენები კახეთში

კახეთს ხშირად თავს ატყდება სხვადასხვა სტიქიური უბედურება, მათ შორის, გვალვა და სეტყვა, რომლებიც ნათესებს ანადგურებს. წინათ ამ უბედურებისგან მოსავლის დაცვა ძალიან უჭირდათ და ერთადერთი, რაც შეეძლოთ, სხვადასხვა რიტუალის ჩატარება იყო. მაგალითად, გვალვიანობის დროს იცოდნენ გუთნით „წყლის მოხვნა“. ამ რიტუალს ქალები ასრულებდნენ. გუთანს უღელს გამოაბამდნენ, უღელში თავად შეებმებოდნენ და მდინარეში გაათრევდნენ. დინებას აღმა აჰყვებოდნენ. ადიდებდნენ ღმერთსა და ელია წინასწარმეტყველს: „აღარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვე ტალახი. დიდება და დიდება, ღმერთსა ჩვენსა დიდება“. იმისათვის, რომ პურის მარცვალი მსხვილი გამოსულიყო, სათესლე ხორბალს კაკალს ჩაურევდნენ. ამ ქმედებით სჯეროდათ, რომ კაკალს პურის მარცვლის გამსხვილება შეეძლო.

მოსავლის დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოში სპეციალური სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები შეიქმნა.

დავალება

7. მოიძიე ინფორმაცია, სად მოჰყავთ დღეს ხორბალი კახეთში.
8. როგორ ფიქრობ, კახეთისთვის მეურნეობის რომელი დარგია ყველაზე პერსპექტიული. არის თუ არა ეს მემინდვრეობა? პასუხი დაასაბუთე.
9. როგორ იცავდნენ ნარგავებს სტიქიური უბედურებისგან წინათ და როგორ იცავენ დღეს (წყარო 3)?

„დელტა“ – სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარი

ქართველმა გამომგონებლებმა სეტყვის საწინააღმდეგო ეფექტიანი დანადგარი – „დელტა“ შექმნეს. თავდაპირველად, სინოპტიკოსები ღრუბლებზე დაკვირვების შედეგად, აფიქსირებენ, სად და როდის არის მოსალოდნელი სეტყვა. ღრუბლების დასაშლელად და სეტყვის შესაჩერებლად მისი მიმართულებით „დელტადან“ რაკეტებს ისვრიან. რაკეტების აფეთქების შემდეგ მაღალი ტემპერატურა წარმოიქმნება, რაც სეტყვის მარცვლებს ადნობს და წვიმად აქცევს.

წყარო 3. სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარი „დელტა“ კახეთში

მეცხოველეობა კახეთში

მეცხოველეობა კახეთში ისევე განვითარებული იყო, როგორც მთელ საქართველოში. მაგალითად, ქიზიყს წინათ **კამბეჩოვანი** ერქვა, ვინაიდან ის მესაქონლეობის ისეთი დარგის ფართოდ გავრცელებას უკავშირდება, როგორიც არის მეკამეჩეობა. ქიზიყში ქართველ მთიელთა საზამთრო საძოვრებიც ბევრი იყო. მეღორეობით კი სახელგანთქმული იყო **პანკისის ხეობა**, სადაც შემოდგომობით ღორი საქართველოს სხვა მხარეებიდანაც მიჰყავდათ. თუმცა მეურნეობის ეს დარგი იქ წამყვანი აღარ არის, რადგან იქ მუსლიმი ქისტები დასახლდნენ, რომლებსაც ღორის ხორცის ჭამა ეკრძალებათ.

3 პანკისელი ქისტები

ქისტები დურძუკების შთამომავალნი არიან. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიან სოფლებში ცხოვრობდნენ. ქართველებსა და მათ შორის ოდითგანვე ახლო ურთიერთობა არსებობდა. მაგალითად, ქართლის მეფე ფარნავაზს ცოლი დურძუკი ჰყავდა. განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ქართველ მთიელებთან.

1840-60-იან წლებში ქართველებისგან დაცლილ პანკისის ხეობაში მცირემიწიანობით შეწუხებული **ქისტები** ჩასახლდნენ. მას შემდეგ ქისტები და ქართველები ერთმანეთის გვერდით მეგობრულად ცხოვრობენ. მათ გვარები ქართულის მსგავსი აქვთ და „შვილზე“ მთავრდება. ისინი ქართულად მეტყველებენ. ქისტების სოფლებიც კახურის ანალოგიურია. კახელებისაგან განსხვავებით, ქისტები ძირითადად მუსლიმები არიან, თუმცა ძველ და თანამედროვე სახალხო დღესასწაულებს ქართველებთან ერთად აღნიშნავენ.

წყარო 4. პანკისელი გოგონები

პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები მისდევენ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ქერი, შვრია. მათთანაც პოპულარულია მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა. თუშებისგან მათ ცხვრის ყველის წარმოება ისწავლეს. შინამრეწველობის დარგებიდან განვითარებულია ხელოსნობა, ხის ჭურჭლის, საფენი და წამოსასხამი ნაბდების, ქუდების დამზადება, რაც უმთავრესად საოჯახო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

დავალება

10. რისი ნიშანია პანკისელი გოგონას თავსაბურავი (წყარო 4)?
11. რაზე მეტყველებს ის, რომ პანკისელები მუსლიმურ და სახალხო დღესასწაულებს ხშირად ქართველებთან ერთად აღნიშნავენ?
12. შენი აზრით, რატომ ცხოვრობენ ქისტები და ქართველები ერთმანეთის გვერდით მეგობრულად? გაიხსენე მე-5 კლასის სახელმძღვანელოდან „ჩვენი საქართველო“, რა უწყობს ხელს ტოლერანტობას, ანუ შემწყნარებლობას.
13. რომელი ქართველი პოეტის შემოქმედებაში არის ასახული ქისტების წეს-ჩვეულებები?

ხელოსნობა კახეთში

კახეთში ხელოსნობის სხვადასხვა დარგი იყო განვითარებული. ის კერამიკული წარმოების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. მრავალ სოფელში ჭურჭელს აკეთებდნენ. ერთი საუკუნის წინ თელავში 60 მეჭურჭლე ცხოვრობდა. აქ აკეთებდნენ, ძირითადად, წვრილ ჭურჭელს, ასევე, კრამიტსა და აგურს. კახეთში მზადდებოდა მოწნული ჭურჭლის ნაირსახეობაც. იცოდნენ ძალიან დიდი გოდრების დაწვნა, რომლებსაც მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. მარცვლეულის ჩასაყრელი გოდორი შიგნიდან აუცილებლად სასუქისა და ბზის ნარევით იგლისებოდა.

წყარო 5. მეთუნეები, XX საუკუნის დასაწყისი

წყარო 6. მეთუნე, XXI საუკუნის დასაწყისი

ტრანსპორტის საშუალებები კახეთში

კახეთში, როგორც სხვაგან, ძირითად სატრანსპორტო საშუალებას ძველად ორბორბლიანი ურემი წარმოადგენდა. ურემში, ჩვეულებრივ, ხარ-კამეჩს აბამდნენ. მაგრამ კახეთი ამ მხრივ ორიგინალური იყო – აქ ბევრი სახედარი (ვირი) ჰყავდათ. მეცხვარეებისთვის ვირი უფრო საჭირო იყო, ვიდრე ცხენი. ვირს ზედ ეკიდა მწყემსის ბარგი, ხურჯინი და სხვა რამ. ქიზიყში წყაროები შორს ჰქონდათ და წყლის საზიდად ვირს იყენებდნენ. ვირს გადაჰკიდებდნენ მოწნულ საკოკეებს, შიგ კოკებს ჩადგამდნენ და პატარძალი წყაროზე ხშირად ასე მიდიოდა. ასევე ვირის ყოლას განაპირობებდა ვენახების სიშორე. საგზლის მისატანად და იქიდან სხვადასხვა ჭირნახულის მოსატანად ვირს იყენებდნენ. ამასთან ერთად, მას ცოტა საკვები უნდა. კახეთში ვირების სიმრავლით ქიზიყი გამოირჩეოდა. იქ, ფაქტობრივად, სახედრის გარეშე ოჯახი არ იყო.

წყარო 7. წყაროსკენ

დავალება

14. აღწერე წყარო 5. რას ამზადებენ ეს ადამიანები? სამოსის რომელი დეტალი მეტყველებს მათ საქმიანობაზე?
15. შეადარე წყაროები 5 და 6. რა მსგავსებას ხედავ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიაში. გამოიტანე შესაბამისი დასკვნა.

1.7 კახეთის ბრძოლა გადარჩენისთვის

რა გავლენა მოახდინა საგარეო ფაქტორებმა კახეთზე?

წყარო 1. შაჰ-აბასი

ფერეიდნელი ქართველები

საქართველოში ყველამ იცის, რომ ირანის ერთ-ერთ მხარეში – ფერეიდანში ქართველები ცხოვრობენ. **ფერეიდნელი ქართველების** წინაპრები 400 წლის წინ ირანის შაჰმა ძალით აჰყარა და სამშობლოდან გადაასახლა. ბევრი ადგილობრივებს შეერია, მაგრამ ფერეიდანში გადასახლებულებმა თავიანთი ფესვები არ დაივიწყეს. სპარსეთის (დღევანდელი ირანის) მბრძანებლის **შაჰ-აბასის** შემოსევების შედეგად კახეთი ფაქტობრივად გაუკაცრიელდა. ქართველები მხოლოდ აქა-იქ თუ შემორჩნენ. კახეთი მომთაბარე ტომების საძოვრებად იქცა, ვენახები და ბაღები გაიჩეხა.

წყარო 2. ფერეიდნელი ქართველი ბავშვები და ქალები, 1927 წელი

ლექსიკონი

მიგრაცია – ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

წყარო 3. შვიდი წლის ფერეიდნელი ბიჭის ტარიელ მულიანის წერილი

ბავშვური ოცნებები

მე ტარიელი ვარ. მამიკო ამბობს, ეს დიდი სახელიაო. მამიკომ მითხრა, ქართველმა უნდა იცოდეს ქართულად წერა-კითხვაო. ძნელი კი არ იყო – ვისწავლე. მე ძალიან მიყვარს საქართველო. ის დახატულია. ... მე ვნახე აქაური მინდვრები და ხალხიც. ვნახე ჯარისკაცები, ტანკებიც. მეც ჯარისკაცის ფორმა მეცვა და საქართველოს დროშა ხელში მეკავა. ბევრმა მაკოცა... მამიკო ამბობს: შენც ერთ დღეს საქართველოს ჯარისკაცი უნდა იყო. მიხარია, რომ ქართველი ვარ. მინდა მუდამ საქართველოში ვიყო... ომი რომ იყო, მამიკომ იტირა. მე და დედიკოც ავტირდით. ვიცი, მამიკო რატომ ტიროდა. მას გული დაეწვა, რომ ქართველებს კლავდნენ. არ დამავიწყდება ის დრო. მე მიყვარს საქართველო.

ტარიელ მულიანი, 2008 წელი

✓ დავალება

1. როგორ ფიქრობ, რაზე მეტყველებს ფერეიდნელი ბავშვებისა და ქალების ჩაცმულობა (წყარო 2).
2. შენი აზრით, როგორ შეეძლოთ ფერეიდნელ ქართველებს 400 წლის განმავლობაში თავიანთი ეროვნების შენარჩუნება სამშობლოდან შორს, ირანში (წყარო 3).

ბახტრიონის აჯანყება

საქართველო კახეთს კარგავდა, მაგრამ ქართველები მტრებისგან კახეთის გამოსახსნელად გაერთიანდნენ. აჯანყების ძირითადი მონაწილენი მთიელები იყვნენ. აჯანყებას **ბიძინა ჩოლოყაშვილი**, **შალვა** და **ელიზბარ ქსნის ერისთავები** ხელმძღვანელობდნენ. აჯანყების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი იყო თუში **ზეზვა გაფრინდაული**. აჯანყების აქტიური მონაწილეები იყვნენ ხევსური **ნადირა ხოშარაული** და ფშაველი **გოგოლაური**. მთიელთა თავგანწირვა გამარჯვებით დამთავრდა. მტერი კახეთიდან განდევნეს. მხარე გადაშენებას გადაურჩა. ქართველთა ეს გმირობა ბახტრიონის აჯანყების სახელით არის ცნობილი. ეს მოხდა 1659 წელს. მაგრამ კახეთში ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ნაწილი იყო დარჩენილი. კახეთს დანარჩენმა საქართველომ უშველა. იქ დაიწყო მთიელებისა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის **მიგრაცია**. ქართველების კახეთში დასახლება მე-20 საუკუნის შუახანებამდე გრძელდებოდა.

ქართველებმა აჯანყების მოთავეებს, შთამომავლების მიერ წმინდანებად აღიარებულ, ბიძინა ჩოლოყაშვილს, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს ახალგორში ძეგლი დაუდგეს. მისი ნახვის საშუალება დღეს საქართველოს მოსახლეობას აღარ აქვს, რადგან ახალგორი 2008 წლიდან რუსეთს აქვს ოკუპირებული. ამიტომ, ყოფილი ქსნის საერისთავოდან და შიდა ქართლის სხვა ხეობებიდან ქართველები დევნილნი არიან.

წყარო 4. ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

წყარო 5. სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში კახეთზე შაჰ აბასის შემოსევების შემდეგ

„ქართველი მოსახლეობისაგან იმ მხარეში (გულისხმობს კახეთს – ავტ.) აღარავინ დარჩა... მოსახლეობის სუნიც კი არსად იყო დარჩენილი... ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველ წელს ურიცხვ სარგებლობასა და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული“.

წყარო 6. ქართველი მეცნიერი ნიკო ბერძენიშვილი მოსახლეობის შემადგენლობის ცვლილებაზე კახეთში

„ჩვენი დროის კახეთში, მაგალითად, მცირე ვინმეა ძველ კახთა და ჰერთა ჩამომავალი. ... ჩვენი დროის კახელს მცირე რამ აქვს საერთო ძველ კახთან და ჰერთან“.

დავალება

3. როგორ ფიქრობ, რატომ გაიმარჯვეს ქართველებმა ბახტრიონის აჯანყებაში?
4. როგორ აფასებს შაჰ აბასის შემოსევების შემდეგ კახეთში არსებულ ვითარებას სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში (წყარო 5)?
5. რას წერს ქართველი მეცნიერი კახეთის მოსახლეობაზე (წყარო 6)?
6. რა მიზეზები იწვევდა კახეთში მოსახლეობის ცვლილებას სხვადასხვა დროს?

დავალება

7. დაასახელე შენთვის ცნობილი მიგრაციული პროცესების შემთხვევები ძველად და თანამედროვე საქართველოში.
8. რა მიზეზები იწვევდა და დღესაც იწვევს მოსახლეობის მიგრაციას?

1.8 კახეთის ბუნების ღირსშესანიშნაობები

ბუნების რომელი ღირსშესანიშნაობებია კახეთში?

ლექსიკონი

კანიონი – ღრმა ვიწრო ხეობა.

წყარო 2. „მერცხლების ქალაქი“

კახეთი მდიდარია ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით. იქ რამდენიმე დაცული ტერიტორიაა. ქიზიყში, ივრის ზეგანზე არის **ვაშლოვანის დაცული ტერიტორია**. ვაშლოვანისაკენ გზაზე, პანტიშარას ხეობაში, ღრმა და ულამაზესი კანიონია. ხეობის ორივე მხარეს აღმართულია ციხესიმაგრის მსგავსი შვეული კლდეები, რომლებზეც მერცხლებმა უამრავი ბუდე ააშენეს. ამიტომ ამ ადგილს ხალხი „მერცხლების ქალაქს“ უწოდებს. თუმცა მერცხლების ბუდეებს ადრე გაზაფხულზე ბეღურები ეპატრონებიან, თბილი ქვეყნებიდან დაბრუნებულ მერცხლებს კი „ქალაქის“ დასაბრუნებლად ბრძოლა უწევთ.

წყარო 1. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი ხედი

წყარო 3. ტალახის ვულკანები, ვაშლოვანის დაცული ტერიტორია

იქიდან არცთუ ისე შორს სამხრეთული სპილოს გაქვავებული ძვლებია, რომელთაგან ყველაზე დიდი 87 სმ-ია, რითაც ირკვევა, თუ რამდენად გიგანტური ზომის იყვნენ მილიონი წლის წინანდელი ძუძუმწოვარი ცხოველები.

კახეთში ჩანჩქერებიც არის. ისინი **ლაგოდეხის ნაკრძალში** მდებარეობს. ერთ-ერთი მათგანის – ნინოსხევის ჩანჩქერის სიმაღლე 45 მეტრია. ულამაზეს ჩანჩქერამდე გზაში მგზავრი შეიძლება შველს, ირემს, გარეულ ღორს და მტაცებელ ფრინველსაც კი წააწყდეს. ლაგოდეხის ალპურ ზონაში კი აქაური ლანდშაფტისთვის უჩვეულოდ დიდი შავი კლდეების ტბაა.

წყარო 4. შავი კლდეების ტბა, ლაგოდეხის ნაკრძალი



წყარო 5. ნინოსხევის ჩანჩქერი, ლაგოდეხის ნაკრძალი

პანკისის ხეობაშია **ბაწარას ნაკრძალი**, სადაც ფლორის იშვიათი სახეობა – უთხოვარის ხეებია. ადგილობრივი მცხოვრებნი იქ არსებულ ყველაზე დიდხნოვან უთხოვარს „ხე პატრიარქს“ უწოდებენ. მისი ასაკია 1800 წელი. ლეგენდის თანახმად, ხალხმა თამარ მეფესთან კაცი გაგზავნა, რომ უთხოვრის ხის მოჭრის ნება მიეცა, მეფემ კი შეუთვალა, ამას ნუ მთხოვთო, რის შემდეგაც ხეს „უთხოვარი“ უწოდეს.

წყარო 6. უთხოვარის ხეები ბაწარას ნაკრძალში

დავალება

1. გაიხსენე, რა დანიშნულება აქვს ნაკრძალს.
2. რომელი ნაკრძალები მდებარეობს კახეთში?
3. რომელი ნაკრძალია შენს მხარეში?
4. ბუნების რომელი საოცრებებია კახეთის ნაკრძალებში?
5. იმსჯელეთ, ადამიანის რა ქმედებამ შეიძლება შეუქმნას პრობლემები ბუნებას.

რა ვიცი და რა შეიძლია

1. კახეთი საქართველში მეღვინეობის მთავარი ცენტრია. წარსულში აქ ყველაზე მეტი ვაზის ჯიში იყო გავრცელებული, ბოლო პერიოდში კი ვენახებში მხოლოდ რამდენიმე ჯიში შემორჩა.

- გააკეთე პროექტი, თანაკლასელებთან ერთად, ვაზის ძველი ჯიშების პოპულარიზაციის მიზნით.
- დაყავი სამ ნაწილად ყურძენი, გამოყენების მიხედვით.
- მოიძიე თითოეული ჯგუფისთვის სამი სახეობის ძველი ვაზის ჯიში.
- დაამზადე მათ შესახებ საინფორმაციო ბროშურები.
- სთხოვე დახმარება ბროშურის დიზაინის შექმნაში მშობლებს ან შენი სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს. ბროშურის შინაარსისთვის შეგიძლია გამოიყენო წყაროები 1 და 2.

შეავსე რვეულში ცხრილი: „ყურძნის ჯიშები სხვადასხვა გამოყენების მიზნით“ .

ცხრილი: ყურძნის ჯიშები სხვადასხვა გამოყენების მიზნით

საღვინე ყურძენი	საჭმელი (სუფრის) ყურძენი	ჩურჩხელის ყურძენი
1)	1)	1)
2)	2)	2)
3)	3)	3)

წყარო 1. სარეკლამო ბროშურა

ყურძნის ჯიში		რქაწითელი
ძირითადი გავრცელების არეალი		აღმოსავლეთ საქართველო – კახეთი
გავრცელების საერთო ფართობი		16 000 ჰექტარი. მათ შორის, კახეთში 13 000 ჰექტარი
გამოყენების ძირითადი სფერო		მეღვინეობა. მისგან დგება თეთრი მშრალი ღვინო
უპირატესობები და ნაკლოვანებები		დამატებითი ინფორმაცია

წყარო 2. ინფორმაცია რქაწითელის ჯიშის ყურძენზე

რქაწითელი გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, დაავადებების მიმართ ამტანიანობით, ყინვაგამძლეა. მისი სუსტი მხარეა ის, რომ საჭიროებს შეწამვლას და ძნელად იტანს დაავადება „ნაცარს“.

- ბროშურის დამზადების შემდეგ გაავრცელე იგი სოციალური ქსელების მეშვეობით. დააკვირდი ერთი კვირის განმავლობაში, რომელი ვაზის ჯიშით დაინტერესდა საზოგადოება ყველაზე მეტად და რატომ?
- გაეცანი კომენტარებს შენი დამზადებული საინფორმაციო ბროშურის შესახებ, რამდენად ამომწურავი იყო იგი და ახლიდან რომ აკეთებდე, რა ინფორმაციას დაამატებდი ან მოაკლებდი?
- გააკეთე რეიტინგული სია, რომელმა ვაზის ჯიშმა დააგროვა ყველაზე მეტი მოწონება?
- შენი დამზადებული ბროშურა და ჩატარებული კვლევა გაუგზავნე კახეთში მოქმედ ღვინის მწარმოებელ კომპანიებს. შესთავაზე მათ, თქვენი კლასის სახელზე, თავიანთ მეურნეობაში რამდენიმე ძირი ვაზი გააშენონ.

2. „დავიცვათ გარემო!“:

ა) მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტში კახეთში არსებულ რომელიმე ნაკრძალზე.
ბ) მოამზადეთ პრეზენტაცია PPT-ში იქ დაცულ იშვიათ მცენარეებსა და ცხოველებზე.
გ) დახატეთ პლაკატი, მოწოდებით „დავიცვათ გარემო!“.
დ) მოაწყეთ გამოფენა კლასში, მიძღვნილი გარემოს დაცვის საკითხისადმი.

კარი 2.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

ამ კარში შეისწავლი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს – თუშეთს, ფშავს, ხევსურეთს, მთიულეთს, ხევს, გუდამაყარსა და ერწო-თიანეთს; შეიტყობ იქ გავრცელებული ტრადიციებისა და გადმოცემების შესახებ; გაიგებ, თუ რით ჰგვანან და განსხვავდებიან ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ერთმანეთისგან და რამ გამოიწვია ეს განსხვავება; შეისწავლი მის ბუნებას, დასახლების ფორმებსა და საცხოვრებელ სახლებს; შეაფასებ მთის ტურისტულ პოტენციალს და ბოლოდროინდელ ცვლილებებს; შეიტყობ საინტერესო ისტორიულ ფაქტებს მთის წარსულის შესახებ; გაიგებ, თუ როგორ მონაწილეობდა და რა როლი ჰქონდა დაკისრებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მხარეებს ერთიანი საქართველოს სამეფოში; შეადარებ ძველად იქ არსებულ სამეურნეო საქმიანობას დღეს არსებულ მდგომარეობასთან; გაიგებ, თუ რა თავისებურებები ჰქონდა მთიელთა ყოფასა და კულტურას.

პირობითი აღნიშვნები

დასახლებული პუნქტები

- მუნიციპალიტეტის ცენტრი
- სხვა დასახლებული პუნქტი
- კურორტი

გზები

- ავტომაგისტრალი
- გზატკეცილი

საზღვრები

- სახელმწიფოს
- ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის
- დაცული ტერიტორიის

ჰიდროგრაფია

- მდინარე
- ჩანჩქერი

სხვა აღნიშვნები

- სიმაღლითი ნიშნული
- უღელტეხილი


თ ი ს ფ ე დ ე რ ა ც ი ა
ინგუშეთი
ყაბარდოეთ-ბალყარეთის ეროვნული პარკი
3898
მ. მარტინისმთა
3990
4451
მ. შანი
მ. მახისმაღალი
შატილი
ჩეჩნეთი
ერეკუნი
მუცო
4493
მ. ტებულოს მთა
ხ ე ვ ს უ რ ე თ ი
მ. ქაუხი
3842
როშკა
გუდანი
2676
2347
გუდამაყრის უღ.
უღ. დათვისჯვრისლელე
4261
მ. კომიტო
4285
გირევი
ვერიძეთისაღსარი
მ. ამუგო
3840
მ. დიკლოსმთა
გუდამაყარი
მ. დიდი ბორბალო
3294
თ უ შ ე თ ი
თუშეთის ეროვნული პარკი
დიკლო
ომალო
ფ შ ა ვ ი
ფშავის არაგვი
მ. ჭიჩო
3076
ფასანაური
ჩარგალი
2496
მ. გარეჯა
3578
ინგუშეთი
მ. შავი კლდე
მაღაროსკარი
ორი
ი ნ გ ი ლ ო
თიანეთი
სიონის წყალსაცავი
ორი
0
10 კმ

2.1 აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნება

როგორია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გეოგრაფიული პირობები?

დავალება

1. დაადგინე, რუკის დახმარებით (გვ. 6-7), რომელი მდინარეები მიედინება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. რომელი მათგანია კავკასიონის ქედის სამხრეთით და რომელი ჩრდილოეთით?

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, ძირითადად, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გასწვრივ მდებარეობს. ტერიტორიის დიდი ნაწილი ღრმა ხეობებით არის დასერილი, ხოლო მდინარეები კავკასიონის მთიანეთის მაღალი მთებიდან იღებს სათავეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ბევრია მარადთოვლიანი მწვერვალები, მაღალი კლდეები, ტყის მასივები, ალპური მდელოები (საძოვრები). ყველაზე მაღალი მთა იქ **მყინვარწვერია.** მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 5048 მეტრია. ადგილობრივი ქართველი მთიელები მას „ხევის პატარძალს“ უწოდებენ. მოწმენდილ ამინდში მყინვარწვერი თბილისიდანაც კარგად ჩანს. მყინვარწვერის დაპყრობა არა მარტო მთასვლელებს, არამედ სათანადო ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანებსაც შეუძლიათ.

წყარო 1. მყინვარწვერი და გერგეტის სამების ეკლესია, რომელიც მეფე გიორგი ბრწყინვალეს ბრძანებით აშენდა

წყარო 2. „როშკის ლოდები“ სოფელ როშკის ფონზე

დავალება

2. ივარაუდე, წყარო 1-ისა და რუკის დახმარებით (გვ. 6-7), რომელ მხარეში მდებარეობს გერგეტის სამების ეკლესია?

მთაში მნიშვნელობით და სილამაზით გამორჩეული ბევრი ადგილია. ერთ-ერთი ასეთი დაბა ფასანაურთან მდებარეობს, სადაც თეთრი და შავი არაგვი ერთმანეთს უერთდება. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მრავალ ტურისტს, მთამსვლელსა და ბუნების მოყვარულს იზიდავს. თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა ხევსურეთში, როშკისწყლის ზემო წელში არსებული **„როშკის ლოდები“**. სოფელ როშკში ორი უზარმაზარი ლოდი მნახველთა გაოცებას იწვევს. ბუნების ამ საოცრებას **„მოხეტიალე ლოდებს“** უწოდებენ, რომლებიც მსოფლიოში არსებულ ანალოგიურ ლოდებს შორის ერთ-ერთია. ერთი მათგანის სიგრძე 22 მეტრია, სიგანე – 13 მეტრი და სიმაღლე 10 მეტრი.

როშკასთან ახლოს **აბუდელაურის სამი ტბაა**. ერთმანეთის ახლოს მდებარე ეს ტბები სხვადასხვა შეფერილობისაა: მწვანე, ლურჯი და თეთრი. ტბებიდან მიწისქვეშა გასასვლელებით გამოედინება ნაკადები, რომლებიც მდინარე აბუდელაურს ქმნის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სხვა ტბებიც არის. ხევშია ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე **არჩვების ტბა**. მთიულეთშია ზამთრის კურორტი **გუდაური**, რომელსაც ყოველწლიურად ბევრი ქართველი და უცხოელი სამთო ტურისტი სტუმრობს.

წყარო 3. გუდაური

დავალება

3. დაგეგმე ლაშქრობა აბუდელაურის ტბებისა და როშკის ქვების სანახავად. ლაშქრობის დაგეგმვაში დახმარება შეუძლია გაგიწიოს შენმა თანატოლმა ადგილობრივი სოფლიდან. მოძებნე იგი ინტერნეტით და ჰკითხე რჩევა ლაშქრობასთან დაკავშირებით.
4. როგორ ფიქრობ, რა ფიზიკური მონაცემებია საჭირო მყინვარწვერის დასაპყრობად. ცხოვრების როგორ წესს უნდა მისდევდე, რომ ეს მონაცემები გქონდეს?

ლეგენდა თეთრ და შავ არაგვზე

ოდესღაც კავკასიონის უმაღლეს მთაზე ცხოვრობდა ორი ულამაზესი და, ერთი – ქერა, მეორე – შავგვრემანი. დებს საბედისწეროდ ერთი უფლისწული შეუყვარდათ, რომელმაც არჩევანი ქერა დაზე შეაჩერა.

შავგვრემანმა ეს რომ გაიგო, დაჯდა უფსკრულის პირას, იტირა-იტირა და მისი ცრემლების ნაგუბარზე წარმოიშვა მდინარე – შავი არაგვი, შემდეგ თვითონაც უფსკრულში გადაეშვა. როდესაც მეორე დამ საყვარელი დის დაღუპვის ამბავი შეიტყო, თვითონაც მოპირდაპირე მხარეს დაჯდა, იტირა-იტირა და მისი ცრემლების ნაკადიდან წარმოიშვა მდინარე – თეთრი არაგვი. ქერა დამაც მდინარეში თავი დაიხრჩო.

დებს იმდენად უყვარდათ ერთმანეთი, რომ უერთმანეთოდ ვერ გაძლეს და ორი არაგვიც ფასანაურთან ერთმანეთს უერთდება. ორ არაგვს შორის გაწოლილ მთას ადგილობრივები უფლისწულს უწოდებენ.

წყარო 4. თეთრი და შავი არაგვის შესართავი

2.2 მთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები

რატომ იყოფა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად?

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. ესენია: **ხევსურეთი**, **ფშავი**, **თუშეთი**, **ხევი**, **მთიულეთი**, **გუდამაყარი** და **ერწო-თიანეთი**. გარდა ამ მხარეებისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი შიდა ქართლის, ქსნისა და ლიახვის ხეობის ზემო წელსაც მოიცავს. აღმოსავლეთ საქართველოს მთის მხარეების ნაწილი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით მდებარეობს, ნაწილი კი ჩრდილოეთით. რაც შეეხება ხევსურეთს, იგი ქედის ორივე მხარეს ვრცელდება, ამიტომ მას **პირიქითა** და **პირაქეთა ხევსურეთად** ყოფენ.

წყარო 1. ხევსურეთის ციხე-სოფელი შატილი

დავალება

1. დაასახელე, რუკის (გვ. 8-9) დახმარებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების გეოგრაფიული მდებარეობა და მეზობლები.
2. შეადარე ერთმანეთს წყაროები 2 და 3. რა განსხვავებაა XIX და XXI საუკუნეების რუსეთ-საქართველოს საზღვარს შორის: ნაგებობები, გზა და სხვ. სცადე ამ განსხვავების ახსნა.

წყარო 2. დარიალის ხეობა XIX საუკუნეში: ზევით თამარის ციხე, ქვევით რუსული ციხესიმაგრე. დარიალის ხეობა რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარს წარმოადგენს.

წყარო 3. დარიალის ხეობა: რუსეთ-საქართველოს ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი

მთაში არსებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს მცირე ტერიტორია უკავია და იქ ბევრად ნაკლები მოსახლეობა ცხოვრობს, ვიდრე ბარში. მთაში მხარეების ჩამოყალიბებას მიზეზი აქვს. ღრმა ხეობებში მცხოვრებ მთიელებს ერთმანეთისგან მაღალი მთები ყოფდა, რაც მათ შორის კავშირს ართულებდა. ამან სხვადასხვა ხეობის მოსახლეობის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებში მცირე განსხვავება გამოიწვია.

მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დასახლების ფორმები, სამეურნეო ყოფა, ყოველდღიური ცხოვრების წესი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ ყველა მხარეს მაინც დამახასიათებელი ნიშნები აქვს. **ფშავლები** გამოირჩევიან ლაღი და მეგობრული ხასიათით, ზეპირსიტყვიერების მაღალი დონით. განთქმულია სატრფიალო პოეზია და **ფშაური კაფიაობა**, რაც ექსპრომტად, ახლადმოფიქრებული ლექსების თქმას ნიშნავს. ხევსურები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სიმამაცითა და საბრძოლო ხელოვნების მაღალი ოსტატობით. ისინი კარგი მკურნალებიც იყვნენ. წარსულში იქ თავის ქალის ურთულეს ოპერაციებს აკეთებდნენ. ხევსურეთში საგმირო პოეზიაა გავრცელებული. **თუშები** განსაკუთრებით ბრძოლისუნარიანები არიან. სხვა მთიელებთან ერთად მათ დიდი როლი ითამაშეს ბახტრიონის აჯანყებაში და კახეთის მომთაბარეთაგან განთავისუფლებაში. თუშეთი საქართველოში მეცხვარეობის მთავარი ცენტრია.

წყარო 4. ცხვრის ფარა თუშეთში

ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი ერთ-ერთი მთავარი გზა – დარიალის ხეობაში, **ხევში,** მდებარეობს. მთის სხვა მხარეებისგან განსხვავებით ხევში მოხევეები ოდითგან ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. იქ ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა. მოხევეების უმთავრესი საზრუნავი დარიალის კარის დაცვა იყო. ამ მიზნით საქართველოს საზღვართან თამარ მეფემ ციხე ააგო, უფრო ადრე კი – ვახტანგ გორგასალმა.

მთიულეთი და **გუდამაყარი** ბართან ყველაზე ახლოს მდებარეობს. ეს მოსახლეობას საშუალებას აძლევდა ქართლში სხვადასხვა წვრილმანი ნაწარმით ევაჭრა. მთიულები დახელოვნებული იყვნენ რქისა და მატყლის დამუშავებაში, იცოდნენ კანაფისგან თოკის დაგრეხა. გუდამაყარი ცნობილი იყო მუზარადებისა და მშვილდ-ისრის დამუშავებით. ბართან სიახლოვის გამო მთიულეთში ქრისტიანობა ადრიდანვე გავრცელდა.

დავალება

3. რატომ განსხვავდება ჟანრობრივად ფშავისა და ხევსურეთის პოეზია ერთმანეთისგან? როგორ ფიქრობ, რა გავლენა იქონია ამ ფაქტზე საგარეო ფაქტორმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ?
4. ივარაუდე, წყარო 1-ის დახმარებით, მეურნეობის რომელი დარგია განვითარებული ხევსურეთში და რატომ?
5. განსაზღვრე, წყარო 4-ის დახმარებით, რა პროცესია ასახული მოცემულ ილუსტრაციაზე?
6. რომელი მდინარეა გამოსახული წყარო 4-ზე?

2.3 რწმენა-წარმოდგენები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

რა როლი შეასრულა რელიგიამ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების ისტორიაში?

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ გაიყო ფხოვი ორ ნაწილად? რა გავლენა იქონია ამ ფაქტზე ფხოვის ერთ ნაწილში ქრისტიანობის გავრცელებამ?
2. განსაზღვრე, რუკის დახმარებით (გვ. 8-9), ფხოვის რომელ ნაწილში მდებარეობდა ფშავი?

მთის მოსახლეობაში, ტრადიციებისა და უძველესი დროიდან დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების გამო, სიახლეები ძნელად ვრცელდება. ამიტომ, როდესაც IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდა, მთიელებმა ახალი რელიგია არ მიიღეს. წინააღმდეგობა მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა და მთაში ახალი რელიგიის შეტანა მხოლოდ XIII საუკუნეში მოხერხდა. მაშინ ფხოვის სამხრეთ ნაწილში ხალხი სამეფოს ნებას დაემორჩილა და ახალი რელიგია მიიღო. მოსახლეობის ნაწილი, კავკასიონის ქედს გადაღმა და ძნელად მისასვლელ ადგილზე, თუშეთში გაიქცა და იქ ძველი რწმენა შეინარჩუნა. ფხოვის ჩრდილოეთ ნაწილში კი წინააღმდეგობა გაგრძელდა და ქრისტიანობა მხოლოდ მომდევნო საუკუნეებში, დროთა განმავლობაში, გავრცელდა. XIII საუკუნემდე ფშავი და ხევსურეთი ცალ-ცალკე არ არსებობდა. ისინი ერთიანი მხარის – **ფხოვის** ორ ნაწილად

ლეგენდა ლომისაზე

მრავალი საუკუნის წინ მტერმა არაგვის ხეობა დაარბია და 7000 არაგველი ტყვედ წაიყვანა. ტყვეებმა თან მთიულეთის მთავარი სიწმინდე – გზოვანის წმინდა გიორგის ხატი – წაიღეს. გადმოცემით, ხატმა მტერს დიდი ზიანი მიაყენა. მათ ქვეყანაში აღარაფერი მრავლდებოდა, ადამიანების ჩათვლით. მტერი იძულებული გახდა, ტყვეები და ხატი უვნებლად გამოეშვა საქართველოში. ხატი თეთრი ხარის რქებზე დაბრძანდა და საქართველოსკენ ისე წამოვიდა. გზად, სადაც კი ხარმა შეისვენა, ხალხმა ყველგან ნიში ააგო. შინ დაბრუნებული ხარი, ერთ ციცაბო ბილიკს შეუდგა, ქსნისა და არაგვის ხეობათა წყალგამყოფ ქედამდე მიაღწია და იქ უსულოდ დაეცა. ხატიც იქვე დაფრინდა. ამ მთის წვერიდან არაგვამდე ხალხი ჯაჭვად გაება და ტაძარი ააშენა. რაკი ხარს ლომა ერქვა, სალოცავსაც ლომისას წმინდა გიორგი უწოდეს. ამის შემდეგ ტყვედყოფილები არაგვის ხეობაში გაიფანტნენ და მადლიერების ნიშნად წმინდა გიორგის სახელზე საყდრები ააშენეს.

წყარო 1. ლომისობის დღესასწაული

გაყოფის შემდეგ წარმოიქმნა. მთაში ქრისტიანობის გავრცელების დამადასტურებელია იქ არსებული ეკლესიები: ხევში გერგეტის სამება და სიონი, მთიულეთში ხადას ქოროღოს ხუროთმოძღვრული კომპლექსი და ლომისას წმინდა გიორგი. ასევე, თითქმის ყველა სოფელშია პატარ-პატარა ეკლესიების ნანგრევები.

ფშავში, ხევსურეთსა და თუშეთში სალოცავ ადგილს წარმოადგენს არა ეკლესია, არამედ „საკულტო ძეგლი“, სადაც სანთლებს ანთებენ და ღვთისმსახურებას ასრულებენ. „საკულტო ძეგლს“ მთიელები ჯვარსა და ხატს უწოდებდნენ. მთელ საქართველოში ეს სიტყვები ქრისტიანული სიმბოლოების გამომხატველია, მთაში კი მათ ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც ბარში ეკლესია-მონასტრებს. **ჯვარ-ხატები**, ძირითადად, პატარა ზომის მარტივი ნაგებობებია. მთაში ღვთისადმი და წმინდანებისადმი აღსავლენ ლოცვებსა და ქმედებებს **ხევისბერები** ასრულებდნენ. მაგრამ მათ მიერ წარმოთქმული ყველა დალოცვა ჩვეულებრივი ქრისტიანული ტექსტი იყო, რომელიც ზეპირი გზით ერთი ხევისბერიდან მეორეს გადაეცემოდა. მეცნიერები მთიელთა ასეთ რწმენა-წარმოდგენებსა და შესრულებულ რიტუალებს **„გახალხურებულ ქრისტიანობას“** უწოდებენ. მასში შენარჩუნებულია ძველი რწმენა-წარმოდგენები.

დღესასწაულზე მოსახლეობა ჯვარ-ხატებს, ძირითადად, ცხვარსა და ხარს სწირავდა. აუცილებელი იყო ქადების გამოცხობა. როდესაც ბავშვი ხატში პირველად მიჰყავდათ, მონათვლის მსგავს რიტუალს ატარებდნენ. ამ რიტუალს **ხატში გაყვანა** ეწოდებოდა. დღეს მთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დღესასწაულებზე კვლავ ჯვარ-ხატებში დადის, თუმცა, ამჯერად, წინაპრების პატივისცემისა და ტრადიციის გამო.

წყარო 3. თუშების შესვენება სალოცავისკენ მიმავალ გზაზე

წყარო 2. ლაშარის ჯვარი – გამაერთიანებელი სალოცავია. მასზე ლოცულობს როგორც მთის, ასევე ბარის მოსახლეობა. ამ სალოცავის ნიშები კახეთშიც ბევრია, რაც მთიელების იქ ჩასახლების ერთ-ერთი ნიშანია.

დავალება

3. რამ გამოიწვია ხევსა და მთიულეთში ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება, სხვა მხარეებში კი არა?
4. აღწერე თუშების სამოსი. რით გამოირჩევა თუში ქალების იერსახე (წყარო 3)?
5. გაარკვიე, რომელი რელიგიის მიმდევრები არიან შენი თანაკლასელები. დაადგინე, როდის არის მათი რელიგიური დღესასწაულები და გააკეთე პრეზენტაცია თემაზე: რა გვაერთიანებს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს.

2.4 მთის მხარეების ადგილი საქართველოს სახელმწიფოში

რა ფუნქციას ასრულებდა მთა საქართველოსთვის?

ძველი ქართული სახელმწიფოები – **კოლხეთის (ეგრისის)** და **იბერიის (ქართლის) სამეფოები** – ძვ.წ. VI და IV საუკუნეებში შეიქმნა. სახელმწიფოს წარმოქმნა საზოგადოების ფენებად დაყოფასაც გულისხმობდა. სახელმწიფოს სათავეში მეფე იდგა. ზედაფენას – თავადები და აზნაურები წარმოადგენდნენ, ქვედაფენას კი გლეხები შეადგენდნენ. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაბალი ფენა იყო. მათი მოვალეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება იყო. ისინი ზედაფენას ემორჩილებოდნენ. ეს ყველაფერი ბარის საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. მთის საზოგადოებაში ფენებად დაყოფა არ ყოფილა. მთიელებს ბატონები (თავადები და აზნაურები) არ ჰყოლიათ. სოფლისა და თემისთვის საჭირბოროტო საკითხები სათემო ყრილობაზე და ხატობის დროს განიხილებოდა. მთაში თემის მეთაური **ხევისბერი** იყო. იგი საერო ხელისუფლებასაც წარმოადგენდა და სასულიეროსაც.

✓ დავალება

1. გაიხსენე ბახტრიონის აჯანყება და იმ მთიელების სახელები, ვინც მაშინ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი.
2. რით განსხვავდებოდა ბარისა და მთის საზოგადოება?
3. აღწერე წყარო 1. შენი აზრით, ვინ არიან სურათზე გამოსახული ადამიანები.

წყარო 1. ხევის სასამართლო (სცენა სპექტაკლიდან „ხევისბერი გოჩა“)

მთიელები სამეფო კარს ემორჩილებოდნენ. მათი ძირითადი მოვალეობა ქვეყნის საზღვრების დაცვა იყო. მაღალი მთების გადალახვას ჩრდილოეთით მცხოვრები სხვადასხვა ტომი ხშირად ცდილობდა. ჩვენს წინაპრებს მტერი სამხრეთიდანაც არასდროს აკლდა. ამ შემთხვევაშიც, ისინი ქვეყნის აქტიური დამცველები იყვნენ. მეფის დაცვის პირად ამალას ყოველთვის მთიელები შეადგენდნენ. თავის მხრივ, ქართველი მეფეები ბარში მიმოსვლის დროს მთიელებს გარკვეულ შეღავათებს აძლევდნენ. ისინი თავისუფლად აძოვებდნენ

წყარო 2. მთიელი მეომრები

ცხვრის ფარებს ბარში, ზამთრის საძოვრებზე. ასევე, ნაბოძები ჰქონდათ ვენახები კახეთსა და ქართლში, საიდანაც მოწეული ღვინო მთაში მიჰქონდათ და, ძირითადად, ხატობა-დღეობებზე სვამდნენ.

მთის მოსახლეობას, ბარის მოსახლეობასთან შედარებით, მეფისგან მეტი თავისუფლება ჰქონდა მიღებული. მთაში მეფის სამართალი არ ვრცელდებოდა და სადავო საკითხებს ადგილზე **უხუცესთა საბჭო** არჩევდა. მთის დაუწერელი კანონები ზნეობრივი და საზოგადოებრივი ნორმებიდან გამომდინარეობდა. ასეთ კანონებს **ჩვეულებითი სამართალი** ერქვა. ჩვეულებითი სამართალი დამნაშავის მიმართ მკაცრი და სამართლიანი იყო. სასჯელის უმაღლეს ზომას კი არა სიკვდილით დასჯა, არამედ თემიდან გაძევება წარმოადგენდა. თუშეთში, სოფელ დართლოში დღემდეა შემორჩენილი ის ადგილი, სადაც უხუცესები იკრიბებოდნენ და, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დამნაშავეს ასამართლებდნენ. უხუცესთა საბჭოში 12 მსაჯული იყო. ისინი ქვის სკამებზე ისხდნენ და საბჭოს ცენტრში დაჩოქილი მოსარჩლის და ბრალმდებლის სიტყვას ისმენდნენ. გადმოცემით, XIX საუკუნეში დართლოს საბჭოს გონიერებითა და სამართლიანობით განთქმული ქალი ხელმძღვანელობდა.

წყარო 3. დართლოს უხუცესთა საბჭოს შეკრების ადგილი

დავალება

4. როგორ ფიქრობ, რას ნიშნავდა მთიელისთვის თემიდან გაძევება.
5. შენი აზრით, რატომ მიანიჭა მეფემ გაზრდილი უფლებები მთის მოსახლეობას.
6. გაიხსენე, რა საქმით იყვნენ დაკავებული ქალები მთაში.
7. როგორ ფიქრობ, რატომ აღმოჩნდა ქალი დართლოს უხუცესთა საბჭოს ხელმძღვანელად.

2.5 დასახლების ტიპები და ძირითადი სამეურნეო საქმიანობა

რა გავლენა ჰქონდა ბუნებრივ პირობებს დასახლების ტიპსა და სამეურნეო საქმიანობაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში?

დასახლების ტიპი მთაში

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა მხარეში დასახლებები ერთმანეთისგან უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა. ყველა სოფელი ხეობაში ისე მდებარეობდა, რომ ვიდრე ადამიანი ახლოს არ მივიდოდა, თვალს ვერსაიდან მოჰკრავდა.

წყარო 1. ნასოფლარი ხადას ხეობაში

წყარო 2. ციხე-ქალაქი მუცო

დავალება

1. გაიხსენე განვლილი გაკვეთილები და იმსჯელე, რუკის დახმარებით (გვ. 34-35), რატომ აშენებდნენ კოშკებს მთიულეთში, ხევში, ხევსურეთსა და თუშეთში.
2. შენი აზრით, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ხადას ხეობაში სოფლის მიტოვების მიზეზები (წყარო 1). ამ სოფელში რომ გეცხოვრა, დარჩებოდი იქ? პასუხი დაასაბუთე.
3. იმსჯელე, რატომ აშენებდნენ ხევსურები სოფლებს კლდეებსა და შემაღლებულ ადგილებზე (წყარო 2).

ხევსურეთის სოფლები **შატილი** და **მუცო**, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ციხესიმაგრეებად იყო გადაქცეული. აქ თითქმის ყველა სოფელში საბრძოლო კოშკებია. ასე რომ, სოფელი თავდაცვისთვის ყოველთვის მზად იყო. სოფლის შემოვლა გარეთ გაუსვლელად შეიძლებოდა. ძირითადად, ოთხსართულიანი ქვითკირის საცხოვრებლები იყო, ქვის ფიქლების მშრალი წყობით ან ლამითა და კირით ნაგები, მიწური ბანით გადახურული. პირველ სართულზე მსხვილფეხა საქონელს აბინავებდნენ, მეორე სართულს ცხვარს უთმობდნენ, შემდეგ სართულზე თვითონ ცხოვრობდნენ, მეოთხე კი საომარი სართული იყო.

მთაში არსებობდა სოფლების გაერთიანება, რომელსაც **თემი** ერქვა. თემს ერთი საერთო სალოცავი და ხევისბერი ჰყავდა. ხშირად თემებად ხეობების მიხედვით ერთიანდებოდნენ. თითოეულ მხარეში რამდენიმე ასეთი თემი არსებობდა. სოფლების უკეთ დასაცავად ხეობის დასაწყისში ან სოფელში ციხე-კოშკებს აშენებდნენ. მარტო ხადას თემში 60 კოშკი იყო. მთიულეთში კოშკების განსაკუთრებულ ტიპს აგებდნენ. მათ ზურგი მთისკენ აქვთ მიქცეული, ამიტომ ზურგიან კოშკებს უწოდებენ. მთიულეთის კოშკებში შერწყმულია თავდაცვითი და საკულტო ფუნქციები, ე.ი. კოშკში სალოცავებიც ჰქონდათ მოწყობილი.

წყარო 3. სავაჭრო დახლები ანანურის ციხესთან

წყარო 4. ტურისტები თუშეთში

სამეურნეო საქმიანობა მთაში

მთაში მოსახლეობა მიწის სიმცირის გამო, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევდა. თუშეთში, ხევში, ფშავსა და მთიულეთში წამყვანი დარგი იყო მეცხვარეობა, ხევსურეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში კი მესაქონლეობა. მოსახლეობა მესაქონლეობის პროდუქტებს ბარში სხვადასხვა ნაწარმზე ცვლიდა. ხევსურები ბარში სამუშაოდაც დადიოდნენ.

ცნობილია თუშური **გუდის ყველი**, რომელიც განსაკუთრებული გემოთი და ცხიმიანობით გამოირჩევა. XIX საუკუნეში თუშური ყველი რუსეთის ბევრ ქალაქშიც იყიდებოდა. თუშურ მატყლს დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ გერმანული ფირმები ირანში თავიანთი ხალიჩების ფაბრიკებისთვის. თუშეთში განვითარებულია ქსოვისა და ქარგვის მაღალი ტექნიკა. თუშური ნაბადი და თექა მთელ საქართველოშია ცნობილი.

XX საუკუნის დასაწყისში მთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ბარში გადასახლდა. ამავე საუკუნის 50-იან წლებში ხელისუფლებამ ხევსურები ძალით აყარა და მეურნეობის ადგილობრივი დარგებიც მოისპო. დღეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი თითქმის მთლიანად დაიცალა. იქ ბოლო წლებში ტურიზმი განვითარდა და დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი მესაქონლეობის ნაცვლად ტურიზმის სფეროში ჩაერთო. გაიხსნა საოჯახო სასტუმროები და ადგილობრივები სტუმრებს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობენ. ქალები საოჯახო ხელსაქმით დაკავდნენ და ტურისტებისთვის სუვენირებს ამზადებენ.

ბოჭორნა

2014 წლამდე ბოჭორნა ნასოფლარი იყო, თუმცა სოფლის სტატუსი მას შემდეგ აღუდგა, რაც იქ ერთადერთი მუდმივი მცხოვრები გაჩნდა. სოფელი 76 წლის ექიმმა ირაკლი ხვედაგურიძემ გააცოცხლა. სოფლის სტატუსის დაბრუნებასთან ერთად, ბოჭორნა ევროპის მასშტაბით ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებული პუნქტი გახდა.

დავალება

4. როგორ ფიქრობ, რატომ ჰქონდათ მთიულეთში კოშკებში მოწყობილი სამლოცველო ადგილები.
5. შენი აზრით, რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მთაში მრავალსართულიან საცხოვრებელ კოშკებს აშენებდნენ.
6. გაიხსენე პირველი კარის გაკვეთილები. რა მიზნით დადიოდნენ ხევსურები ქართლში?
7. იმსჯელე, წყაროების 3-4-ის დახმარებით, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ტურიზმმა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობას.

დავალება

8. იმსჯელეთ, ეკუთვნის თუ არა ირაკლი ხვედაგურიძეს „იმედის გმირის“ სტატუსი. ნახეთ ტელეგადაცემა მასზე.

2.6 აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა და კულტურა

როგორი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოველდღიური ცხოვრება?

წყარო 1. ხევსურული „ტალავარი“

წყარო 2. ხევსური ქალის სამოსი

წყარო 3. „ჩითები“

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სამეურნეო ყოფას, ყოველდღიური ცხოვრების წესს, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს დამახასიათებელი ნიშნები აქვს, რომლითაც ეს მხარე მეზობელ მხარეებს შორის გამოირჩევა.

მაგალითად, ძველად ხევი დიდი ოჯახებით გამოირჩეოდა. ასეთ ოჯახებში რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა ერთად ცხოვრობდა.

ფშავლებს შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა **„კაი ყმა“**, რაც გამორჩეულ ვაჟკაცს ეწოდებოდა. კაი ყმად ისეთი ვაჟკაცი მიიჩნეოდა, რომელიც ხალხის სამსახურში იყო ჩამდგარი და მის ინტერესებს იცავდა.

ხევსურებს ბავშვის აღზრდის განსხვავებული ტრადიციებიც ჰქონდათ. ბავშვებს იქ შრომას ადრიდანვე აჩვევდნენ. ათი წლის ასაკიდან ვაჟები რთულილეთებიან თამაშობებს იწყებდნენ. ეს თამაშობები მათ ფიზიკურ წვრთნას ემსახურებოდა. ვარჯიშობდნენ მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ცხენოსნობაში. ათი წლის გოგონები უკვე ქსოვდნენ. ხელსაქმის პარალელურად, გოგონას დედა ყველანაირ საოჯახო საქმესაც ასწავლიდა.

ორიგინალურია ხევსურული ტანსაცმელი, ჯვრებისა და სხვა სიმბოლოების გამოსახულებით. ის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს კავკასიის ხალხთა სამოსს შორის. ხევსურულ **„ტალავარს“** ძველი ქართული ჩაცმულობის საწყის ფორმად მიიჩნევენ.

ისტორიულად, თუშეთში ისევე, როგორც სხვაგან საქართველოში, მამაკაცები ჩოხებით იმოსებოდნენ, ფეხზე კი **„ჩითებს“** იცვამდნენ. „ჩითები“ ქალებს შორისაც პოპულარული იყო. ხალხში გამოსასვლელ ჩითებს უფრო ჭრელს

დავალება

1. გაიხსენე ცნობილი ქართველი პოეტი ფშავიდან. მის რომელ ლექსს ან პოემას იცნობ, რომელშიც გადმოსცემს ფშავის ბუნებას, ან ხალხის რომელიმე წეს-ჩვეულებას?
2. რას ნიშნავს „კაი ყმა“? როგორ გესმის „ხალხის სამსახურში ჩადგომა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა“?
3. რაზე მეტყველებს ბავშვების აღზრდის ტრადიცია ხევსურეთში? შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ ის ცხოვრების ჯანსაღ წესად? პასუხი დაასაბუთე.
4. რა აცვიათ დოღის მონაწილეებს (წყარო 4)?
5. შეადარე ხევსურების სამოსი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის სამოსს. რა განსხვავებაა მათ შორის?

დოღი ხევსურეთში

ხევსურეთში დოღის გამართვა, ჩვეულებრივ, ვაჟკაცის მოსაგონრად იციან. ხევისბერი დოღის მონაწილეებს დალოცავდა და აფრთხილებდა არც საკუთარი თავი დაეზიანებინათ და არც სხვა მხედარი. მხედრები დათქმულ ადგილას მიდიოდნენ და იქიდან პირველობის მაძიებელი მხედრები ცხენებს ციცაბო ბილიკებზე თამამად მიაჭენებდნენ. მათ შორის გამარჯვებული საჩუქარსაც იღებდა.

წყარო 4. დოღი ხევსურეთში

ქსოვდნენ. კაცებისთვის ჩითი დაბალყელიანი იქსოვებოდა, ქალებისთვის – მაღალყელიანი. ტანს კი გრძელი შავი კაბით იმოსავდნენ. ჩვეულებრივი იყო ისეთი აქსესუარები, როგორიც არის ვერცხლის ყელსაბამი, ფირფიტები, სხვადასხვა ფერის მძივები.

მთაში დიდი რელიგიური დღესასწაული იყო **„ათენგენობა“**. ამ დროს თუშეთში ხევსურ მლოცველთა ორი ჯგუფი გადადიოდა თავიანთი დროშებით. თუშები მათ ლუდითა და საკლავით ხვდებოდნენ. თვითონ ხევსურებიც სტუმარმასპინძლობის მდიდარი ტრადიციებით გამოირჩეოდნენ. ათენგობას ხევშიც აღნიშნავდნენ.

წყარო 5. ხევსურული ლექსი სტუმარზე

„სტუმრებო, სტუმრების მზესა, უსტუმროდ არა ლხინია. უსტუმროდ პური, სასმელი მწარი არს, არა ტკბილია“.

დღევანდელ მსოფლიოში ადამიანები ხშირად იჩენენ ეთნიკურ და რელიგიურ შეუწყნარებლობას. ხევსურები მეზობელ ჩეჩნებთან მეგობრობდნენ. უფრო მეტიც, ამ მხარეში „რჯულიან-ურჯულოთა“ რამდენიმე სალოცავი არსებობდა, ანუ სალოცავები, რომლებიც მუსლიმებსაც მფარველობდა. მათ იქ ლოცვა შეეძლოთ. მაგალითად, ანატორში სალოცავად მისულ **ქისტებს** ხევსურები განსაკუთრებულ სუფრასაც კი უშლიდნენ.

✓ დავალება

6. სტუმარმასპინძლობის რომელი ტრადიციები არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში?
7. გადმოეცი შენი სიტყვებით ლექსი და ახსენი მისი შინაარსი (წყარო 5).
8. გაიხსენე, სად ცხოვრობენ ქისტები.
9. რას ნიშნავს შენთვის შემწყნარებლობა?
10. იმსჯელეთ კლასში თემაზე „რატომ უნდა ვიყოთ შემწყნარებლები“.

ხინკლის მომზადება

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა მხარეში ხინკლის კეთებაში ოჯახის რამდენიმე წევრი იღებდა მონაწილეობას. მას არა მარტო ქალები, არამედ კაცებიც ახვევდნენ. ამზადებდნენ ყველის, ხაჭოს, კარტოფილისგულიან ხინკლებსაც. ხაჭოს, დამბალხაჭოს, ყველისა და კარტოფილის ხინკალს ერბოთი მიირთმევდნენ.

ლექსიკონი

დამბალხაჭო – მზადდება კარაქის შედღვების შემდეგ დარჩენილი დოს ხაჭოსგან. 2014 წელს ამ კერძს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

რა ვიცი და რა შემიძლია

დაწერეთ წერილი მუნიციპალიტეტის სახელზე, რომელშიც ჩამოწერთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც, თქვენი აზრით, აუცილებელია იმისთვის, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მიტოვებულ სოფლებში ცხოვრება აღდგეს (მაგალითად, გზის გაყვანა, ვერტმფრენის რეისის დანიშვნა, სკოლის, კლინიკის და ცხოვრებისთვის აუცილებელი სხვა დაწესებულებების აშენება. თვით სახლების ცივი და ხანგრძლივი ზამთრისთვის მომზადება, ტურიზმის განვითარება და ა.შ.). შეადარეთ თქვენი წერილები, შეავსეთ ერთმანეთის იდეებით და მუნიციპალიტეტში ერთობლივი წერილი „გაგზავნეთ". წარმოადგინეთ გაკვეთილზე შედეგები PPT-ში პრეზენტაციის სახით.



წყარო 1. მთის პრობლემები

წყარო 2. ზაფხულში დაბრუნებული მთის მოსახლეობა

წერილის დაწერამდე:

1. გაიხსენეთ, მეურნეობის რომელი დარგებია განვითარებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ამა თუ იმ მხარეში.
2. მოიძიეთ, არსებობს თუ არა კულტურულ-გასართობი დანიშნულების შენობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ახსენით, ეს პრობლემაა თუ არა.
3. გადაწყვიტეთ, რომელია ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა კონკრეტული მხარისთვის, რისთვისაც ინტერნეტიდან დამატებითი ინფორმაციის მოძიება დაგჭირდებათ.
4. იმსჯელეთ, ამის შემდეგ, რას აქვს მნიშვნელობა ნასოფლარებში მოსახლეობის დასაბრუნებლად:
   ა) გზის გაყვანა;
   ბ) ვერტმფრენის რეისის დანიშვნა;
   გ) სკოლის, კლინიკის და ცხოვრებისთვის აუცილებელი სხვა დაწესებულებების აშენება;
   დ) სახლების მომზადება ცივი და ხანგრძლივი ზამთრისთვის;
   ე) ტურიზმის განვითარება.

წყარო 3. მთის პერსპექტივები

კარი 3. სამცხე-ჯავახეთი

ამ კარში შეისწავლი სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს – სამცხეს და ჯავახეთს. გაეცნობი გადმოცემებს ამ მხარეების შესახებ; გაიგებ, თუ რატომ მოიხსენიება საქართველოს ეს ორი მხარე ერთად; რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წარსულში ამ მხარეებმა და დღეს რა ფუნქცია აკისრიათ; რა გავლენა აქვს გეოგრაფიულ მდებარეობას სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკურ განვითარებაზე, დასახლების ტიპებზე; რა სტიქიური მოვლენებია მისთვის დამახასიათებელი და როგორ შეიძლება მათგან თავის დაცვა; რა მნიშვნელობა აქვს ისეთ ტრადიციას, როგორიც არის ტოლერანტობა; რომელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთში და რამდენად მშვიდობიანია მათი თანაცხოვრება.

ახალდაბა
ბორჯომი
ტბა
წალვერი
მ. წყალწითელა
2496
ბარაგაულის ეროვნული პარკი
მტკვარი
დვირი
ბაკურიანი
გუჯარეთისწყალი
გუჯარეთი
ფერსა
აწყური
ციხისჯვარი
ცხრაწყაროს უღ.
2454
ქცია
ტბაბწყური
2850
მ. შავიკლდე
რუსთავი
ალციხე
ტბაბწყურის ტბა
ასპინძა
ძველი
ურაველი
ხიზაბავრა
3284
მ. სამსარი
კოთელია
აწყვიტა
ხერთვისი
ტოლოში
ფარავანი
ფარავნის ტბა
მ. დიდი აბული
3301
ახალქალაქი
მ. გუმბათი
2963
თმოგვი
კუმურდო
ფოკა
გოგაშენი
საღამოს ტბა
საღამო
სულდა
დადეში
ნინოწმინდა
მ. ემლიქლი
3054
ხანჩალის ტბა
კარწახი
დიდი ხანჩალი
ხოზაფინის ტბა (კარწახი)
მ. ელდაღი
2495
ტბა მადათაფა
2442
მ. ოკიუზდაღი
0
8კმ

3.1 სამცხე-ჯავახეთი – საქართველოს სამხრეთი კარიბჭე

როგორია სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული მდებარეობა და რატომ მოიხსენიება ის ყოველთვის ერთად?

სამცხე და ჯავახეთი სამხრეთ საქართველოში, მტკვრის აუზის ზემო წელში მდებარეობს. ჯავახეთს, სამცხესთან ერთად, ხშირად ერთ ეთნოგრაფიულ ერთეულად მოიხსენიებენ და **სამცხე-ჯავახეთს** უწოდებენ. მაგრამ როგორც ისტორიული, ასევე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებია. მათ ერთად იმიტომ მოიხსენიებენ, რომ ამის ისტორიული საფუძველი არსებობს. წარსულში, სამცხე-ჯავახეთი და დღეს თურქეთის შემადგენლობაში შემავალი საქართველოს ყოფილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, **ზემო ქართლადაც** იწოდებოდა. მოგვიანებით, მთლიანად ზემო ქართლს **სამცხე-საათაბაგოს** ან **მესხეთს** ეძახდნენ.



წყარო 1. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად XV ს. ბოლოს

დავალება

1. როგორ მოიხსენიებოდა ძველად სამცხე-ჯავახეთი და რატომ?
2. ივარაუდე, რატომ აღმოჩნდა სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოს ხელში.

საქართველოს ამ ორივე მხარეზე ყოველთვის მნიშვნელოვანი გზები გადიოდა. სამცხედან მოკლე გზით ქართლში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში მოხვედრა შეიძლება. ჯავახეთიც ქართლთან მოკლე გზით იყო დაკავშირებული.


ბორჯომი
ტბა
წაღვერი
ბაკურიანი
ბუჯარეთისწყალი
მტკვარი
დვირი
ციხისჯვარი
ცხრაწყაროს უღ.
2454
ქცია
ტაბაწყური
ტაბაწყურის ტბა
2850
მ. შავიკლდე
ფერსა
აწყური
ზეკარის უღ.
2182
კიკიბო
აბასთუმანი
ქსაბლიანი
ზანავი
ბოლაჯური
ზარზმა
ადიგენი
ახალციხე
უდე
ვალე
რუსთავი
ასპინძა
ძველი
ურაველი
ხიზაბავრა
ხერთვისი
აწყვიტა
ტოლოში
კოთელია
მ. სამსარი
3284
ფარავნის ტბა
მ. დიდი აბული
3301
ახალქალაქი
ფოკა
მ. გუმბათი
2963
თმოგვი
კუმურდო
გოგაშენი
საღამოს ტბა
საღამო
სულდა
დადეში
ხანჩალის ტბა
ნინოწმინდა
მ. ემლიქლრ
3054
კარწახი
ხოზაფინის ტბა (კარწახი)
დიდი ხანჩალი
მ. ელდაღი
2495
ტბა მადათაფა
2442
მ. ოკიუზდაღი
0
8კმ
სამცხე
ჯავახეთი
ქართლი
ოსეთი
ანატოლიის ნაწილი
ბორჩალოს ველი
ერუშეთის ველი
ბერეთი
ტაოსკარი
ფერეიდანი
ბასიანი
ბ ა ზ ა ლ ე თ ი
ბ ა ზ ა ლ ე თ ი
ბ ა ზ ა ლ ე თ

3.2 სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობა

რა წვლილი მიუძღვის სამცხე-ჯავახეთს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში?

მესხეთი – სწავლულთა მხარე

ბევრი ცნობილი სწავლული წარმოშობით სამცხიდან იყო. მათ შორის შოთა რუსთაველი, მემატიანეები, ქართული სამართლის შემქმნელები. ამან პოეტ გრიგოლ ორბელიანს პოემაში „სადღეგრძელო“ ათქმევინა: „მესხი სწავლითა ქებული“.

სახელწოდება „სამცხე“ მომდინარეობს მესხთა ტომის სახელისგან. ამ მხარიდან არის **შოთა რუსთაველი** (XII საუკუნე), რომლის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის შედევრია. სამცხეში შეიქმნა შუა საუკუნეების კანონთა კრებული – **„სამართლის ძეგლი“**. აქვე, XII საუკუნის მეორე ნახევარში, შეიქმნა კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი **ვარძია**. იგი 13 სართულზეა განლაგებული. მონასტრის ცენტრშია თამარ მეფის დროს გამოკვეთილი ღვთისმშობლის ეკლესია. მთლიანად ვარძია 420 სათავსისაგან შედგება. მათ შორის არის 25 მარანი 185 ქვევრით. ვარძიის კომპლექსი წყლით მარაგდებოდა მთავარი ეკლესიის უკან სიღრმეში არსებული წყაროდან სამნახევარი კილომეტრი წყალსადენის მეშვეობით. ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარი მდიდარია ფრესკული მხატვრობით. აქ არის მისი აღმშენებელი მეფეების – გიორგი III-ისა და თამარ მეფის გამოსახულებები.

დავალება

1. რით ახსნი სამცხე-ჯავახეთში მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრეების, კლდეში ნაკვეთი სამალავების, კომპლექსების არსებობას?
2. წაიკითხე გრიგოლ ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“. როგორ არიან მოხსენიებული საქართველოს სხვა მხარეების წარმომადგენლები.

წყარო 1. ვარძია

წყარო 2. ვანის ქვაბების კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი

ვარძიასთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს **ვანის ქვაბების** კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი. მონასტრის ცენტრში წმიდა გიორგის ეკლესიაა, რომელიც ქვაბ-სენაკების ძირითად ნაწილთან ერთად IX-XI საუკუნეებში გამოკვეთეს. იქ 200-მდე ქვაბულია: სენაკები, საძვალე, სამეურნეო სათავსები, გვირაბები, რვა მარანი, კლდეში ნაკვეთი საწნახელი. ვანის ქვაბებში მონაზონ ქალებს კლდეზე „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი აქვთ მიწერილი.

სამცხე-ჯავახეთში ბევრი ეკლესია-მონასტერია: წუნდა, საფარა, ზარზმა, ჭულე, კუმურდო. როგორც საქართველოს განაპირა მხარე, იგი მტრის შემოსევისგან დაცული უნდა ყოფილიყო, ამიტომ იქ მრავალი ციხეა: ხერთვისის, აწყურის, თმოგვის, ახალქალაქის. ასევე, თითქმის ყველა სოფელთან იყო კლდეში გამოჭრილი სამალავები, რომლებიც შერწყმულია რელიეფთან.

სამცხე-ჯავახეთის ცენტრს **ახალციხე** წარმოადგენს. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იგი ოსმალეთის იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი. ამიტომ ქალაქის ცენტრში, რომელსაც **„რაბათს“** უწოდებენ, ქრისტიანულ წმიდა მარინეს ეკლესიასთან ერთად, XVIII საუკუნის შუა ხანებში აგებული მუსლიმთა სალოცავი – მეჩეთიც არის. რაბათი უამრავი შემოსევის შემდეგ ძალიან დაზიანდა. მისი რესტავრაცია 2011 წელს ჩატარდა. აღდგენილი რაბათის სანახავად ყოველდღიურად უამრავი ტურისტი დადის.

წყარო 3. რაბათის ციხე ახალციხეში

ლეგენდა ხერთვისის ციხეზე

თამარ მეფემ ორ კალატოზს ორი კოშკის აშენება უბრძანა. ერთი იყო ოსტატი და მეორე მისი შეგირდი. ოსტატს უნდა აეშენებინა აღმოსავლეთის კოშკი, ხოლო შეგირდს – დასავლეთის. მეფე უხვ ჯილდოს დაპირდა იმას, ვინც უფრო კოხტა და ლამაზ კოშკს ააგებდა. ოსტატი და შეგირდი საქმეს გულმოდგინედ შეუდგნენ. მუშაობის დამთავრებამდე ხალხმა ყაყანი დაიწყო: შეგირდის ნაშენი სჯობია ოსტატისასო. მართლაც, თამარს შეგირდის კოშკი უფრო მოეწონა და წინდაწინვე ხელოსანი უხვად დააჯილდოვა. ოსტატი საშინლად გაბრაზდა, იხელთა დრო და თავის შეგირდს კიბე სწორედ მაშინ გამოაცალა, როდესაც იგი კოშკის თავს ასრულებდა. რა ექნა შეგირდს? რაკი უკიბოდ ძირს ვეღარ ჩამოვიდოდა, ადგა და ორიოდე დარჩენილი ფიცრისგან ფრთები გაიკეთა. ცული წელში გაირჭო და ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გაფრინდა. მაგრამ ძირს ისე უხერხულად დაეშვა, რომ ცულით დაიჭრა და გარდაიცვალა. ამ ადგილს ხერთვისელები ახლაც მსხვერპლის ადგილს ეძახიან.

წყარო 4. ხერთვისის ციხე

დავალება

3. ახსენი რაბათში ქრისტიანული ეკლესიისა და მუსლიმური მეჩეთის ერთმანეთის გვერდით არსებობა.
4. შეაფასე ოსტატის საქციელი ხერთვისის ციხეზე ლეგენდაში.
5. გაიხენე, იმერეთის რომელი ძეგლის რესტავრაციამ გამოიწვია მისი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან ამოღება და რატომ. რა არის საჭირო, რომ ძეგლს პირვანდელი სახე შეუნარჩუნდეს?
6. რუკის დახმარებით (გვ. 50-51), შეადგინე ტურისტული მარშრუტი სამცხე-ჯავახეთში, ზედ დაიტანე კულტურისა და ბუნების ძეგლები, რომელთა ნახვას ტურისტებს სამცხე-ჯავახეთში ურჩევ.
7. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია (წიგნები, ინტერნეტი) სამცხე-ჯავახეთის ნებისმიერ ძეგლზე და მოიფიქრე რეკლამა, რომლითაც ამ ძეგლის ნახვით ტურისტებს დაინტერესებ. გააკეთე შესაბამისი პლაკატი. მოაწყეთ შემაჯამებელ გაკვეთილზე, კლასში, საუკეთესო რეკლამების/პლაკატების გამოფენა.

3.3 სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მრავალფეროვნება

რატომ შეიძლება ვუწოდოთ სამცხე-ჯავახეთს მრავალეროვანი და მრავალრელიგიური?

დავალება

1. შენი აზრით, რას გულისხმობს ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად ჩართვა.
2. იმსჯელეთ კლასში, რატომ არის საჭირო სახელმწიფო, ანუ ქართული ენის ცოდნა.
3. როგორ შეგიძლია დააინტერესო შენი სომეხი თანატოლები ჯავახეთში, ან აზერბაიჯანელები შიდა ქართლში ქართული ენის კარგად შესწავლით? მისწერე მათ წერილი, რომელშიც ჩამოწერ მიზეზებს, თუ რატომ სჭირდებათ მათ სახელმწიფო ენის ცოდნა და რით შეძლებ დახმარებას ამ საკითხში.
4. დაამყარეთ ერთმანეთთან კონტაქტი სოციალური ქსელის დახმარებით. ჯავახეთელებმა, შიდა ქართლმა მიწერეთ დანარჩენი საქართველოს თქვენს თანატოლებს, რა პრობლემები გაწუხებთ, რა მიგაჩნიათ მათი გადაჭრის გზებად.

თანამედროვე სამცხე-ჯავახეთი ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. ისტორიულად იქ ქართველები ცხოვრობდნენ, მაგრამ XVI საუკუნის ბოლოსთვის, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ, ქრისტიან ქართველებს შორის თანდათან ისლამის გავრცელება დაიწყო. ჯერ თავადაზნაურობა გამუსლიმდა, შემდეგ კი – გლეხობა. ისლამის მიღება, ძირითადად, XVIII საუკუნის შუახანებიდან დაიწყო.

ქრისტიან მოსახლეობას მუსლიმებზე თითქმის სამჯერ მეტი გადასახადი ეკისრებოდა. ქართველებს მისი გადახდა უჭირდათ და ისლამის მიღებას აიძულებდა. რელიგიასთან ერთად, თურქული ენაც გავრცელდა. რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად სამცხე-ჯავახეთი დანარჩენ საქართველოს დაუბრუნდა, მაგრამ ქართველი მუსლიმების დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა. მათგან განსაკუთრებით ჯავახეთი დაიცალა. ნასოფლარებში რუსეთის იმპერიამ, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების იმედით, ოსმალეთიდან ამ სფეროებში გაწაფული სომხები გადმოასახლა. სომხები ქალაქ ახალციხეშიც დაასახლეს.

წყარო 1. ჯავახეთელი სომხების ოჯახი

დღეს ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ სომხურ ენაზე, ჰქონდეთ სომხურენოვანი რადიო, ტელევიზია, პრესა. მაგრამ ქვეყნის ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვისთვის საქართველოს ყველა მოქალაქეს სახელმწიფო, ანუ ქართული ენის ცოდნა სჭირდება. თანამედროვე საქართველოში ამისთვის სპეციალური პროგრამებია შემუშავებული და სხვადასხვა წარმოშობის სულ უფრო მეტი მოქალაქე სახელმწიფო ენას სწავლობს, რაც საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირების შესაძლებლობას აძლევს.

მრავალრელიგიური სამცხე-ჯავახეთი

სომხებმა სამცხე-ჯავახეთში ქრისტიანობის თავიანთი მიმდინარეობა ჩაიტანეს. მათ შორის კათოლიკე სომხებიც იყვნენ. სამცხე-ჯავახეთში კათოლიკობა ქართველებს შორისაც იყო გავრცელებული და დღესაც ასეა. კათოლიკობის მიღებით ქართველებმა და სომხებმა ისლამს თავი დააღწიეს და ქრისტიანობა შეინარჩუნეს. ოსმალეთის იმპერიაში კათოლიკური ქრისტიანობა ნაკლებად იდევნებოდა, ვიდრე მართლმადიდებლური. რუსეთის შემადგენლობაში ყოფნისას, ხელისუფლება მოსახლეობის აღწერისას მუსლიმ ქართველებს ხან თათრებად, ხან კი თურქებად წერდა.

წყარო 2. სოფელ უდეს კათოლიკური ეკლესია. მასზე გაკეთებულია წარწერა, რომ უდეში ცხოვრობს ამ საყდრის ამშენებელი 2120 სული კათოლიკე და 520 სული მუსლიმი, „ორივ ტომით ქართველნი...“. ეს წარწერა ერთიანი ქართველი ერის იდეას გამოხატავს როგორც კათოლიკეებში, ასევე მუსლიმებში.

კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულ ქართველებს, ევროპელებისგან მიღებული ახალი რწმენის გამო, დანარჩენმა ქართველებმა „ფრანგები“ შეარქვეს. თუმცა სარწმუნოების გარდა მათ ფრანგებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. კათოლიკეებიც მნიშვნელოვან ზეწოლას განიცდიდნენ ოსმალებისგან. ამიტომ მათი ნაწილი ქუთაისში, გორსა და თბილისში გადასახლდა.

ჯავახეთში, რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით, XIX საუკუნეში გადასახლდნენ დუხობორები და მალაკნები. ისინი წარმოშობით და ენით რუსები არიან, თუმცა, მართლმადიდებლობისგან განსხვავებულ ქრისტიანულ რწმენას მიეკუთვნებიან. ამ რწმენის მიმდევრები ასევე გამოირჩევიან ჩაცმულობით და ტრადიციებით. რუსეთის ხელისუფლებამ განსხვავებული რწმენის გამო ისინი დასაჯა და ცენტრალური რუსეთის სოფლებიდან დაპყრობილ მიწაზე, საქართველოში, გადაასახლა. XIX საუკუნეში ხელისუფლებამ ჯავახეთის იმ ნაწილს, სადაც რუსი დუხობორები დასახლდნენ, **„დუხობორია“** შეარქვა.

წყარო 3. დუხობორები ჯავახეთში

დავალება

5. როგორი იყო სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შემადგენლობა XVI საუკუნემდე?
6. რა ცვლილება მოხდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შემადგენლობაში ოსმალების ბატონობის დროს და რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ?
7. იმსჯელე წყარო 2-ზე. როგორ გესმის სიტყვები „ორივ ტომით ქართველნი“?

3.4 მეურნეობის დარგები სამცხე-ჯავახეთში

რა სამეურნეო საქმიანობაა გავრცელებული სამცხე-ჯავახეთში?

მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა სამცხეში

მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთი ისტორიულად ერთ მხარედ მოიხსენიება, მათი სამეურნეო საქმიანობა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. სამცხე განვითარებული მიწათმოქმედების მხარეს წარმოადგენდა. ზოგან წამყვანი იყო მემინდვრეობა, ზოგან მესაქონლეობა, ან მეხილეობა და მევენახეობა. ძველთაგანვე სამცხის სოფლის მეურნეობაში გავრცელებული იყო **ტერასების** მოწყობის ტრადიცია. სამცხეში ტერასები, ძირითადად, მდინარე მტკვრის ზემო წელშია გაშენებული. აქ მდინარის კალაპოტი ვიწროა და სახნავ-სათესი მიწა მცირე. მიწის სიმცირის გამო მოსახლეობამ ფერდობები გაასწორა, ერთი მხარე ქვის კედლებით ამოაშენა და მიწა ისე მოასწორა, რომ ვენახისა და ბაღის გასაშენებლად ვაკე ადგილი შეექმნა. სამცხეში ცნობილია სოფელ ხიზაბავრის ტერასები. ისინი სიმაღლეში ზოგან 30-40 სართულსაც აღწევს.

წყარო 1. სოფელ ხიზაბავრის ტერასები

ტერასებზე სამცხელ გლეხებს, ძირითადად, ვენახი და ბაღები ჰქონდათ გაშენებული. მევენახეობა სამცხის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ოსმალების მიერ საქართველოს დაპყრობისა და ისლამის გავრცელების შედეგად მევენახეობა დაკნინდა.

✓ დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ აკეთებდნენ სამცხეში ტერასებს.
2. როგორ აფასებს პროკოფი კესარიელი მესხებს (წყარო 2ა)?
3. მეურნეობის რომელი დარგები იყო განვითარებული სამცხეში პროკოფი კესარიელისა და ჟან შარდენის სიტყვებიდან გამომდინარე (წყარო 2 ა და ბ)?
4. სამცხის მოსახლეობის რომელ ხასიათზე მეტყველებს ჟან შარდენის დახასიათება (წყარო 2 ბ)?

წყარო 2. უცხოელი ისტორიკოსი და მოგზაური სამეურნეო საქმიანობაზე სამცხეში

ა) VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი: „მესხეთის მთები სავსეა ყველანაირი სიკეთით, რადგანაც მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და აქ ვენახებიც არის“.

ბ) XVII საუკუნის ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან შარდენი: „სოფლებში რთველი იყო... უხვად გვაძლევდნენ ქათმებს, კვერცხს, ბოსტნეულს. ღვინო, პური და ხილი ბლომად გვქონდა, რადგან თითოეულ მოსახლეს თავისწილად დიდი დოქით ღვინო, ერთი კალათა ხილი და ერთი კალათა პური მოჰქონდა. ჩემგან ფულს არ იღებდნენ“.

სამცხე მდიდარი იყო ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ჭანჭურის, ალუბლის, თუთის ჯიშებით. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სამცხის მოსახლეობას თბილისში ტივებით, ხე-ტყესთან ერთად, დიდი რაოდენობით ხილი ჩაჰქონდა. თუთისგან ტყლაპი მზადდებოდა. ამ ნუგბარს სამცხეში დღესაც აკეთებენ. საქართველოში ცნობილია სამცხის თუთის არაყიც.

როგორ მზადდება ტყლაპი

ტყლაპის დასამზადებლად მწიფე თუთის ნაყოფს დიდხანს ადუღებენ, მოგვიანებით, დუღილის დროს, ხორბლის ფქვილს შეურევენ და წვენს ასქელებენ. გასქელებულ წვენს სუფთა ნაჭერზე ასხამენ და მის ზედაპირზე თანაბრად გადაასწორებენ. ნაჭრებზე დასხმულ წვენს მზეზე ფენენ გასაშრობად და გასახმობად. რამდენიმე დღეში ტყლაპი კარგად შრება და ნაჭერს ეწებება. გამომშრალ ტყლაპიან ნაჭერს ზურგის მხრიდან სველ ტილოს უსვამენ და ტყლაპს ნაჭრიდან ფრთხილად აძრობენ. ნაჭრიდან ამძვრალ ტყლაპს მზეზე კიდევ რამდენიმე დღე გაფენენ. იგი საბოლოოდ გამოშრება და ტყლაპი მზადაა.

წყარო 3. ტყლაპის დამზადება

წარსულში მემინდვრეობა სამცხის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგი იყო. მოჰყავდათ რამდენიმე ჯიშის მარცვლეული. უპირატესობით სარგებლობდა დოლის პური და დიკა, ასევე ქერი და ფეტვი. სამცხეში ხორბალი როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე ითესებოდა.

მესაქონლეობის განვითარების მაჩვენებელია მთის საძოვრებზე მრავლად შემორჩენილი საქონლის ღია სადგომები. სამცხეში მთა და ბარი ერთმანეთის სიახლოვეს არის. საზაფხულო საძოვრები – მთის იალაღები ბარის სოფლებიდან მხოლოდ შვიდი-ათი კილომეტრით არის დაშორებული, რაც მეურნეობის ამ დარგის განვითარების ხელშემწყობი იყო.

წყარო 4. საქონლის დასაბინავებელი დროებითი სადგომი – ქარვასლა (ხალხამი). უმეტესად, მსგავს სადგომებს გზების სიახლოვეს აშენებდნენ.

დავალება

5. შენი აზრით, ტყლაპის გარდა, ხილისგან კიდევ რის გაკეთება შეიძლება?
6. რომელი პროდუქტების წარმოებას შესთავაზებდი სამცხეს?
7. მოიძიე ინფორმაცია, საიდან გაჩნდა სამცხეში ლოკოკინისგან კერძის მომზადების წესი და არის თუ არა ეს კერძი გავრცელებული სხვა მხარეებშიც.

სამცხე-ჯავახური სამზარეულო

საერთო ქართულ კერძებთან ერთად, სამცხე-ჯავახეთის სამზარეულოს საკუთარი კერძებიც აქვს. მათ შორის განსაკუთრებით პოპულარულია მესხური ქადა, ბაქმაზი (თუთის გადადუღებული წვენი), თათარბერაქი (წვრილად დაჭრილი მოხარშული ცომის ნაჭრები მოშუშულ ხახვთან ერთად) და, განსაკუთრებით, აპოხტი. ეს უკანასკნელი ზამთრის დადგომამდე დაკლული საქონლის დამარილებული და გამხმარი ხორცია. მისგან აპოხტის ხინკალს ამზადებენ.

დავალება

8. რატომ სჭირდება მიწათმოქმედებას მესაქონლეობა? რა სარგებელს იღებს მისგან?
9. მოიფიქრე პროექტი, სამცხეში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელი რომელიმე საწარმოს შექმნაზე. საუკეთესო პროექტები გამოაქვეყნეთ კედლის გაზეთში. შესთავაზეთ თქვენი პროექტები სამცხელებს.

თანამედროვე სამცხეში ტერასების კულტურა მოიშალა. ძველი ხეხილის ბევრი სახეობა თითქმის გაქრა. ჯავახეთში ძველი ქართული ხორბლის ჯიშების ნაცვლად, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი სახეობები გავრცელდა. იქვე მემინდვრეობა მთლიანად ჩაანაცვლა კარტოფილის კულტურამ.

ბოლო 10 წლის განმავლობაში სამცხეში სწრაფად იზრდება ტურისტების რაოდენობა. გარდა საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული და კულტურული ძეგლებისა (ვარძია, ხერთვისი, ზარზმა, საფარა, ჭულე), მათ ინტერესს აღდგენილი რაბათის ციხის კომპლექსიც იწვევს. ტურიზმის განვითარებამ ვაჭრობისა და მომსახურების სფერო გამოაცოცხლა. გაიხსნა რამდენიმე ათეული საოჯახო სასტუმრო, სადაც ტურისტებს ადგილობრივ კერძებს სთავაზობენ.

სამეურნეო საქმიანობა ჯავახეთში წინათ და ახლა

ჯავახეთი მთიანი მხარეა, ამიტომ მეურნეობაც იქ მთისთვის დამახასიათებელი იყო. იგი უვენახო და უტყეოა. **ჯავახეთის ზეგანი** ზღვის დონიდან ძალიან მაღლა, 1600-1800 მეტრზე მდებარეობს, რაც მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებას უწყობდა ხელს. ჯავახეთის ზეგანის კიდესთან ახლოს მდებარე სოფლებმა მეურნეობის განსხვავებული სისტემა შექმნეს – მათ ბაღები და ვენახები მდინარე მტკვრისა და ფარავნის ხეობებში ჰქონდათ. ზაფხულობით ოჯახის რამდენიმე წევრი ხეხილის ბაღებს უვლიდა და იქვე ცხოვრობდა. მსგავსი ტრადიციის გამო ოჯახი, ფაქტობრივად, ორ ადგილზე ცხოვრობდა. შესაბამისად, ჯავახეთის ეს სოფლები ეკონომიკურად უფრო ძლიერი და კულტურულად დაწინაურებული იყო.

წყარო 5. ჯავახეთის ზეგანის უკიდურესი ნაპირი (სოფელი გოგაშენი) და მდინარე მტკვრის ხეობა

ჯავახეთში, სამცხის მსგავსად, მეურნეობის წამყვანი დარგები მესაქონლეობა და მემინდვრეობა იყო. მიწის ორი მესამედი მუშავდებოდა, დანარჩენი საძოვარი იყო. საქართველოში გავრცელებული თქმულების მიხედვით, ჯავახეთს **საქართველოს ბელელს** უწოდებდნენ. შუა საუკუნეებში ჯავახეთში თითქმის თანაბარი რაოდენობით ითესებოდა ქერი და ხორბალი. მარცვლეულის შესანახ ადგილს **ხარო** ერქვა. ხაროს, ძირითადად, სახლ-კარის ფარგლებში აკეთებდნენ, ზოგჯერ სახლის შიგნით, საბძელშიც. ხარო იყო კვერცხის ფორმის მოყვანილობის დიდი და ღრმა ორმო, რომელსაც კედლები ქვითკირით ჰქონდა ამოშენებული. სამხრეთ საქართველოში ყველაზე დიდი ზომის ხაროები ჯავახეთში იყო. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში მემინდვრეობა ყველაზე მეტად ჯავახეთში იყო განვითარებული. ქართველებმა მარცვლეულის ხაროებში/ორმოებში შენახვა რომ უძველესი დროიდან იცოდნენ, ამას ხალხური ლექსიც („ჩიტი და ფეტვი“) ადასტურებს: „ორმოში ფეტვი ჩავყარე შესანახადაო“.

წყარო 7. ჯავახური ოჯახი. XIX საუკუნის მეორე ნახევარი

წყარო 6. ქართული ხალხური ლექსი მემინდვრეობაზე ჯავახეთში

„მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იყო მზესავითა. კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა“.

დავალება

10. მეურნეობის რომელი დარგების განვითარებაზე მეტყველებს ქართული ხალხური ლექსი (წყარო 6)?
11. აღწერე წყარო 7. რამდენი თაობა ჩანს სურათზე? რამდენსულიანი ოჯახია? რით განსხვავდება ან ჰგავს ბავშვების და უფროსების ჩაცმულობა? რა მეტყველებს ოჯახის უფროსისადმი პატივისცემაზე? რით განსხვავდება XIX საუკუნის ჯავახური ოჯახი თანამედროვე ოჯახისგან (გვ. 56)?

ჯავახებს, სხვა საქონელთან ერთად, დიდი რაოდენობით ჰყავდათ ცხვარი. სათიბ-საძოვრების სიმრავლე მეურნეობის ამ დარგის განვითარების საშუალებას იძლეოდა.

სამცხე-ჯავახეთში სელი უმნიშვნელოვანესი მარცვლეული კულტურა იყო. აქ მისგან, ძირითადად, ზეთს ხდიდნენ. სელის მოყვანა და გადამუშავება ძალიან შრომატევადი და რთული საქმეა. თავდაპირველად, სელის მარცვალს ხალავდნენ, შემდეგ კი მძიმე ქვის ბორბალს კამეჩები ატრიალებდნენ, წნეხავდნენ და ზეთს ადენდნენ.

წყარო 8. ზეთის გამოსახდელი ხელსაწყო – გელაზი

დავალება

12. ჩამოთვალე, რისთვის იყენებდნენ წინათ სელის ზეთს საქართველოში?
13. როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ჯავახეთში სელის კულტურის გაქრობა?
14. განიხილე, რამ ჩაანაცვლა სელის მოხმარება თანამედროვე ჯავახეთში.

ჯავახეთში ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში, სელის ზეთით მკურნალობდნენ კამეჩს და ხარ-ძროხას. მის წაუსმელად ეს ცხოველები ვერ ძლებდნენ, რადგან ტკიპები კბენდნენ. მუნის შეყრის შემთხვევაში სელის ზეთი ერთადერთი წამალი იყო. სელი გამოიყენებოდა აგრეთვე ტყავის დასამუშავებლად და საღებავების დასამზადებლად. ღარიბი ხალხის მთავარი საკვებიც ხშირად სელი იყო. იმ დროს გასანათებლადაც სელის ზეთს იყენებდნენ, რადგან სხვა საშუალებები არ არსებობდა. მარხვის დღეებში კი მონასტრები, მთელი მოსახლეობა ზეთის მომხმარებელი იყო. იმდროინდელი მთავარი სავაჭრო ტრანსპორტი – აქლემები სოფლის მეურნეობის ამ პროდუქტს დიდი რაოდენობით მოითხოვდა. ჯავახეთიდან და სამცხიდან სელის ზეთი სხვაგანაც გაჰქონდათ. სამცხე-ჯავახეთში 50-ზე მეტი ზეთსახდელი იყო.

დავალება

15. დახაზე რვეულში და შეავსე ცხრილი: რამ ჩაანაცვლა სელის მოხმარება თანამედროვე ჯავახეთში?

სელის მოხმარების მიზანი წინათ	ჩანაცვლებული საშუალებები
წამალი	მალამოები
გასანათებელი საშუალება	...

თანამედროვე ჯავახეთის მეურნეობის დარგები

დღეს ჯავახეთში ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა კვლავ სოფლის მეურნეობაა, მხარის წამყვანი დარგები კი – მემინდვრეობა და მეკარტოფილეობა. მარცვლეულიდან ძირითადად ხორბალს თესავენ, მცირე რაოდენობით ქერს, ხოლო ფეტვის და სელის კულტურა გაქრა. კარტოფილი საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში გავრცელდა და მას შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით სამცხე-ჯავახეთში მოჰყავთ. აქაური შავი მიწა ამ კულტურისთვის იდეალური აღმოჩნდა. ჯავახეთში მოიპოვება ბუნებრივი წიაღისეული – პემზა. იგი კარგი სამშენებლო მასალაა. ჯავახეთში ბევრგან გვხვდება მისი საბადოები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა არის დასაქმებული.

წყარო 9. კარტოფილის დათესვა

ჯავახეთის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეფუტკრეობას. XVI საუკუნის ბოლოს სამცხე-ჯავახეთში ბევრი სკა იყო, საიდანაც ყოველწლიურად საშუალოდ 600-700 ათას კილოგრამ თაფლს იღებდნენ.

5 კარტოფილი საქართველოში

კარტოფილი ამერიკული წარმოშობისაა. საქართველოში იგი ევროპიდან გერმანელმა კოლონისტებმა XIX საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. ამის შემდეგ მეკარტოფილეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცა.

✓ დავალება

16. მეურნეობის რომელი დარგებია განვითარებული თანამედროვე ჯავახეთში?
17. გაიხსენე მე-5 კლასის სახელმძღვანელოდან „ჩვენი საქართველო“, რა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა სამცხე-ჯავახეთს ქართლთან და რატომ?
18. მოაწყეთ კარტოფილის კერძების დღე. ამისათვის: ა) გაეცანით წინასწარ ინტერნეტში ან ჰკითხეთ ოჯახის წევრებს, თუ რა კერძების მომზადება შეიძლება; ბ) ჩაატარეთ სკოლაში კონკურსი; გ) მოამზადეთ თქვენთვის ყველაზე სასურველი კერძები და მეგობრებს გაუმასპინძლდით. სპეციალური ჟიური ყველა გემრიელ კერძს გამოყოფს და სერტიფიკატით დააჯილდოვებს.

3.5 საცხოვრებელი სახლები სამცხე-ჯავახეთში

როგორ საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობდნენ სამცხე-ჯავახეთში?

ლექსიკონი

ერდო – სახლის ბანის დატანებული ხვრელი, საიდანაც ჰაერი შედიოდა და კვამლი გამოდიოდა.

კარაპანი – სახლის წინ (შესასვლელში) მიდგმული ფარდული.

დარანი – მიწისქვეშა ან კლდეში ნაკვეთი გვირაბებისა და ოთახების სისტემა.

სამცხე-ჯავახეთში, უმეტესად, გავრცელებული იყო ორგვარი საცხოვრებელი სახლი. არსებობდა **ბანიანი სახლი** და **ერდო-გვირგვინიანი დარბაზი**. სამცხურ დარბაზს, ქართლში გავრცელებული დარბაზის მსგავსად, გვირგვინისებური გადახურვა ჰქონდა. ასეთ სახლებში, ძირითადად, დიდი ოჯახები ცხოვრობდნენ. სამცხური დარბაზი დახშული საცხოვრებელი იყო. სახლში შესვლა მხოლოდ მის წინ არსებული აივნისებური **კარაპანიდან** შეიძლებოდა და მისი ყველა ოთახ-სათავსი გარესამყაროს მხოლოდ ამ ერთი შესასვლელით უკავშირდებოდა. მესხური დარბაზის გვირგვინისებურ გადახურვას, ასეთი ფორმის გამო, სამცხეში ზოგჯერ „მერცხლის ბუდეს“ უწოდებენ. ყველა სახლს სხვადასხვა სიმაღლის მრავალწახნაგოვანი გვირგვინები ჰქონდა.ზოგიერთი დარბაზის გვირგვინი 18-20 საფეხურს აღწევდა.

წყარო 1. მესხური დარბაზი

საქართველოში მტერი სამხრეთიდან პირველად სამცხე-ჯავახეთში შედიოდა. ამიტომ სახლები ისე შენდებოდა, რომ დამპყრობლებისთვის თვალში საცემი არ ყოფილიყო. ამგვარ სოფელში მოხვედრილი ადამიანი ძნელად ერკვეოდა, სოფელში იყო თუ დაუსახლებელ პუნქტში, რადგან სახლები არ ჩანდა. სოფლები, ძირითადად ფერდობ ადგილებზე, სამხრეთის მზისგულზე იყო გაშენებული. სახლები ერთმანეთის გვერდით, ნახევრად მიწაში იყო ჩადგმული. უკანა კედელი ყოველთვის მთლიანად მიწაში იყო მოთავსებული ისევე, როგორც გვერდითი კედლები. სოფელი თუ ფერდობზე იყო შეფენილი, ბანიანი სახლები ისე იყო აგებული, რომ ერთი



წყარო 2. ბანიანი სახლები

სახლის სახურავი მეორე სახლისთვის ეზოს – ბანის ფუნქციას ასრულებდა. მესხური სოფლისთვის დამახასიათებელი იყო ეკლესია, მოედანი, სოფლის წყარო და სასაფლაო. ერდოიან-გვირგვინიანი სახლის საერთო ჭერქვეშ, ერთმანეთის გვერდზე, გაერთიანებული იყო მიწური ბანით მომთავრებული სხვადასხვა დანიშნულების ერდოიანი სათავსები. ეს იყო: ბეღელი, რძის პროდუქტების დასამუშავებლი და შესანახი სათავსი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესანახი ადგილი, საკუჭნაო, ბოსელი და ცენტრალური შენობა დარბაზში. დარბაზის გვერდით მოთავსებული ჰქონდათ პურსაცხობი ღუმელი, ხოლო ბოსლის გვერდით – საბძელი.

მესხურ სოფელში სხვადასხვა უბნის სახლები ერთმანეთთან საიდუმლო გვირაბებით იყო დაკავშირებული. მოულოდნელი თავდასხმის დროს ერთი უბნის მოსახლეობა საიდუმლო კარით ერთმანეთთან გადადიოდა. მიწაში მოთავსებული სახლისთვის შემთხვევით მტერს რომ მიეგნო, ოჯახს საიდუმლო გვირაბით შეუმჩნევლად მეზობლის სახლში გადასვლა შეეძლო. ასეთი გვირაბებით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული სოფლის უბნებიც. მათი დახმარებით ასევე შესაძლებელი იყო მიწისქვეშა **დარანებში** თავის შეფარება.

დარბაზის დედაბოძზე გამოსახული ჰქონდათ მთვარე და მზე. სამცხელებმა და ჯავახებმა, საუკუნოვანი დიდი განსაცდელის მიუხედავად, მოლხენაც სათანადოდ იცოდნენ. ისინი ხშირად სწორედ დარბაზებში პურობის დროს მღეროდნენ და ცეკვავდნენ. სიმღერის დიდმა სიყვარულმა შეაქმნევინა მათ დარბაზში ქოთნებიანი გვირგვინი, რომელიც ხალხურ სიმღერებს ექო-მოძახილის ფონს უქმნიდა.

დავალება

1. ახსენი, გაკვეთილის ტექსტისა და წყარო 2-ის დახმარებით, რატომ აშენებდნენ ბანიან სახლებს სამცხე-ჯავახეთში?
2. გაიხსენე, კიდევ სად აშენებდნენ ბანიან სახლებს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
3. რა გავლენა მოახდინა სამცხე-ჯავახეთის ისტორიამ საცხოვრისის ტიპებზე?
4. როგორ იყო დაკავშირებული საცხოვრისები ბუნებრივ გარემოსთან, ლანდშაფტთან?
5. მოაწყეთ ექსკურსია ეთნოგრაფიულ მუზეუმში. შეადარეთ მესხური და ქართლური დარბაზები.

3.6 თავშესაფრები და ციხესიმაგრეები სამცხე-ჯავახეთში

როგორ იცავდნენ თავს მტრის შემოსევის დროს სამცხე-ჯავახეთში?

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. მტერი საქართველოს, უმეტესად, სწორედ ამ მხრიდან უტევდა. ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის მზად იყო თავის დასაცავად. თავის გადასარჩენად ადგილობრივები სხვადასხვა საშუალებას მიმართავდნენ. დანარჩენი საქართველოს მსგავსად, აქაც უამრავი ციხესიმაგრე და საყარაულო კოშკი იყო აშენებული. მათ შორის, გამორჩეულია ხერთვისის, ოქროს ციხე, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხისა და თმოგვის ციხეები.

წყარო 1. თმოგვის ციხე

წყარო 2. ოქროს ციხე

შალვა ახალციხელი

მესხები გამორჩეული მებრძოლები იყვნენ. ისინი ქართულ ჯარში წინა ხაზზე იბრძოდნენ. მეწინავე ლაშქრის გამორჩეული მეთაური იყო შალვა ახალციხელი, რომელიც თამარ მეფის ეპოქაში მოღვაწეობდა. განსაკუთრებული გმირობისთვის ხალხმა მას მიუძღვნა სიმღერა „შავლეგო“, რომელსაც დღესაც მღერიან. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა. მისი ხსენების დღეს კი „ახალციხობას“ აღნიშნავენ.

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა,
შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია,
შავლეგო“.

დავალება

1. მოისმინეთ, მუსიკის გაკვეთილზე ხალხური სიმღერა „შავლეგო“. გაარჩიეთ მისი ტექსტი.

სამცხესა და ჯავახეთში მრავალი მიწისქვეშა და კლდეში ნაკვეთი სამალავი – დარანი – იყო. ამოყვანილ კედლებზე გრძელ ქვებს აწყობდნენ, რაზედაც ზემოდან მიწას აყრიდნენ. ასეთი ნაგებობა გარკვეული დროის შემდეგ შეუმჩნეველი ხდებოდა, რადგან დარანზე დაყრილ მიწაზე ბალახი ამოდიოდა. შიგ მოწყობილი ჰქონდათ სამლოცველო, პურის საცხობი ფურნე. დარანები სოფლის სიდიდის მიხედვით კეთდებოდა. მოზრდილი სოფლების დარანებში 150-200 კაცი ეტეოდა. შესასვლელის გარდა, დარანს წყალზე გასასვლელიც ჰქონდა. მათ მშენებლობას გარემოც ხელს უწყობდა. დარანები, ძირითადად, ისეთ სოფლებშია გაკეთებული, სადაც ციხე-სიმაგრეები და თავდაცვის სხვა საშუალებები არ იყო.

წყარო 3. დარანის შესასვლელი კარი

ლეგენდა დარანების შესახებ

ხალხური გადმოცემის მიხედვით, წარსულში ჯავახეთს ოსმალები შეესივნენ. მტერმა ერთ-ერთ სოფელს ალყა შემოარტყა და მოსახლეობამ გაქცევა ვერ მოასწრო. როდესაც ოსმალები სოფელში შევიდნენ, ვერცერთი ადამიანი ვერ იპოვეს. საინტერესო ის იყო, რომ ზოგიერთ სახლში კერა ჯერ კიდევ ენთო და სუფრაზე ვახშამი იყო გაშლილი. გაკვირვებულმა ოსმალებმა ვერაფრით დაადგინეს, სად უნდა წასულიყვნენ ქართველები და ბოლოს ხელმოცარულები სოფელს გაეცალნენ.

სამცხეში არსებობდა მტრისგან თავდაცვის კიდევ ერთი საშუალება. იქ, სადაც სოფლის შორიახლოს კლდეები იყო, მოსახლეობას ამ კლდეში ოთახები ჰქონდა გამოჭრილი და მტრის შემოსევის დროს იქ იმალებოდა. ასეთ ხელოვნურ გამოქვაბულებს **სახიზარები** ეწოდებოდა. ისინი ისე იყო აგებული, რომ გარედან მტერს ადვილად ვერ შეემჩნია.

მეოცე საუკუნიდან მოყოლებული, სამცხე-ჯავახეთში დარბევები და შემოსევები შეწყდა, ამიტომ ყველანაირმა თავდაცვის საშუალებამ აზრი დაკარგა. დღეს დარანების უმეტესობა ჩანგრეულია, ხოლო რაც გადარჩა მხოლოდ ტურისტულ სანახაობას წარმოადგენს.

თამარ მეფე მესხურ ლეგენდებში

ლეგენდის თანახმად, თამარ მეფე ვარძიაში იმყოფებოდა. მოულოდნელად მისი ცხენი გაუჩინარდა. როდესაც მეფემ საყვარელი ცხენის ამბავი იკითხა, მსახურმა უპასუხა: მეფეო, თქვენმა ცხენმა ძველი თოკი აწყვიტა და დამალა. ამის შემდეგ დღემდე სამცხეში რამდენიმე სოფელს ეწოდა: ძველი, თოკი, აწყვეტა და დამალა.

დავალება

2. დარანები მხოლოდ სამხრეთ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. დასავლეთ საქართველოში დარანებს არ აშენებდნენ. ახსენი, რატომ.
3. აღწერე წყარო 3. როგორ ფიქრობ, რატომ ჰქონდა დარანს ქვის კარი.

3.7 ვაჭრობა, ხელოსნობა და საქალაქო ცხოვრება სამცხე-ჯავახეთში

როგორ გახდა ახალციხე მხარის მთავარი ცენტრი?

დავალება

1. რაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წარსულში ახალციხეში 24 მართლმადიდებლური ეკლესია, ასევე სინაგოგა, მეჩეთი და კათოლიკური ტაძარი იდგა?

სამცხე-ჯავახეთის პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცენტრია ქალაქი **ახალციხე**. იგი გეოგრაფიულად ძალიან მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობს. იქ თავს იყრის ქართლის, იმერეთის, გურიის, აჭარისა და ჯავახეთის დამაკავშირებელი გზები. ახალციხის ტერიტორიაზე ადამიანები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. XII საუკუნეში ქალაქი გაიზარდა. ამ მხარის მმართველებმა მას ახალციხე დაარქვეს. ისტორიულად, ახალციხეში 24 ეკლესია იყო. მართლმადიდებლური ტაძრების გარდა, XIII საუკუნის მიწურულიდან იქ იყო კათოლიკური ეკლესია, ებრაელთა სინაგოგა, მუსლიმთა სალოცავი – მეჩეთი. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან კი, სომხების გადმოსახლების შემდეგ, სომხური ეკლესიაც.

ახალციხეში განვითარებული იყო ხელოსნობა, განსაკუთრებით, ოქრომჭედლობა. ოქრომჭედლებს აქ „ყვინჩებს“ ეძახდნენ. ახალციხეში, ასევე, კეთდებოდა სპილენძის ჭურჭელი, ვერცხლის საფულეები, სათუთუნეები, საშაქრეები. გამორჩეული მდებარეობის გამო, ახალციხეში და, ზოგადად, სამ-



წყარო 1. ახალციხე XIX საუკუნეში



წყარო 2. ახალციხე დღეს

ცხეში განვითარებული იყო ვაჭრობა. ვაჭრობდნენ როგორც შემოტანილი პროდუქტით, ასევე ადგილობრივი ნაწარმით: რძის პროდუქტებით, მარცვლეულით, სელით, ხილით, თაფლით.

ვაჭრობას, ძირითადად, ქართველი კათოლიკეები მისდევდნენ. ქალაქში მათ თავიანთი ქარვასლებიც ჰქონდათ. იმერეთს სხვადასხვა საქონლით სწორედ ეს ვაჭრები ამარაგებდნენ. გასაყიდად გაჰქონდათ თოფები და პისტოლეტები. ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებული. გარდა ახალციხისა, შინამრეწველობასა და ხელოსნობას სოფლებშიც მისდევდნენ. სელისა და მატყლისაგან ქსოვდნენ ქსოვილებს, ხდიდნენ სელის ზეთს, აკეთებდნენ ურმებს, სალეწ და სახვნელ იარაღს; კერავდნენ ქურთუკებს, ქუდებს, ხურჯინებს, სქელ ე.წ. ჯვალოს ტომრებს, ქსოვდნენ ფარდაგებს, აკეთებდნენ უნაგირებს. სათანადო დონეზე იდგა მეთუნეობა და ხის დამუშავება. შინდის, იფნისა და თხილის წნელისაგან წნავდნენ კალათებს და სხვ.

წყარო 3. ახალციხის ბაზარი

დავალება

2. შეადარე ძველი და ახალი ახალციხის ცენტრი (წყაროები 1 და 2). რა ცვლილებებს ხედავ? რით ახსნი მათ?
3. ხელოსნობის რომელი დარგები იყო განვითარებული ახალციხეში?

ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა მიმოსვლა სამცხე-ჯავახეთსა და მის მოსაზღვრედ მდებარე საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს, თურქეთსა და სომხეთს შორის. ახალციხე მთელი რეგიონის ცენტრად ჩამოყალიბდა. თურქეთიდან დიდი რაოდენობით შეაქვთ საყოფაცხოვრებო ნივთები და საფეიქრო ნაწარმი. სამცხიდან კი გააქვთ თაფლი.

სამცხეში მნიშვნელოვანი სავაჭრო პროდუქტია ყველი. ძროხის რძისგან დამზადებული ცხიმიანი ყველი მთელ საქართველოშია გავრცელებული. უცხიმო ყველი კი, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გვხვდება. ასეთ ყველს **ჩეჩილი ყველი** ეწოდება. მას დაწნული ნაწნავის ფორმა აქვს. ჩეჩილი ყველის მსგავსად მზადდება **ტენილი ყველიც**. ტენილის დასამზადებლად ყველს ძაფებივით აჩეჩავენ, აყრიან მარილს, ასხამენ ნაღებს და კარგად ურევენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მას მჭიდროდ ტენიან ქოთანში. გავსებულ ქოთანს ზემოდან მარილს აყრიან, სუფთა ნაჭრით თავს უკრავენ და შესანახ ოთახში ფიცარზე ამხობენ პირით დაბლა. ტენილი ყველი ქილებში თითქმის ერთი წელიწადი ინახებოდა და სტუმრისათვის მისართმევ დელიკატესად მიიჩნეოდა. დღეს საქართველოში ტენილი ყველის ფასი ჩვეულებრივი ყველის ფასს სამჯერ აღემატება.

წყარო 4. ჩეჩილი და ტენილი ყველი

3 ვალესა და კარწახის საბაჟო-გამშვები პუნქტები

სამცხე-ჯავახეთის თანამედროვე განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია თურქეთის საზღვარზე ორი საბაჟო-გამშვები პუნქტის (ვალესა და კარწახის) გახსნამ. ამ გზით გააქტიურდა ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან და გაიზარდა ტურისტების რაოდენობა.

წყარო 5. ვალეს საბაჟო-გამშვები პუნქტი

წყარო 6. კარწახის საბაჟო-გამშვები პუნქტი

დავალება

4. როგორ ფიქრობ, რატომ სჭირდებოდათ ყველის დიდხანს შენახვა? გაითვალისწინე გარემო და ისტორიული პირობები.
5. შენი აზრით, რატომ ღირს ტენილი ყველი უფრო ძვირი, ვიდრე ჩვეულებრივი.
6. დაგეგმე უფროსებთან ერთად ბაზარში წასვლა. ჩამოწერე იმ პროდუქტების სია, რომელთა ყიდვას აპირებ. დაადგინე მათი ფასი, მიაწერე პროდუქტებს და გამოთვალე, რა თანხა გჭირდება. მანამდე კი, გააკეთე ეკონომია და დაზოგე საჭირო თანხა.

რა ვიცი და რა შემიძლია

1. უპასუხე კითხვებს:

- გაიხსენე, სამცხის ტერიტორიაზე რომელი მდინარის ხეობაში ჰქონდათ მოწყობილი ტერასები.
- სოფლის მეურნეობის რომელ პროდუქტს აწარმოებენ დიდი რაოდენობით სამცხე-ჯავახეთში?

2. შეაფასე ცხრილში მოცემული ინფორმაცია. გადახაზე რვეულში და შეავსე ცხრილი: „სწორია-არასწორია“.

სწორია		არასწორია
	1. ჯავახეთში სომხები და დუხაბორები ცხოვრობენ.	
	2. მტკვარი სათავეს სამცხედან იღებს.	
	3. ახალციხეს ძველად ლომსია ერქვა.	
	4. ვარძია მდინარე ქვაბლიანის ხეობაში მდებარეობს.	
	5. სამცხე-ჯავახეთში დარანებს მოსავლის შესანახად იყენებდნენ.	
	6. ტყლაპი ვაშლისგან მზადდება.	
	7. ჯავახეთი გურიას ესაზღვრება.	
	8. სამცხეში უფრო მეტი ტბაა, ვიდრე ჯავახეთში.	
	9. სელის ზეთს დღემდე აწარმოებენ ჯავახეთში.	
	10. ტენილ ყველს ჯავახეთში მცხოვრები სომხები აკეთებენ.	

3. სამცხე-ჯავახეთი მრავალეთნიკური მოსახლეობით გამოირჩევა. მათ შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანი სომხები არიან. მათი კულტურის პატივსაცემად კლასში სომხური კულტურის საღამო მოაწყე.

4. იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის ცოდნას. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჯავახეთში არაქართულენოვანმა მოსახლეობამ ქართული ისწავლოს? ჩამოაყალიბეთ თქვენი წინადადებები და გაუგზავნეთ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს.



5. მიმართეთ მუნიციპალიტეტს წინადადებით, მრეწველობის რომელი დარგის განვითარება შეიძლება შენს მხარეში. რომელი პროფესიები არის ყველაზე პერსპექტიული შენი მხარისთვის?

6. დაწერე რეფერატი „სამცხე-ჯავახეთი – საქართველოს სამხრეთი კარიბჭე. წარსული და დღევანდელობა“.

კარი 4. გურია

ამ კარში ისწავლი დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – გურიას. გაიგებ, თუ რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა წარსულში ამ კუთხემ და დღეს რა ფუნქცია აკისრია; რა გავლენა აქვს გეოგრაფიულ მდებარეობას მის ეკონომიკურ განვითარებაზე; ისწავლი, თუ რა მნიშვნელოვანი რესურსები ჰქონდა წინათ და რა აქვს დღეს; რომელი კურორტებია გურიაში და რა როლი აკისრია ტურიზმს ამ კუთხის განვითარებაში; როგორი იყო საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები გურიაში; გაეცნობი ამ კუთხის ღირსშესანიშნაობებს, ფოლკლორს, ტრადიციებსა და ხალხურ წეს-ჩვეულებებს.




პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
კურორტი
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
რკინიგზა
საზღვრები
ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული
ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის
დაცული ტერიტორიის
ჰიდროგრაფია
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
ჭაობი
სხვა აღნიშვნები
სიმაღლითი ნიშნული
უღელტეხილი
ლანჩხუთი
ქვემო შუხუთი
ნიგოითი
ჯაპანა
განახლება
ბურნათი
მამათი
ჩოხატაური
1204
მ. საყინულე
ნაგომარი
ბუკისციხე
ქვედა ნასაკირალი
ხიდისთავი
გუბაზეული
ნაბეღლავი
ოზურგეთი
შემოქმედი
ვაკიჯვარი
1705
მ. ზოტისწვერი
ზოტი
ჩხაკოურა
გომი
ნატანები
კურ. ბახმარო
ხ ე თ ი ს ე მ ა
მ. საყორნია
2755
მ. მეფისწყარო
1705
ქ ე დ ი
0
5კმ

4.1 გურიის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები

როგორია გურიის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები?

დავალება

1. დაადგინე, რუკის მიხედვით (გვ. 72-73):
ა) საქართველოს რომელი მხარეები ესაზღვრება გურიას?
ბ) ივარაუდე, მთიანი გურია უფრო მეტად არის დასახლებული თუ ბარის.

გურია დასავლეთ საქართველოს ყველაზე პატარა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. წარსულში გურია უფრო სამხრეთით, მდინარე ჭოროხის შესართავამდე ვრცელდებოდა. თუმცა საქართველოში სამთავროებს შორის შიდა საზღვრები სხვადასხვა მიზეზით ხშირად იცვლებოდა.

გურია შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. მიუხედავად ამისა, ის მხოლოდ დაბლობს არ მოიცავს – აქ მთიანი და გორაკ-ბორცვიანი რელიეფიც არის. ჩოხატაური მთიანი გურიაა, ლანჩხუთი და ოზურგეთი კი – ბარის. გურიის მთიანი ნაწილი მესხეთის ქედის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე მდებარეობს. გურიის ბარში ძირითადად ვაკე-დაბლობები და მცირე ზომის გორაკ-ბორცვებია. დაბლობში სუბტროპიკული ჰავაა, ამიტომაც აქ სუბტროპიკული კულტურები – ციტრუსები და ჩაი ხარობს. გურიის მთავარი მდინარეა სუფსა. ასევე, პალიასტომის ტბის სამხრეთი ნაწილიც გურიასა და სამეგრელოს ესაზღვრება. გურიაში არის როგორც მთის, ასევე ზღვის კურორტები.

წყარო 1. სოფელ ასკანას მიდამოები

წყარო 2. სოფელი ნაბეღლავი

დავალება

2. შეადარე ერთმანეთს წყარო 1 და წყარო 2. რა მსგავსებას და რა განსხვავებას ხედავ? შენი აზრით, რომელია მთის სოფელი.

წყარო 3. მალთაყვა

წყარო 4. კოლხეთის ეროვნული პარკი

გურია სასარგებლო წიაღისეულით ღარიბი მხარეა. სუფსის მიდამოებში რამდენიმე ნავთობმომპოვებელი ჭაბურღილია, თუმცა, იმდენად მცირეა ნავთობის მარაგი, რომ ამ მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს. სამშენებლო მასალებიდან მდინარე სუფსაში მოიპოვება ღორღი და ქვიშა. სოფელ ნაბეღლავში მდებარეობს ამავე დასახელების მინერალური წყლის საბადო. გურიაში მოიპოვება განსაკუთრებული თიხა, რომელსაც **„ასკანის თიხებს“** უწოდებენ. ძველი დროიდანვე ამ თიხას ადამიანები თავის დასაბანად იყენებდნენ. მისი გამოყენება შეიძლება ფარმაცევტულ და საფეიქრო მრეწველობაში, პარფიუმერიაში. მისგან საპონს ამზადებენ.

წყარო 5. ასკანის თიხები

დავალება

3. მოძებნე რუკაზე (გვ. 72-73) გაკვეთილში მითითებული გეოგრაფიული ობიექტები.

4.2 გურიის მეურნეობის დარგები

მეურნეობის რა დარგებია განვითარებული გურიაში?

დავალება

1. გაიხსენე განვლილი გაკვეთილებიდან, საქართველოს კიდევ რომელ კუთხეებში იყო გავრცელებული მაღლარი ვაზი?

გურიის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა ყოველთვის მიწათმოქმედება იყო. ცხელი და ტენიანი ჰავა ბარში მესაქონლეობის განვითარების საშუალებას არ იძლევა, მთაში კი მსხვილფეხა საქონელი მცირე რაოდენობით დღემდე ჰყავთ. წარსულში გურიაში მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ ხორბალი (ზეგან ადგილებში), ღომი, სიმინდი, ლობიო და, იშვიათად, ქერი. XVIII საუკუნიდან წამყვან კულტურად სიმინდი იქცა. გურიის სოფლებში, დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მსგავსად, მაღლარი ვაზია გავრცელებული. იქ დღემდე ათობით სახეობის ადგილობრივი ვაზის ჯიში არსებობს, თუმცა მათ შორის საყოველთად ცნობილია „ადესა“. გურიაში ხეზე ასული ვაზის დასაკრეფად **გიდელებს** იყენებენ.

წყარო 1. გიდელში დაკრეფილი იზაბელა (ადესა)

რატომ შეარქვეს ვაზს ადესა

რატომ ჰქვია დასავლეთ საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ვაზს ადესა? ადესას ნამდვილი სახელწოდებაა იზაბელა. იგი ამერიკული წარმოშობის ვაზია. საქართველოში XIX საუკუნეში უკრაინის საპორტო ქალაქ ოდესიდან შემოიტანეს და თავდაპირველად გურიაში გაახარეს. ადგილობრივებმა მისი სახელი არ იცოდნენ და რადგან ქალაქ ოდესიდან იყო ჩამოტანილი, „ადესა“ შეარქვეს. ადგილობრივ ქართულ ჯიშებთან შედარებით, იზაბელას ერთი დიდი უპირატესობა აქვს: მას შეწამვლა არ სჭირდება და რთულ ბუნებრივ პირობებშიც ადვილად ხარობს.

ჩაის ბუჩქი საქართველოში პირველად XIX საუკუნის დასაწყისში გურიაში გაჩნდა. XX საუკუნეში კი ჩაის წარმოება ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სამეურნეო საქმიანობად გადაიქცა. საქართველოში ჩაის კულტურის განვითარებისთვის მოიწვიეს ჩინელი სპეციალისტი **ლაო ჯინ ჯაო**, რომელმაც წარმატებას მიაღწია და მაღალი ხარისხის ჩაი აწარმოა. საქართველოში იმ რაოდენობის ჩაი მოჰყავდათ, რომ რამდენიმე ქვეყნის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ბოლო 25 წლის განმავლობაში საქართველოში ჩაის წარმოება მინიმუმამდე შემცირდა, რადგან პროდუქცია სხვა ქვეყნებში ვეღარ იყიდებოდა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი განადგურდა.

წყარო 2. ლაო ჯინ ჯაო ჩაის სანერგე მეურნეობაში

წყარო 3. თხილის ნარგავები გურიაში

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლებიდან გურიაში მეურნეობის ახალი დარგი – თხილის წარმოება განვითარდა. მან მნიშვნელოვნად ჩაანაცვლა ჩაის ნარგავები და ციტრუსის ბაღები. გურიაში თხილის ნარგავების ფართობი ყოველწლიურად იზრდება. საქართველო მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა თხილის წარმოებით. ძირითადად, თხილის ნარგავები გურიასა და სამეგრელოშია გავრცელებული.

საქართველოში, მათ შორის, გურიაში 2015 წელს გავრცელდა საშიში მავნებელი მწერი – აზიური ფაროსანა. მან 2016 წლის თხილის მოსავალი ნაწილობრივ, ხოლო 2017 წლის მოსავალი მთლიანად გაანადგურა. სახელმწიფო, მოსახლეობასთან ერთად, მის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა.

წყარო 4. ტურისტები გურიაში

დავალება

2. შენი აზრით, რა ზომები შეიძლება გატარდეს თხილის წარმოების განვითარებისთვის.
3. როგორ ფიქრობ, რით შეგიძლია დაეხმარო გურიის მოსახლეობას ფაროსანასთან ბრძოლაში.
4. მოიძიე ინფორმაცია ინტერნეტში, რა მდგომარეობა არის საქართველოში მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.
5. შენი აზრით, რა განაპირობებს მეურნეობის ახალი დარგების განვითარებას და ძველის გაქრობას.

4.3 გურია – კურორტებით მდიდარი მხარე

როგორ ვითარდება ტურიზმი გურიაში?

გურია სხვადასხვა ტიპის კურორტებით მდიდარი მხარეა. ტურიზმი XXI საუკუნეში გურიის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იქცა. აქ არის ზღვის, მთისა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტები. გურიაში მდებარეობს ურეკის, შეკვეთილისა და გრიგოლეთის ზღვის სანაპიროები. ურეკი შავიზღვისპირეთის სხვა კურორტებისგან გამოირჩევა სამკურნალო თვისებების მქონე მაგნიტური ქვიშიანი პლაჟით. სამკურნალო ქვიშა აქ მდინარე სუფსამ ჩაიტანა, რამაც მკურნალობისა და დასვენებისთვის საუკეთესო პირობები შექმნა. ურეკი განსაკუთრებით ბავშვებს უყვართ, ვინაიდან ქვიშიანი სანაპირო და თავთხელი წყალი მოსახერხებელია მათთვის, ვინც ცურვა არ იცის.

წყარო 1. „ბლექ სი არენა“

თანამედროვე შეკვეთილი

კურორტი შეკვეთილი ცნობილია მაგნიტური სამკურნალო ქვიშითა და ფიჭვნარით. ბოლო წლებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იქ კავკასიაში ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზი „ბლექ სი არენა“ და ატრაქციონების პარკი „ციცინათელა“ გაიხსნა, შეკვეთილს უამრავი დამსვენებელი მიაწყდა. გაიხსნა ახალი საოჯახო სასტუმროები. საერთაშორისო ფესტივალების ფარგლებში საკონცერტო დარბაზში მსოფლიო დონის ვარსკვლავები გამოდიან. მათ მოსასმენად სხვადასხვა ქვეყნიდან მრავალი ტურისტი ჩამოდის. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალს ზრდის.

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რა როლს თამაშობს საკონცერტო დარბაზი შეკვეთილის, როგორც კურორტის, განვითარებაში.

წყარო 2. ურეკის სანაპირო

მას, ვისაც ზღვა არ უყვარს, შეუძლია საყოველთაოდ ცნობილ სამთო-კლიმატურ კურორტზე – ბახმაროში დაისვენოს. ურეკის მსგავსად, ბახმარო ერთდროულად დასასვენებელი და სამკურნალო კურორტია. იგი ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარეობს. აქ ერთმანეთს ერწყმის მთისა და ზღვის ჰაერი, რომელიც მზის ულტრაიისფერ სხივებთან ერთად განსაკუთრებულ ჰავას აყალიბებს. სწორედ ამ ჰავას აქვს პროფილაქტიკური და სამკურნალო თვისებები სასუნთქი გზებით დაავადებული ადამიანებისთვის. გურიის მთებში მდებარეობს ასევე არანაკლებ ცნობილი გომის მთა.

წყარო 3. დოღი ბახმაროში

დავალება

2. მოძებნე რუკაზე (გვ. 72-73):
ა) დასახლებული პუნქტები, რომლებსაც გაივლი გზაზე ურეკიდან ბახმაროსკენ.
ბ) კურორტი ბახმარო და გომის მთა. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ ადგილმდებარეობას შორის?
გ) გურიაში არსებული მთისა და ბარის კურორტები.
3. შენ სად ისურვებდი დასვენებას? ახსენი, რატომ.
4. მოამზადე პრეზენტაცია თემაზე: „კურორტ შეკვეთილის განვითარების პერსპექტივები. მანამდე
ა) მოიძიე ინფორმაცია (ინტერნეტში, ინტერვიუს გზით და სხვ.) კურორტ შეკვეთილზე.
ბ) რომელი ბიზნესი შეიძლება იყოს იქ ყველაზე მომგებიანი.
გ) ჩამოწერე რეკომენდაციები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რათა მათი შემოსავალი გაიზარდოს.
5. მოიძიე ინფორმაცია საქართველოს ცნობილ მინერალურ წყლებზე.

როგორ აღმოაჩინეს კურორტი ბახმარო

ბახმაროს ჰაერის უნიკალური სამკურნალო თვისებები პირველად XIX საუკუნის 80-იან წლებში ამ მხარეში ზაფხულის საძოვრებზე ასულმა მწყემსებმა აღმოაჩინეს. ერთ-ერთი მწყემსი ტუბერკულოზით იყო დაავადებული და ბახმაროს ჰაერმა საბოლოოდ განკურნა. ამის შესახებ ხმა მალე გავრცელდა და იმავე საუკუნის ბოლოს, სპეციალურად სამკურნალოდ, ბახმაროში მძიმედ დაავადებული ავადმყოფები აჰყავდათ.

ნაბეღლავი

საქართველოში 730-ზე მეტი სახეობის თერმული და მინერალური წყალი მოიპოვება. მათი იშვიათი თვისებები ძველი დროიდან არის ცნობილი. ადგილობრივი მცხოვრებნი ამ წყლებს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ იყენებენ. ბევრი ასეთი წყაროს ადგილას კურორტები შეიქმნა. ერთი-ერთი ასეთი ადგილია სოფელი ნაბეღლავი, რომელიც დღეს უკვე კურორტს წარმოადგენს. მის მახლობლად 1905 წელს მინერალური წყლის საბადო აღმოაჩინეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ წყაროს, რომელსაც ხარები ეტანებოდნენ. მეცნიერებმა ის შეისწავლეს და დაადგინეს, რომ მას სამკურნალო თვისებები ჰქონდა. დღეს ნაბეღლავი 20-ზე მეტ ქვეყანაში გააქვთ.

4.4 დასახლების ტიპები და სამშენებლო საქმე გურიაში

როგორ და რა მასალით აშენებდნენ სახლებს გურიაში?

გურიაში დასახლების ტიპი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები თითქმის ისეთივეა, როგორიც იმერეთსა და სამეგრელოში. ეზო-კარმიდამოში განლაგებულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. სახლები, შეძლებისდაგვარად, გორაკ-ბორცვებზეა აშენებული. მაღალმთიან გურიაში ერთი სოფლის სხვადასხვა უბანი ზოგჯერ იმდენად არის ერთმანეთისგან დაშორებული, რომ სხვადასხვა სოფელს ჰგავს. ქვემო გურიაში სახლები ერთმანეთის გვერდით არის განლაგებული. ეზო-კარმიდამო კარგად მოვლილი და გამწვანებულია.

საუკუნეების განმავლობაში გურიაში სახლები აუცილებლად ხისგან შენდებოდა. ისინი ერთსართულიანი იყო და საკმაოდ მაღალ ხიმინჯებზე იდგა. ეზოში სხვადასხვა სამეურნეო სათავსი იყო: საწნახელი, სასიმინდე, საღორე, ბოსელი და საზაფხულო სამზარეულო. მთავარი საცხოვრებელი სახლი ყავრით იყო გადახურული ან იშვიათად – კრამიტით, დამხმარე სახლები – სპეციალური ბალახით, ისლით.

წყარო 1. ოჯახი ისლით გადახურული სახლის წინ. XIX საუკუნის მეორე ნახევარი

წყარო 2. ოდასახლი

დავალება

1. შეადარე წყაროები 1 და 2. რით განსხვავდება ისინი? რომელი სახლია საცხოვრებლად უკეთესი და რატომ?

წყარო 3. გურულები. XIX საუკუნის მეორე ნახევარი

გურიაში ხშირად ეკლესიებსაც ხისგან აშენებდნენ. ხის ეკლესიები ტრადიციული მასალით აშენებული ტაძრებისგან განსხვავებით, მალე დაინგრა ან მტრის შემოსევების დროს დაწვეს. დღემდე ბახმაროს ეკლესიის გარდა, გურიაში ვერც ერთმა ხის ეკლესიამ ვერ მოაღწია.

წყარო 4. ბახმაროს ეკლესია

XX საუკუნეში ადამიანების ცოდნა და შესაძლებლობები განვითარდა. სპეციალისტებმა კოლხეთის დაბლობზე ბევრი ჭაობი დააშრეს, რის გამოც ზღვისპირა მხარეებში ტენიანობა შემცირდა. მეცნიერებმა გამოიგონეს ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები და განსხვავებული სამშენებლო მასალები შექმნეს. ამ ცვლილებების შემდეგ შესაძლებელი გახდა უფრო კომფორტული და კეთილმოწყობილი სახლების მშენებლობა. გურიაში ახალი მშენებლობები, ძირითადად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, ამიტომ ძველებურ ხის სახლებს თითქმის აღარ აშენებენ. ზღვისპირა კურორტ გრიგოლეთში კომფორტული სახლები სანაპიროზე, ზღვიდან 20 მეტრის დაშორებით არის აშენებული.

დავალება

2. აღწერე წყარო 3. შეადარე გურულების სამოსი შენთვის ცნობილი სხვა მხარეების მოსახლეობის სამოსს.
3. გაიხსენე, რატომ შენდებოდა გურიაში და დასავლეთ საქართველოში საცხოვრებელი ნაგებობები ხისგან.
4. გაიხსენე განვლილი მასალა და ივარაუდე, როდის შეიძლება აშენებულიყო ბახმაროს ეკლესია.



წყარო 5. გრიგოლეთი

4.5 გურული ფოლკლორი

რით გამოირჩევა გურული სიმღერები?

წყარო 1. გურულების ოჯახი

დავალება

1. რომელ ინსტრუმენტებს ხედავ (წყარო 1)? რაზე მეტყველებს ეს?

გურულები მღეროდნენ არა მარტო ლხინში, ქორწილში, არამედ შრომის დროსაც. მათი სიმღერა შეხმატკბილებულია შრომის პროცესთან. იგი აადვილებდა და ნაყოფიერს ხდიდა მუშაობას, აძლევდა მას შინაარსსა და ხალისს. გურულ სიმღერაში ყველაზე მაღალხმიანია მამაკაცების შესასრულებელი **„კრიმანჭული“** სიმღერები. კარგად შესრულებული „კრიმანჭული“ სიმღერა შესაძლებელია სამი-ოთხი კილომეტრის დაშორებითაც ისმოდეს. სიმღერის ასეთ შორ მანძილზე გავრცელებას ხელს უწყობდა გურიის მთებიც. გურიაში კარგი მომღერლების დაფასება ტრადიციად იყო ქცეული. მათ შესახებ ათწლეულების მანძილზე საუბრობდნენ და არ ივიწყებდნენ.

წყარო 2. კრიმანჭულის შემსრულებლები

ანზორ ერქომაიშვილი

ანზორ ერქომაიშვილი გურული ხალხური სიმღერების არა მარტო შემსრულებელი, არამედ შემკრებიც არის. მისი გვარის წარმომადგენლები 300 წელია გალობენ. სიმღერა ბაბუამ – არტემმა ასწავლა. 3-4 წლის ასაკში პირველად გამოვიდა სცენაზე ბაბუასთან ერთად. ამის შემდეგ სცენაზე დგას და წლებია ანსამბლ „რუსთავს“ ხელმძღვანელობს. მის სახელს უკავშირდება გურული ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია.

წყარო 3. მომღერალი, საგუნდო დირიჟორი, ხალხური სიმღერების შემკრები ანზორ ერქომაიშვილი

გურიაში ასევე პოპულარული იყო **ყანური ანუ ნადური სიმღერა**, რომელიც შრომის პროცესის – სიმინდის თოხნის დროს სრულდებოდა. თოხს სიმღერის ტემპს აყოლებდნენ, თოხის დარტყმა და სიმღერა რიტმული უნდა ყოფილიყო. სიმღერის პროცესში დროც უფრო სწრაფად გადიოდა და ნადის წევრებიც შედარებით ნაკლებად იღლებოდნენ.

გურიაში ფართოდ გავრცელებული იყო სიმღერა **ელესაც**. ელესას ტვირთის აწევისა და გადატანის დროს მღეროდნენ. XX საუკუნის დასაწყისში გურიაში საურმე გზები ნაკლებად იყო. საშენი ხე-ტყე და ჭირნახული ტყიდან და ყანიდან ზურგითა და მხრით გაჰქონდათ. ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა მრავალ მუშახელს მოითხოვდა. გურულისთვის უსიმღეროდ მძიმე ტვირთის გადატანა კი წარმოუდგენელი იყო. სიმღერას დამწყები-მთქმელი და ხელმძღვანელი ჰყავდა. სანამ ტვირთი სახიფათო ადგილას იყო, მანამ ელესა ერთპირი იყო, მაგრამ როდესაც ტვირთს სამშვიდობოზე გადაიტანდნენ, მაშინ „ერთპიროვნული დიქტატურა“ უქმდებოდა და სიმღერა ორპირად, უფრო მხიარულად და უდარდელად ჩაღდებოდა.

წყარო 4. ნადი

გურიაში გავრცელებული სხვადასხვა სასიმღერო ტრადიცია: ნადი, ელესა და კრიმანჭული მეოცე საუკუნემდე ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად სრულდებოდა. ბოლო დროს ელესას ტრადიცია დავიწყებას მიეცა და ნადსაც იმდენად ხშირად აღარ მღერიან, როგორც ადრე.

გურიაში მღეროდნენ რთველის დროსაც. ეს სიმღერებია „აგიდელა“ და „აგუნა“. მომღერალთა ორი ან სამი ჯგუფი ერთმანეთს ეჯიბრებოდა. განსაკუთრებით ქალისა და ვაჟის მაყრები პაექრობდნენ. დღეს ეს ტრადიციაც დავიწყებულია.

ელესა

ელესა ულექსო სიმღერა იყო:

„ელესა და ასწი ბიჭო!
ელესა და დასწი ბიჭო!
ელესა და გასწი ბიჭო!“

ამ სიტყვებს ხელმძღვანელი ამბობდა, დანარჩენები კი მიაყოლებდნენ, ბანს აძლევდნენ: ელესა და ვიო, ვიო, ოო! როდესაც ტვირთს დანიშნულების ადგილზე მიიტანდნენ, მაშინ ელესას უფრო სწრაფი ტემპით მღეროდნენ – „ელე, ელე, ელე-ჰა, ელესა და ვიო და იო“.

დავალება

2. როგორ ფიქრობ, რამ გამოიწვია ელესას გაქრობა ყოველდღიური ცხოვრებიდან.
3. გაიხსენე განვლილი მასალიდან, გურიის გარდა, კიდევ რომელი კუთხისთვის იყო დამახასიათებელი სიმღერით პაექრობა.
4. შენი აზრით, როგორ შეიძლება მომავალი თაობებისთვის ფოლკლორის ნიმუშების შენარჩუნება.

4.6 სპორტული თამაშები გურიაში

როგორია გურული სპორტული თამაშები?

საქართველოში დროთა განმავლობაში სხვადასხვა ხალხური სპორტული თამაში შექმნეს. ადამიანები დღესასწაულების დროს არა მხოლოდ ცეკვავდნენ და მღეროდნენ, არამედ ერთმანეთს ერკინებოდნენ და ასპარეზობდნენ. ეს მათ გამოწრთობასა და ფიზიკურ ვარჯიშში ეხმარებოდა. გურიაში ბოლო დრომდე მოაღწია ისეთმა სპორტულმა თამაშებმა როგორიც არის **ლელობურთი, ჭაკუნი/ჭაკუნობა** და **დოღი**. ბახმაროში დოღში შეჯიბრი დღესაც იმართება.

ლელობურთის დროს ერთმანეთს ორი გუნდის წევრები – სხვადასხვა უბნელები ან ცოლიანები და უცოლოები – ერკინებოდნენ. ლელობურთის დაწყებისას, მოედნის შუაგულში მაღლა აგდებულ ბურთს ვინც დაიჭერდა, ის მოპირდაპირე წრის გარღვევას და გაქცევას შეეცდებოდა. მოწინააღმდეგენი ბურთის წართმევას ცდილობდნენ. წარმატებული წინსვლის შემთხვევაში, მოპირდაპირე მხარის ზურგისკენ, ანუ ლელოსაკენ მიიწევდნენ. თუ ბურთს დაკარგავდნენ, ახლა მოწინააღმდეგე მხარე ცდილობდა იგივე მოემოქმედა. გამარჯვებულად ცხადდებოდა ის, ვინც მეტ ლელოს გაიტანდა. მოთამაშეების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

წყარო 1. ლელობურთი შუხუთში

გურიაში საყოველთაოდ იყო გავრცელებული ჭაკუნობაც. ჭაკუნი ეწოდებოდა ჯოხს, რომლის სიგრძე მოთამაშის სიმაღლის უნდა ყოფილიყო. ჭაკუნს ხის ტოტისაგან აკეთებდნენ. მას ძირი მოღუნული უნდა ჰქონოდა. ჭაკუნობის სათამაშო ბურთი მუშტისოდენა იყო. იცოდნენ ბურთის საქონლის ბეწვისგან გაკეთება, ხისგან გამოთლა, იშვიათად, მატყლისგან დამზადება, რომელსაც გარედან ტყავს აკრავდნენ. აქაც ბურთი ლელოში უნდა გაეტანათ, ოღონდ ჭაკუნის დარტყმით. ამჟამად ჭაკუნობა უკვე მივიწყებული თამაშია.

✓ დავალება

1. რომელ თანამედროვე, მსოფლიოში პოპულარულ თამაშს მოგაგონებს ლელობურთი? რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ თამაშს შორის?
2. რომელ თამაშს ჰგავს შინაარსით ჭაკუნობა?
3. გამოთქვი ვარაუდი, რატომ აღარ თამაშობენ ჭაკუნობას.
4. მოიძიე ინფორმაცია გურულ მხედრებზე ამერიკაში. როგორ ფიქრობ, რატომ წავიდნენ ისინი შორეულ ქვეყანაში.
5. შეეცადეთ, თანაკლასელებთან ერთად, სპორტის გაკვეთილზე ლელობურთის ან ჭაკუნობის გაცოცხლება. ამისთვის შესაფერისი ბურთი წინასწარ მოიმარაგეთ.

რა ვიცი და რა შემიძლია

1. სამკურნალო კურორტები და მათი დანიშნულება

გურიის ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა მთისა და ბარის კურორტები. შეავსე რვეულში ცხრილი და ინტერნეტის დახმარებით შეაფასე, რომელ კურორტს რა დანიშნულება აქვს?

ცხრილი: გურიის მთისა და ბარის კურორტები

კურორტები	დანიშნულება
ბახმარო	
ურეკი	

ლექსიკონი

რეპერტუარი – თეატრში, ესტრადაზე, კონცერტზე შესრულებულ ნაწარმოებთა ერთობლიობა.

2. გურული სიმღერების კონცერტი

- მოაწყე გურული სიმღერის კონცერტი მუსიკის მასწავლებელთან ერთად. კონცერტის ჩატარებამდე კლასში გამოიკითხე, რომელი გურული სიმღერებია ყველაზე ცნობილი.
- გაეცანი გურულ სიმღერებს ვებგვერდზე: http://www.alazani.ge/Guria-guruli-simgerebi-sagaloblebi-kutxe5.html
- შეარჩიე ის სიმღერები, რომლებიც ყველაზე მეტად მოგეწონება.
- შეაჯერეთ თქვენი არჩევანი და შეადგინეთ რეპერტუარი.
- მოისმინეთ კლასში შერჩეული სიმღერები.
- განიხილეთ მოსმენილი სიმღერები და დაასახელეთ გურული სიმღერის თავისებურებები.
- შეადარეთ სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სიმღერებს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?

3. სპორტული თამაშობები

- მოიძიე ინფორმაცია (მაგალითად, ლეგენდა, ისტორია, კონკრეტული ამბავი) საქართველოს სხვადასხვა მხარეში გავრცელებულ სპორტულ თამაშობებზე.
- მოამზადეთ კედლის გაზეთი, რომელსაც სპორტულ თამაშობებს მიუძღვნით.

კარი 5.

რაჭა-ლეჩხუმი

ამ კარში გაიგებ, თუ როგორ წარმოიშვა რაჭა-ლეჩხუმი; რა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოა იქ; რა ლეგენდაა მასთან დაკავშირებული; რა გავლენას ახდენდა მეურნეობის დარგების განვითარებაზე გარემო და ბუნებრივი რესურსები; რა თავისებურებები აქვს საცხოვრისს, ცხოვრების სტილს; რატომ დადის მოსახლეობა გარესაშოვარზე. მიხვდები, რატომ გახდნენ რაჭველები მოვაჭრეები; როგორი ურთიერთობა აქვთ მათ მეზობლებთან; რა მეტყველებს მათ ტოლერანტობაზე; რა პრობლემებია რაჭა-ლეჩხუმში და რა არის მათი გამომწვევი მიზეზები.

კავკასიონის მთავარი ქედი
მთის
3216
ბოდა-კედელას ქედი
რიონი
ლები
ჭიორა
რაჭა
2820
მამისონის უღ.
3609
ურავი
ზემო
ონი
ლარული
3938
მ. ხალაწა
ქვემო
სადმელი
წესი
ამბროლაური
ნიკორწმინდა
ხოტევი
1217
1565
. უღ. ლანქორი

0 6კმ

5.1 რაჭა-ლეჩხუმის წარსული და გეოგრაფიული გარემო

როგორ დაიშალა ერთიანი თაკვერი რაჭად და ლეჩხუმად და რა გეოგრაფიული გარემო აქვს მათ?

რაჭა და **ლეჩხუმი** დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებია. ერთმანეთის მეზობლად მდებარე ეს ორი მხარე ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. რაჭაც და ლეჩხუმიც მთიანი მხარეებია. ორივე მათგანში გვხვდება როგორც დაბალმთიანი, ასევე მაღალმთიანი რელიეფი. დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, რაჭა ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს მოიცავს, ლეჩხუმი კი – ცაგერის მუნიციპალიტეტს. ამავე დროს, რაჭას ყოფენ **ზემო**, **ქვემო** და **მთის რაჭად**. ზემო და მთის რაჭა ონის მუნიციპალიტეტშია, ქვემო რაჭა კი – ამბროლაურის.

დღეს რაჭა და ლეჩხუმი დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულებია, მაგრამ ისტორიულად ეს ორი მხარე ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი იყო, რომელსაც **თაკვერი** ეწოდებოდა. თამარ მეფის დროს, XII საუკუნეში, რაჭასა და ლეჩხუმს (თაკვერს) ერთი ერისთავი მართავდა. თამარის მეფედ კურთხევას 1184 წელს ესწრებოდა „კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა“.

მოგვიანებით, თაკვერს რაჭის ტერიტორია გამოეყო და ძველი სახელწოდება მხოლოდ ლეჩხუმს შემორჩა. თავდაპირველად მთის რაჭა სვანეთის შემადგენელი ნაწილი იყო და ის „სვანეთის მთიულეთად“ მოიხსენიებოდა. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ რაჭაც და ლეჩხუმიც იმერეთის სამეფოში შედიოდა. თუმცა მოგვიანებით ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს დაექვემდებარა.

წყარო 1. რაჭის ხედები

დავალება

1. გაიხსენე, საქართველოს კიდევ რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გაიყო ორ ნაწილად.
2. რომელი სამი მიკრო-რეგიონი გამოიყოფა რაჭის ტერიტორიაზე? რა განსხვავებაა მათ გეოგრაფიულ გარემოს შორის?
3. აღწერე წყარო 1. რა ინფორმაცია შეიძლება მიიღო რაჭის შესახებ ამ წყაროდან?
4. მოძებნე რუკაზე (გვ. 86-87) რაჭის მთავარი მდინარე. გაიხსენე, სად ჩაედინება იგი. რომელია ლეჩხუმის მთავარი მდინარე?

რაჭაში ბევრია ტურისტებისა და მთამსვლელებისთვის სასურველი სიმაღლის მწვერვალები. აქ არის ასწლოვანი ხეებით დაბურული წიწვოვანი ტყეები, ბუნებრივი ჩანჩქერები, კარსტული მღვიმეები და გამოქვაბულები.

ლეჩხუმი, რაჭის მსგავსად, მთაგორიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. ლეჩხუმის მთავარი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა არის ხვამლის კლდოვანი მთა, რომელიც რიონისა და ცხენისწყლის ხეობებს შორის მდებარეობს.

გადმოცემით, ხვამლის ერთ-ერთ ქვაბულში ყოფილა მიჯაჭვული მითოლოგიური გმირი **ამირანი**. ხვამლი კოლხეთის დაბლობიდანაც კარგად ჩანს. ასევე, ხვამლზე ასულ ადამიანს შესაძლებლობა აქვს დასავლეთ საქართველოს ვრცელი სივრცეები დაინახოს. ქართველი მეფეები სამეფო განძს ხვამლის მთაზე ინახავდნენ, რადგან იგი ძნელად მისადგომი ადგილია.

არქეოლოგებმა ხვამლის თავზე ადამიანის ცხოვრების კვალს მიაკვლიეს. გეოლოგები კი ვარაუდობენ, რომ ხვამლის მთის შუაგულში შესაძლებელია ცარიელი სივრცე იყოს.



წყარო 2. ხვამლის მთა

ლეგენდა ამირანზე

ამირანზე ბევრი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, ამირანი ნადირობის ქალღმერთის დალის და უცნობი მონადირის შვილია. ამირანი ბავშვობაში თავად ღმერთმა მონათლა, ღვთაებრივი ძალა მიანიჭა და ალმასის ხანჯალი მისცა, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა. დროთა განმავლობაში ამირანმა მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა: გაათავისუფლა მზე დევ-ვეშაპის მუცლიდან, მოკლა ბაყბაყდევი, დახოცა გველეშაპები, მიწასთან გაასწორა ცხრა ძმა დევების სამეფო. მან ზეციდან ჩამოიყვანა თავისი საცოლე – ღრუბელთა მბრძანებლის ასული ყამარი, მოკლა ავი სული ქალ-ხარი. ბოლოს ამირანი **ამპარტავნობამ** შეიპყრო და ღმერთის დამარცხება გადაწყვიტა. ღმერთმა ის სასტიკად დასაჯა და კავკასიონის ქედზე, ხვამლის მთაზე სამუდამოდ მიაჯაჭვა. ამირანის ღვიძლს მუდმივად ძიძგნის არწივი, ხოლო ერთგული ძაღლი ჯაჭვს ლოკავს და ცდილობს გალიოს იგი. მაგრამ ყოველწლიურად ღმერთის მიერ მიჩენილი მჭედლები ანახლებენ ჯაჭვს. ძველი გადმოცემით, შვიდ წელიწადში ერთხელ გამოქვაბული იხსნება და ამირანის დანახვა შეიძლება.

ლექსიკონი

ამპარტავანი – გადაჭარბებით ამაყი, ქედმაღალი, მედიდური.

დავალება

5. გაიხსენე, რომელ კუთხეშია გავრცელებული ლეგენდა დალის შესახებ.
6. გაეცანი, სხვადასხვა რესურსის გამოყენებით, დამატებით ინფორმაციას ხვამლის მთის შესახებ. ინტერნეტში მოიძიე ინფორმაცია ხვამლის მთაზე არქეოლოგიურ ექსპედიციაზე.

5.2 მეურნეობა რაჭა-ლეჩხუმში

რა გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო სამეურნეო საქმიანობაზე რაჭა-ლეჩხუმში?

სამეურნეო საქმიანობა რაჭაში

გეოგრაფიული გარემოს მსგავსების მიუხედავად, რაჭისა და ლეჩხუმის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა მეტნაკლებად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ზემო რაჭის მთაგორიანობის გამო, იქ სახნავ-სათესი მიწები შედარებით ნაკლები იყო. ქვემო რაჭაში კი ხალხი უმეტესად მიწის დამუშავებას მისდევდა. თუმცა მესაქონლეობა მაინც განვითარდა, რადგან მოსახლეობისთვის რძის პროდუქტები იყო აუცილებელი. მაგრამ მთის რაჭაში საზამთრო საძოვრების არარსებობა მეურნეობის ამ დარგის განვითარებას ზღუდავდა.

რაჭას, ლეჩხუმთან ერთად, დასავლეთ საქართველოში წამყვანი ადგილი ეკავა ხორბლის ნათესების რაოდენობით. მთის სოფლების გარდა, მევენახეობას ყველგან მისდევდნენ. ქვემო რაჭაში მევენახეობა-მეღვინეობა წამყვანი დარგი იყო. იქ ძირითადად დაბლარი ვენახი იცოდნენ. არსებობდა „ტალავარიც“, რომელსაც ჭურის თავებისა და ეზოს საჩრდილობლად იყენებდნენ. ღვინის შესანახი ჭურჭელი – ქვევრი რაჭველებს, ძირითადად, ზემო იმერეთიდან შეჰქონდათ. საყოველთაოდ ცნობილია რაჭული ღვინო „**ხვანჭკარა**“, რომელსაც ჯერ კიდევ 100 წლის წინ „ყიფიანის ღვინოს“ უწოდებდნენ. მას ორი ადგილობრივი ვაზის – ალექსანდროულისა და მუჯურეთულის შერევის შედეგად აყენებდნენ.

წყარო 1. სოფელი ხვანჭკარა

დავალება

1. რა გავლენა მოახდინა განსხვავებულმა გეოგრაფიულმა გარემომ რაჭის მიკრორეგიონების მეურნეობაზე?
2. როგორ ფიქრობ, რატომ უწოდებდნენ ხვანჭკარას „ყიფიანის ღვინოს“.

წყარო 2. ხვანჭკარას ღვინის ბოთლის ძეგლი ამბროლაურში

დავალება

3. იმსჯელეთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ ხვანჭკარა ცოტა მაინც გაიაფდეს. თუ ვერაფერს მოიფიქრებთ, დაასაბუთეთ, რატომ. გაითვალისწინეთ, რომ ყურძნის ჯიშები, რომლითაც ამ ღვინოს იღებენ, მხოლოდ კონკრეტულ სოფლებში ხარობს. შედეგები PPT-ში პრეზენტაციის სახით წარმოადგინეთ.

წყარო 3. ფრანგი მოგზაური გამბა რაჭველების შრომის-მოყვარეობაზე

„მკისა და რთველის დროს მათი (რაჭველების – ავტ.) ქალიშვილები და ცოლები მამაკაცებს ეჯიბრებიან თავგამოდებული მუშაობით და ეს შრომა ყოველთვის გამოცოცხლებულია სიმღერითა და შეძახილებით, რაც ერთსაც და მეორესაც ამხნევებს“.

3 რაჭული ლორი

რაჭველები მთელი წლის განმავლობაში ლორის „ლორს“ მიირთმევენ, რომელიც წინათ სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო. რაჭველთა ამ სიყვარულის გამო XIX საუკუნეში ქართლიდან, კახეთიდან და სხვა ადგილებიდან საშობაოდ გასაყიდად დიდი რაოდენობით ლორი შეჰქონდათ.

რაჭველთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ღორის მოვლა-მოშენებას. ღორისაგან რაჭაში ლორს აწარმოებდნენ, რომელიც მთელ საქართველოშია ცნობილი.

სამეურნეო საქმიანობა ლეჩხუმში

ლეჩხუმში, რაჭისგან განსხვავებით, ბუნებრივი და კლიმატური პირობები უფრო მეტად ბარს წააგავს. აქ განვითარებული იყო მევენახეობა-მეღვინეობა, მემინდვრეობა და მესაქონლეობა. ადგილობრივი განსაკუთრებული ვაზის ჯიშია „უსახელოური“. იგი მხოლოდ ლეჩხუმის რამდენიმე სოფელში იყო გავრცელებული. ლეჩხუმში სვანებსაც ჰქონდათ ვენახები, რომელსაც ადგილობრივი ლეჩხუმელები ამუშავებდნენ.

ლეჩხუმში მოყვანილი ხორბლის ჯიშებია **იფქლი**, **ზანდური**, **მახა**. მახა და ზანდური კარგად ხარობს სხვა პურეულისათვის ცუდ, არახელსაყრელ ნიადაგსა და ბუნებრივ გარემოში. ლეჩხუმში ზანდურსა და მახას სპეციალური საკრეფი იარაღით – **შნაკვით** კრეფდნენ, რადგან მომკის დროს ხორბალს თავთავი ადვილად სცვივა და ძირს იყრება. მახისა და ზანდურისაგან ცხვება საუკეთესო ხარისხის სურნელოვანი, თეთრი და დიდი ხნის განმავლობაში რბილად შენახვის უნარის მქონე პური, რასაც ძველად, მგზავრობა-ლაშქრობის დროს, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

დღეს რაჭა-ლეჩხუმში მეურნეობის ახალი დარგები, მათ შორის, მეფუტკრეობა კიდევ უფრო განვითარდა, რასაც ხელს უწყობს მხარის ბუნებრივი პირობები.

წყარო 4. შნაკვით ხორბლის კრეფა

დავალება

4. რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო ლეჩხუმის მეურნეობაზე?
5. შენი აზრით, რაზე მეტყველებს ლეჩხუმში ზანდურისა და მახას სპეციალური საკრეფი იარაღის არსებობა (წყარო 4)? დღეს რა ტექნიკას იყენებენ ამ მიზნით?
6. გაიხსენე, რა არის, რაჭველების ლორის მსგავსი, ტრადიციული, ყველაზე პოპულარული კერძები საქართველოს სხვა მხარეებში.
7. როგორ ფიქრობ, თანამედროვე რაჭა-ლეჩხუმში მეურნეობის რომელ დარგებს აქვს განვითარების ყველაზე მეტი პერსპექტივა. პასუხის გასაცემად გაიხსენე რაჭა-ლეჩხუმის ბუნებრივი პირობები, მეურნეობის ტრადიციული და თანამედროვე დარგები და ა.შ.

5.3 ხელოსნობა რაჭა-ლეჩხუმში

რა უწყობდა ხელს რაჭა-ლეჩხუმში ხელოსნობის დარგების განვითარებას?

ლექსიკონი

მეტალურგია – ბერძნ. სიტყვასიტყვით ნიშნავს მოვიპოვებ მადანს, ვამუშავებ მეტალს.

დორა – ქვევრისებური ან კოკისებური თიხის ჭურჭელი, მოუჭიქავი. იხმარებოდა წყლის, მარცვლეულის, მწნილისა და სხვ. შესანახად.

დურო – სათოფური.

დავალება

1. აღწერე, წყარო 1-ის დახმარებით, როგორ სახლებს აშენებდნენ რაჭველები.
2. ივარაუდე, რატომ იყო ეს სახლები მაღალი და რატომ ჰქონდა მათ სათოფურები.
3. გაიხსენე, საქართველოს კიდევ რომელ მხარეში იყო რაჭულის მსგავსი საცხოვრისები.
4. ახსენი, რატომ განვითარდა მეტალურგია რაჭაში?
5. როგორ ფიქრობ, შესაძლებელია თუ არა თანამედროვე პირობებში რკინის გამოდნობა და მისგან ნივთების გაკეთება პრიმიტიულ სამჭედლოში, როგორც ეს ძველად იყო (წყარო 2)? რატომ აღარ აკეთებენ ამას დღეს? პასუხი დაასაბუთე.

რაჭა-ლეჩხუმში ხელოსნობის მრავალი დარგი იყო განვითარებული. რაჭველი კალატოზები, დურგლები, ქვის დამმუშავებლები ცნობილი ხელოსნები იყვნენ. ჯერ კიდევ XI საუკუნეში აშენებდნენ ორ-სამსართულიან სახლებს, რომლის ქვედა სართული ქვითკირის, ხოლო ზედა, ძირითადად, ხისგან კეთდებოდა.

წყარო 1. 1888 წლის გაზეთ „ივერიის“ სტატია რაჭველების სახლებზე

უწერლებს (რაჭა) „სახლები ქვიტკირის, ოთხკუთხა მაღალი და დიდი აქვთ... თითოეული ძველი სახლი სამსართულიანია, ქვემო სართულზე პირუტყვი ჰყავთ, მეორე სართულზე თვითონვე ცხოვრობენ, მესამე ცარიელია. ძველ დროში ზემო სართულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სართულს გვერდზე აქვს პატარა სარკმელები სათოფურები... როდესაც მტერი ესხმოდა სოფელს, მცხოვრებნი ადიოდნენ მესამე სართულზე და იქიდან მას პასუხს სცემდნენ. ზოგიერთი სახლიდან მიწაში გაყვანილია ხვრელი... და თუ საჭიროება მოითხოვდა მცხოვრებნი იქიდან იხიზნებოდნენ“.

ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, რკინის არსებობამ ხელი შეუწყო რაჭაში მეტალურგიის განვითარებას. სოფელი წედისი არა მხოლოდ რკინის მადნის მოპოვებით, არამედ რკინის იარაღის დამზადებითაც იყო ცნობილი. წედისელები რკინის მადანს ამტვრევდნენ, შემდეგ გამოადნობდნენ და მიღებული რკინისგან ნალს, ნამგალს, ნაჯახს, სახნისს, ჯაჭვს აკეთებდნენ. 1820 წლისათვის წედისში რკინის სადნობი 20 ქურა იდგა. ჯერ კიდევ XI საუკუნეში რკინის სამეურნეო იარაღს რაჭველები იმერეთში სხვადასხვა პროდუქტზე ცვლიდნენ.



წყარო 2. ძველი სამჭედლო

ძირითადი ხელობა რაჭაში მაინც დურგლობა იყო. მთელი სამეგრელოს, გურიისა და ქვემო იმერეთის ოდები ამ დურგლების აშენებულია.

წყარო 3. თიხის ჭურჭლით ვაჭრობა

წყარო 4. მურის ციხის ნანგრევები ცაგერთან

ლეჩხუმის რამდენიმე სოფელში თიხის თეთრ ჭურჭელს ამზადებდნენ. გამომწვარ ჭურჭელს თიხის ხსნარში ავლებდნენ, რის შემდეგაც ის თეთრი ფერის ხდებოდა. ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა 30 ქვევრს, 100 დორას, 100 დოქს იტევდა. ლეჩხუმში კერამიკის წარმოება ორი ძირითადი სახით იყო წარმოდგენილი: მექვევრეობა და მეჭურჭლეობა. მექვევრეობას თუ მხოლოდ მამაკაცები მისდევდნენ, მეჭურჭლეობაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც იყვნენ ჩართული. მეთუნეებს ლეჩხუმში „მიწის მოხელეებს“ უწოდებდნენ.

ცნობილი იყვნენ ლეჩხუმელი ქვის მთლელები და კალატოზები. აშენებდნენ ციხე-კოშკებს, რომელთაგან დღეს არაერთია შემორჩენილი.

წყარო 5. დუროიანი სახლი

ლეჩხუმელები ცნობილი ხის ოსტატები იყვნენ. ძველად ლეჩხუმში ხიდების ასაშენებლად ვაზსაც იყენებდნენ. წყალდიდობა ქვისა და ხის ხიდებს ხშირად ანგრევდა, ხოლო ვაზისაგან დაწნულ და გაბმულ ხიდებს დიდი წყალი ზიანს ვერ აყენებდა. ვაზის ხიდებს, ჩვეულებრივ, ვაზისავე სახელურები ჰქონდა. ასეთმა ხიდებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ლეჩხუმში ოქრომჭედლობაც იყო განვითარებული.

დავალება

6. როგორ ფიქრობ, რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოებაში ქალის რა ადგილზე მიუთითებს მისი აქტიური მონაწილეობა სამეურნეო საქმიანობაში.
7. გადახაზე და შეავსე რვეულში ცხრილი: ქალის და კაცის როლი რაჭა-ლეჩხუმის მეურნეობაში. ივარაუდე, რა როლის თამაში შეუძლია ქალს ცხრილში მითითებულ მეურნეობის დარგებში.

	მევენახეობა	მეთუნეობა	მიწათმოქმედება	მესაქონლეობა
ქალი				
კაცი				

8. შენი აზრით, რატომ უწოდებდნენ მეთუნეებს „მიწის მოხელეებს“.
9. მოიძიე ინფორმაცია ლეჩხუმში შემორჩენილ ციხე-კოშკებზე. შეარჩიე ერთ-ერთი. პრეზენტაციის მომზადებისას, გაამხვილე ყურადღება: როდის აშენდა, სად მდებარეობს, დაკავშირებულია თუ არა მასთან რომელიმე მითი ან ლეგენდა, დღეს რა მდგომარეობაშია და რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო მათ აღსადგენად. წარუდგინე PPT-ში მომზადებული პრეზენტაცია კლასს.
10. მოიფიქრეთ რეკლამა, რომლითაც ლეჩხუმში ჩასულ ტურისტებს მისი ნახვით დააინტერესებთ.

5.4 რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის ცხოვრების სტილი

რატომ დადიოდა რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა გარესამუშაოებზე?

მცირემიწიანობის გამო რაჭის მოსახლეობისთვის ტრადიციული იყო **გარესამუშაოზე** სიარული, რასაც **„მოსაგებში“ წასვლას** უწოდებდნენ. გარესამუშაოზე რაჭველი გლეხები გვიან შემოდგომაზე მიდიოდნენ და გაზაფხულზე, მიწის სამუშაოების დაწყების დროისათვის ბრუნდებოდნენ.

წყარო 1. XX საუკუნის დასაწყისის ავტორი გარესამუშაოებზე წასულ რაჭველებზე

რაჭის მცხოვრებთა უმრავლესობა „სულ გარეთ არის სხვადასხვა კუთხეში გადახვეწილი: ზოგი მეპურედ, ზოგი მეზვრედ, მებაღე-მებოსტნედ, ზოგი მენახშირედ, ... მუშად, მზარეულად, ხურო-დურგლად, მხერხავად, ვაჭრად და ვინ ჩამოთვლის, რა და რა ხელობას არ მისდევს რაჭველი“.

წყარო 2. ხალხური ლექსი გარესამუშაოზე წასულ რაჭველებზე

„გამცილდა წუთისოფელი, ცოდვით აივსო ქვეყანა.
იმერეთსა და რაჭაში, მითხარ, რით უნდა მეხარა?
ხიდისკარს ზემოთ მცხოვრებნი სულ უმამულო შეგვყარა.
არა გვაქვს ბარად სახნავი, არცა სათიბი მთაშია;
ისე გაივლის ზამთარი, ორ კაცს ვერ ნახავ სახლშია.
ზამთარ მიდიან ჩერქეზსა, გაზაფხულ – ზემო ქართლშია“.



წყარო 3. იმერეთში გარესამუშაოზე წასული რაჭველები, XIX საუკუნის მეორე ნახევარი

„ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“

რაჭველებს ხუმრობით უწოდებენ ყველაზე სწრაფებს მსოფლიოში. ეს შეფასება მათზე გადაღებული ამავე სახელწოდების ფილმის შემდეგ გაჩნდა. სინამდვილეში, რაჭველები ცნობილები არიან როგორც მშვიდი ბუნების, აუჩქარებელი, დინჯი ადამიანები. ამ თვისებების გამო მათზე არაერთი ხუმრობა არსებობს.

დავალება

1. ნახეთ ფილმი „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ და გაარჩიეთ კლასში.

ლეჩხუმელებიც დადიოდნენ გარესამუშაოებზე, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში. ბევრი მათგანი მევენახე-მეზვრედ მუშაობდა. ისინი მთელი სავენახე სამუშაოების სეზონს, რთველის ჩათვლით, ოჯახს იყვნენ მოწყვეტილნი. ზოგჯერ მათ მთელი ოჯახი თან მიჰყავდათ და სამუდამოდ იქ რჩებოდნენ. ამგვარად, რაჭა და ლეჩხუმი ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, აღმოსავლეთ საქართველოს დროდადრო მოსახლეობითაც ავსებდა. ქართლში დღეს ბევრია ისეთი გვარი, რომლებსაც რაჭული და ლეჩხუმური წარმომავლობა აქვს. სამაგიეროდ, რაჭა მოსახლეობისგან იცლებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მიწისძვრებია. განსაკუთრებით ძლიერი იყო 1991 წლის მიწისძვრა, რამაც მოსახლეობა მნიშვნელოვნად დააზარალა.

წყარო 5. ჭიანური

წყარო 6. გუდასტვირი

წყარო 4. ილია ჭავჭავაძე რაჭის პრობლემასა და რაჭველებზე

„თუ ეს სამუდამო მიზეზი არ მოისპო, გადასახლება რაჭიდან იმ ზომამდე მიაღწევს, რომ ბოლოს დიდად საზრუნავი საგანი შეიქმნება მთავრობისა და საზოგადოებისათვის. ჩვენის ფიქრით, ღონისძიება არის საჭირო ამ მხრივ ეშველოს რაიმე... ეს მით უფრო სასურველია, რომ რაჭველი თავშენახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონიერად ხელმოჭერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებებით ბევრს ჩვენში აღემატება. მეტად სანანური იქნება, თუ ეს ღირსეული და საყვარელი ხალხი ჩვენს ქვეყანაში ვერ მოთავსდეს, ჩვენ გამოგვაკლდეს და სხვაგან დაბინავდეს“.

წყარო 7. მესტვირე

რაჭველი მუსიკოსებიც კი დადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეში. ბოლო დრომდე რაჭა-ლეჩხუმში ორი მუსიკალური ინსტრუმენტი იყო შემორჩენილი: ჭიანური და გუდასტვირი. ჭიანური სიმებიანი საკრავია. ის უფრო მთის რაჭას შემორჩა. მას უკრავდნენ ქორწილში, დღეობებზე.

საქართველოში ძველად ცნობილი იყვნენ რაჭველი **მოხეტიალე მესტვირეები**, რომლებიც საქართველოს ყველა მხარეში დაიარებოდნენ. გუდასტვირზე ამღერებდნენ ეპიკურ, ლირიკულ და სახუმარო ლექსებს. მესტვირეები „ბერიკაობის“ მონაწილეებიც იყვნენ.

დავალება

2. რატომ უწოდებდნენ რაჭველები გარესამუშაოზე სიარულს „მოსაგებში“ წასვლას?
3. ჩამოთვალე, წყარო 1-ის დახმარებით, რა საქმიანობით იყვნენ დაკავებული საქართველოს სხვადასხვა მხარეში გარესამუშაოებზე წასული რაჭა-ლეჩხუმელები.
4. რა იყო, წყარო 2-ის მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის გარესამუშაოებზე წასვლის მიზეზები? დღეს იქ მიგრაციის რა მიზეზებია?
5. რა უწყობდა ხელს რაჭველებისა და ლეჩხუმელების მიგრაციას აღმოსავლეთ საქართველოში? რა შედეგი მოჰყვა ამ პროცესს აღმოსავლეთ საქართველოსთვის და რაჭისთვის?
6. განიხილეთ წყარო 4: ა) როგორ ფიქრობ, რას გულისხმობს ილია „სამუდამო მიზეზში“. ბ) როგორ ახასიათებს ილია რაჭველებს? რა პრობლემა აღელვებს მას?

5.5 რაჭველები – ქართველი მოვაჭრეები

რა შედეგები მოჰყვა რაჭველების ვაჭრობას ჩრდილოეთ კავკასიელებთან?

ჩრდილოეთ კავკასიაში

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მკვიდრთა შორის ვაჭრობა ყველაზე მეტად მთის რაჭველთა შორის განვითარდა, რომლებიც, ძირითადად, საქონლით ვაჭრობდნენ. ზამთრის მოახლოებისას, საზამთრო საკვების სიმცირის გამო, გლეხი იალაღზე ნასუქ პირუტყვს მოგებით ყიდდა, სამაგიეროდ, გაზაფხულზე ამავე ფულით ნაზამთრ საქონელს იაფად ყიდულობდა.

წყარო 1. მამისონის უღელტეხილი – გზა, რომლითაც რაჭველები ჩრდილოეთ კავკასიაში დადიოდნენ

რაჭველებს, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიიდან საქონლის ჯოგები გადმოჰყავდათ და ონში მოგებით ყიდდნენ. ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ფიზიკურადაც შრომობდნენ და შინაური პირუტყვითაც ვაჭრობდნენ. გარდა ამისა, წვრილმანი საქონელი მიჰქონდათ, რომელსაც ყიდდნენ ან იქაურ ნაბადზე, მატყლზე, შალზე, ტყავზე ცვლიდნენ.

რადგან ასეთი ვაჭრების მთავარი საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო და, ამასთან ერთად, წვრილმან ვაჭრობასაც ეწეოდნენ, მათ **„მეწვრილმანეებსა“** და **„გლეხვაჭრებს“** უწოდებდნენ. ვაჭრებს, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში ქსოვილის სავაჭრო დუქნებს ხსნიდნენ და წლობით ცოლ-შვილს მოწყვეტილნი იქ მუდმივად ვაჭრობდნენ, **„დიდვაჭრებს“** ან **„მედუქნეებს“** ეძახდნენ. იყვნენ ე.წ. **მერუსეთეებიც**, რომლებიც რუსეთის ქალაქებისა და დაბების რკინიგზის სადგურებში მებუფეტეებად, მზარეულებად და მიმტანებად მუშაობდნენ.

დავალება

1. დაასახელე, საქართველოს ფიზიკური რუკის დახმარებით (გვ. 6-7), რომელი უღელტეხილით გადადიოდნენ რაჭველები ჩრდილოეთ კავკასიაში?



წყარო 2. ვლადიკავკაზი, ოსეთის მთავარი ქალაქი, XIX ს., სადაც იმ დროისთვის ქართველთა (რაჭველთა და მოხევეთა) **დიასპორა** იყო.

რაჭველებს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან, კერძოდ, ოსებთან. ეს ურთიერთობა მტრულიც იყო და მოყვრულიც. ისინი ერთმანეთს შვილებს აღსაზრდელად უგზავნიდნენ, რათა მეზობელთა ენა და წეს-ჩვეულება ესწავლათ. ეს მათ ერთმანეთთან ურთიერთობას უადვილებდა. ამ წეს-ჩვეულებას რაჭველები **„კერძმოკეთეობას“** უწოდებდნენ. სავაჭრო და კერძმოკეთეობითი ურთიერთობის გამო ბევრი რაჭველი საცხოვრებლად ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩა.

ლექსიკონი

დიასპორა – (ძვ.ბერძ. „გაბნევას“ ნიშნავს). ეთნიკური უმცირესობის ჯგუფი, რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში.

დავალება

2. რით ვაჭრობდნენ რაჭვლები ჩრდილოეთ კავკასიელებთან?
3. შენი აზრით, რატომ გააჩაღეს რაჭველებმა აქტიური ვაჭრობა ჩრდილოეთ კავკასიელებთან.
4. როგორი ურთიერთობა ჰქონდათ რაჭველებს ოსებთან?
5. შენი აზრით, რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ მეზობელთან მშვიდობიანი, კეთილი ურთიერთობა დამყარდეს. რას აკეთებდნენ ამისთვის რაჭველები და ოსები?
6. მოიფიქრე, რაჭველებისა და ოსების ურთიერთობის მაგალითის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება ერთმანეთის მიმართ არაკეთილგანწყობილი ხალხების შერიგება.
7. შენ რისი გაკეთება შეგიძლია ამისთვის?

5.6 ებრაელები და სომხები რაჭა-ლეჩხუმში

ვინ ცხოვრობდა რაჭა-ლეჩხუმში ქართველების გარდა?

რაჭასა და ლეჩხუმში ისტორიულად მხოლოდ ქართველები არ ცხოვრობდნენ. მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ იქ ებრაელები და სომხებიც იყვნენ. რაჭაში ებრაელთა განსახლების ადგილი იყო ონი, ლეჩხუმში კი სოფელი **ლაილაში**. იქვე ქართველ კათოლიკეთა რამდენიმე ოჯახიც ცხოვრობდა. რაჭა-ლეჩხუმში მცხოვრები ებრაელები და სომხები, სოფლის მეურნეობასთან ერთად, ვაჭრობასა და ხელოსნობასაც მისდევდნენ. შუა საუკუნეებში ლეჩხუმის სავაჭრო ცენტრი (მცირე ქალაქი) ლაილაში იყო. XIX საუკუნის 80-იან წლებში სავაჭრო დუქნები ცაგერშიც გაჩნდა. ლაილაშის ვაჭრობა ქართველი ებრაელების, ქართულენოვანი სომხებისა და მონოფიზიტი ქართველების ხელში იყო. ლაილაშელ ებრაელებს პარასკევს და კვირას ცნობილი ბაზრობა ჰქონდათ გამართული. მათ ასევე სოფლებშიც დაჰქონდათ საქონელი. ასეთ ვაჭრებს **„მესოფლე ებრაელებს“** უწოდებდნენ.

წყარო 1. ონის ხედი

XIX საუკუნის ბოლოს ქართველმა ებრაელებმა ონში დიდი სინაგოგა ააშენეს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა თავიანთი წინაპრების სამშობლოში – ისრაელში დაიწყეს დაბრუნება. ამ პროცესში ონისა და ლაილაშის ებრაული მოსახლეობაც ჩაერთო და დღეს მათი დიდი ნაწილი საქართველოში აღარ ცხოვ-

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ ცხოვრობდნენ რაჭა-ლეჩხუმში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ჩამოთვალე, რა პირობები უნდა იყოს ამისთვის.
2. გაიხსენე, საქართველოს რომელ მხარეებში ცხოვრობენ კიდევ ებრაელები და სომხები?
3. რა იყო ებრაელებისა და სომხების ტრადიციული საქმიანობა რაჭა-ლეჩხუმში?
4. რას ნიშნავს „მესოფლე ებრაელი“?

რობს. მიუხედავად ამისა, სიყვარული საქართველოსადმი არ განელებიათ. ისინი მასთან კავშირს არ კარგავენ და ქართულ ენას ინარჩუნებენ. მათ **„ქართველ ებრაელებს“** უწოდებენ.



წყარო 2. ონის სინაგოგა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

ხალხური მკურნალობის ხერხები რაჭაში

საქართველოში ხალხური მკურნალობის სხვადასხვა ხერხი ჰქონდათ. მაგალითად, რაჭაში ქოლერას ჭინჭრით მკურნალობდნენ: 1910 წელს ქოლერა გავრცელდა. მოსახლეობამ სამეულები გამოყო, რომლებიც ჭინჭრით იყვნენ მომარაგებული. გაატიტვლებდნენ ავადმყოფს და ჭინჭრით სუსხავდნენ. ავადმყოფს ტანზე ბუშტუკები უჩნდებოდა. ასეთი მკურნალობით სიკვდილს ბევრი გადაურჩა.

ლექსიკონი

სინაგოგა – ებრაელთა სალოცავი ტაძარი.

ონის სინაგოგის ისტორია

ონში სინაგოგა 1895 წელს ააგეს. მის მშენებლობაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. 1927 წელს მთავრობამ მისი ისევე, როგორც ქრისტიანული ტაძრების დიდი ნაწილის, დანგრევისა და დაკეტვის ბრძანება გასცა. სინაგოგის დასაცავად მასში 30-მდე მეძუძური ქალი ბავშვებთან ერთად ჩაიკეტა, რომ დანგრევისგან ეხსნა. მათ შორის ქართველებიც იყვნენ.

დავალება

5. შენი აზრით, რით შეიძლება აიხსნას „ქართველი ებრაელების“ დამოკიდებულება საქართველოსადმი.
6. გაიხსენე, რომელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ცხოვრობდნენ კიდევ კათოლიკე ქართველები? ძირითადად, რა საქმიანობით იყვნენ ისინი დაკავებული?
7. შეაფასე ქართველებისა და ებრაელების თანაცხოვრება ონში. რაზე მეტყველებს ქართველების მონაწილეობა სინაგოგის მშენებლობასა და მის გადარჩენაში.

რა ვიცი და რა შემიძლია

წყარო 1. ტურისტები რაჭაში

რაჭის გეოგრაფიული მდებარეობიდან და ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ამ ულამაზეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ეკოტურიზმის განვითარების კარგი შესაძლებლობებია. ეკოტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომლის დროსაც დამსვენებლები ველურ ბუნებაში ყოფნას ანიჭებენ უპირატესობას და ცდილობენ გარემოს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენონ.

1. როგორ ფიქრობ, რატომ არის შესაძლებელი რაჭაში ეკოტურიზმის განვითარება?
2. დაგეგმე, რუკის დახმარებით (გვ. 86-87) რამდენიმე ტურისტული მარშრუტი რაჭის ტყეებში.

წყარო 2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები

დღეს, საქართველოში და მსოფლიოში ყოველდღიურად უფროდაუფრო პოპულარული და მოთხოვნადი ხდება ბიო პროდუქტები. სოფლის მეურნეობაში ბიოპროდუქტები ნიშნავს ისეთი სახის პროდუქტებს, რომელთა დათესვისა და მოყვანის დროს არ არის გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები, მაგალითად, ქიმიური სასუქები და შესაწამლი საშუალებები (პესტიციდები).

ლექსიკონი

ბიო, ეკო, ორგანული პროდუქტი ერთი და იგივეა და აღნიშნავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, როდესაც მისი წარმოებისას არ გამოიყენება შხამ-ქიმიკატები, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებები (იგივე კონსერვანტები).

3. როგორ ფიქრობ, შესაძლებელია თუ არა რაჭაში ბიოპროდუქტების წარმოება. პასუხი დაასაბუთე. მანამდე კი:
   - შეაგროვე ინფორმაცია სხვადასხვა გზით (ინტერნეტი, გამოკითხვა), არის თუ არა რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე რაიმე ისეთი ქარხანა ან საწარმო, რომელიც მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს და შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობაში ბიოპროდუქტების წარმოებას.

წარსულში საქართველოში რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ლორის წარმოებით იყო განთქმული. ამ მხარეში დამზადებული ლორი გასაყიდად სხვა ქვეყნებშიც (რუსეთი) კი გაჰქონდათ.

4. დაადგინე, გამოკითხვისა და ინტერნეტის მეშვეობით, კიდევ ამზადებენ თუ არა რაჭაში ლორს. თუ ამზადებენ, სად?
5. გაარკვიე, ლორის გარდა, მესაქონლეობის კიდევ რა პროდუქტების წარმოება არის შესაძლებელი რაჭა-ლეჩხუმში.